ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ
ᲡᲐᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲦᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ
ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ 30 წᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

ზვიად ჭუჭუნაური

ეროვნული საბჭოს ერა

1991-2021

ნაწილი I

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებით და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფეოდრობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა' დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და ბანაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი ჰერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორთა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფაშული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დაიბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბრს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, **ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.**

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესი მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს სამინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრინციპი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით კათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ეველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც პმის მოითხოვს კაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო ჰაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან ჰოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საეოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება კაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ეველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაკოს თავისი ქვეყნის ჰოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ეეველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

დამოუკიდებლობის ოცდაათი წელი

„საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას...“.

ამ სიტყვებით იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელსაც რეფერენდუმის საფუძველზე ჩვენი ქვეყნის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა და ისტორიული სამართლიანობა აღადგინა.

ქართულმა საზოგადოებამ ეს მოვლენა არაერთგვაროვნად შეაფასა, უმეტეს ნაწილს იმედი, თავისუფლების ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ხიბლი და სიხარული გაუჩნდა, შედარებით მცირე ნაწილს კი – საბჭოთა „უზრუნველი“ ყოფის დაკარგვისა და რთული მომავლის შიში.

ყველაზე ბედნიერი და იმედიანად განწყობილი ახალი თაობა იყო, სწორედ ის თაობა, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაიბადა, გაიზარდა და მე-20 საუკუნის ბოლოს ინტუიციით იგრძნო თავისუფალი საქართველოს მძაფრი სურნელი...

დღეს ოცდაათი წლის შემდეგ, უფრო ნათლად შეგვიძლია შევაფასოთ, თუ რა ისტორიული პერიპეტიების მონაწილე გახდა თითოეული ჩვენგანი. კარგად გავაცნობიერეთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ფასდაუდებელი ღირებულებებია და ისეთივე გარდაუვალი აუცილებლობაა ქართველებისთვის, როგორც ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ამიტომაც შევძელით საბჭოთა კავშირის დაშლის ყველაზე რთულ და მძიმე პერიოდში ჩვენი თავისუფლებისთვის გვებრძოლა. არაერთი ისტორიკოსი სრულიად სამართლიანად ამტკიცებს, რომ ქართველებს ამ პროცესში შეგვეძლო უფრო გონივრულად და მეტი სიფრთხილით მოვქცეოდით ქვეყნის დამოუკიდებლობას. სიმართლე გითხრათ, ნაწილობრივ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისტორიულ კანონზომიერებას ვერც ერთი საზოგადოება გვერდს ვერ აუვლის და რაც ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში ხდებოდა, სწორედ იმდროინდელი რეალობის ნაწილი იყო. ამას ვერ გავექცეოდით და ვერც განსაკუთრებულად შევცვლიდით.

თუ წარმოვიდგენთ – ორასი წლის განმავლობაში რა კოლოსალური ძალისხმევით იბრძოლა რუსეთმა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, მივხვდებით – ის, რაც საქართველოში მოხდა მართლაც გარდაუვალი იყო. ჩვენ, ყველანი ერთად, ნელ-ნელა და მძიმედ, მაგრამ მაინც წარმატებით გამოვდივართ ამ ურთულესი რეალობიდან.

1991 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, კვლავაც გრძელდება და ახლა ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის მონაწილენი უკვე ჩვენი შვილები არიან, თაობა, რომელიც თავისუფალ საქართველოში დაიბადა. ახლა მამები და შვილები ერთად ვდგავართ და ამ გამოწვევის არ გვეშინია.

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავდადებაზე დაფიქრებულმა იმდროინდელმა ახალგაზრდობამ ნათლად დაინახა, თუმცა ბოლომდე ვერ გააცნობიერა, თუ რა ძალას ვუპირისპირდებოდით ქართველები. დამოუკიდებლობის აღდგენიდან არცერთი დღე რუსეთის იმპერიას არ შეუწყვეტია აგრესია ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ. ეს არ არის ძალისხმევა მხოლოდ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად. ცხადია, რომ რუსების პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზროვნებისთვის იმთავითვე სრულიად უცხო იყო ქართული და ზოგადად კავკასიური თავისუფლების გენეტიკური კოდის ფორმულა, და დღესაც ვერ აცნობიერებენ, რა გვსურს ქართველებს. ის, რაც ასე განგვასხვავებს რუსებისგან, საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, სწორედ რომ არის არათავსებადობის მიზეზი ჩვენს ურთიერთობებში. არცერთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისთვის არ უბრძოლია რუსეთს ისეთი გააფთრებით, როგორც იბრძოდა საქართველოსთვის და, სამწუხაროდ, ვითარება დღესაც არ შეცვლილა.

1991 წლის დეკემბერში საქართველოში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირება, კანონიერი ხელისუფლების დამხობით დასრულდა... კრემლმა ჩვენივე მონაწილეობით ტრაგიკული მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობებს. ქართველების ხელით გააძევეს და სასიკვდილოდ გაწირეს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ არჩეული პირველი პრეზიდენტი და ამ ისტორიული დრამით დაიწყო უწყვეტი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების წინააღმდეგ.

საბჭოთა პროპაგანდისა და იდეოლოგიის მორიგი სამიზნე აფხაზეთი გახდა. საომარი მოქმედებები, ჩვენდა სავალალოდ, სოხუმის დაცემითა და ასიათასობით ქართველი მოსახლის აფხაზეთიდან განდევნით დამთავრდა. ჩვენ ეს ყველაფერი ვნახეთ და განვიცადეთ... რამდენი ქართველის სიცოცხლე შეიწირა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ... ახალგაზრდები, რომელთაც უანგაროდ და დაუფიქრებლად დადეს თავი ქვეყნის ისტორიულ გზაჯვარედინზე უბრალოდ არ დაკარგულან, მათ დაამტკიცეს, რომ თავისუფლებისთვის თავდადება და სიკვდილი ამ ფენომენის განუყოფელი ნაწილია...

2008 წლის აგვისტო...

რუსეთ-საქართველოს ომი...

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს მოხდა 21-ე საუკუნეში, მთელი მსოფლიო თანამეგობრობის თვალწინ, ღიად, დაუფარავად... რუსეთმა რეგულარული სამხედრო შენაერთების მეშვეობით ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ. თანამედროვე რეალობაში იშვიათად თუ მოიძებნება მსგავსი ინტერვენცია, როდესაც ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანა სამხედრო ძალით მეზობელი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას ახდენს და შემდგომში მის მიერვე შექმნილ ეგრეთ წოდებულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“ აღიარებს. ამ შემთხვევაში სრულიად დარღვეულია საერთაშორისო სამართლის ნორმები და საერთოდ, მოქმედებს კი რეალურ პოლიტიკაში საერთაშორისო სამართალი?!

შესაბამისად, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად გააცნობიერა, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ქვეყნის განვითარებისთვის საქართველოს ევროპულ გზას ალტერნატივა არ გააჩნია. რუსთაველის ფილოსოფიურ საფუძვლებს ნაზიარებმა ქართველებმა ვიცით, რას ნიშნავს ევროპული დემოკრატია და მისი ღირებულებების არსი. ამიტომაც გაუჩნდა საქართველოს ასეთი მძლავრი სულისკვეთება და ლტოლვა ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად.

ჩვენი რეგიონის რეალობაში საქართველოს ევროპულმა არჩევანმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა და იგი ფუნდამენტურად ცვლის კავკასიის განვითარება-გაძლიერების პერსპექტივას.

საქართველო – კავკასიის ევროპული კარიბჭე... რეგიონალური დატვირთვის კონტექსტით ეს მართლაც ასეა და ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ევროპისკენ სწრაფვას მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის, რომელთა განვითარებისა და ევროპეიზაციის გზა საქართველოს გზაჯვარედინზე გადის.

***

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მთავარი და უპირობო მონაწილე ქართული საზოგადოებაა. ჩნდება კითხვა თუ ეს ყოველივე ასეა, რატომ ვერ შევძელით ჩვენ ყველამ ერთად პროცესის სწორად წარმართვა და რატომ ვერ მივიღეთ ის შედეგი, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია? რა არის იმის მიზეზი, რომ ევროპული ღირებულებები სრულფასოვნად ვერ დავამკვიდრეთ ჩვენი ქვეყნის რეალობაში?

ამ პროცესზე დიდი გავლენა სწორედ საბჭოურმა მენტალიტეტმა მოახდინა, რომელიც სამოცდაათწლიანი კომუნისტური მმართველობისა და აზროვნების გავლენით ჩამოყალიბდა. ვაღიაროთ სიმართლე – „ჰომო სოვეტიკუსის“ სინდრომი საქართველოში ვერ დავძლიეთ. გასაგებია, რომ ამ მოვლენის სრულად გაქრობას თაობათა ცვლა სჭირდება, მაგრამ ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს იმდენი დრო, რომ კიდევ ათწლეულები ვუცადოთ ჩვენი აზროვნების და მიდგომების ტრანსფორმაციას. აქედან გამომდინარე, გვჭირდება განათლებული ახალგაზრდობა და ძირეული რეფორმები იმისთვის, რომ ქვეყანა უფრო სწრაფად განვითარდეს.

სამი ძირითადი დემოკრატიული ღირებულება უმთავრესია ჩვენი საზოგადოებისთვის – დამოუკიდებელი სასამართლო, თავისუფალი არჩევნები და თავისუფალი სიტყვა. ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ეს ფასეულობები უნდა იქცეს ჭეშმარიტი თავისუფლების გაგებისა და სრულად გაცნობიერების საფუძვლად.

ეს გზა გაიარა ევროპამ, ამ ღირებულებების სრულყოფის პრინციპზე ჩამოყალიბდა ევროპული დემოკრატია, რომელიც საზოგადოების განვითარების საუკეთესო მაგალითია.

ქართველებსაც გვაქვს მყარი, ისტორიული ფუნდამენტი საიმისოდ, რომ ამგვარი ღირებულებები საქართველოშიც დავამკვიდროთ. ჯერ კიდევ თამარ მეფის ეპოქაში შეიქმნა ქალისა და კაცის თანასწორობის წარმოუდგენელი მაგალითი. თამარის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმებამ არაპირდაპირი, მაგრამ ძლიერი იმპულსი მისცა იმდროინდელი ლიბერალური აზროვნების განვითარებას.

ასე რომ, ჩვენს ხელთაა შესაძლებლობები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ...

მსგავსი შესავალი იმიტომ წავუმძღვარე ამ გამოცემას, რომ ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს თუ რა რთულ პერიოდში მოუწია დიპლომატების „პირველ გამოშვებას“ კუთვნილი ადგილის დამკვიდრება თანამედროვე ქართული დიპლომატიის სათავეებთან. ამ გუნდს თავისი ისტორია აქვს, რომელსაც სამწუხაროდ ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს, ვინაიდან დიპლომატიის ყველაზე საინტერესო მხარე ის არის, რომ პროფესიული საქმიანობის პროცესი პრაქტიკულად უხილავია და შედეგი, უმეტესწილად, წლების შემდგომ მოაქვს.

ასე იყო ამ შემთხვევაშიც...

90-იან წლებში დაწყებული ძალისხმევის შედეგი უკვე აშკარად ჩანს და მომავალ თაობებს ახალი ქვეყნის ძლიერ ფუნდამენტს უქმნის.

ზემოხსენებული ისტორიული პერიპეტიების ყველაზე აქტიური და უშუალო მონაწილეები სწორედ 90-იანი წლების დიპლომატები იყვნენ, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან შეუდგნენ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებას.

1991 წლიდან აუცილებელი საჭიროება გახდა საგარეო საკითხებზე მომუშავე გუნდის ჩამოყალიბება. ასეთი ფუნქციის შესრულება მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს შეეძლო, რომელიც იმ პერიოდისთვის მხოლოდ ნომინალურად არსებობდა. საგარეო უწყებას არც შესაფერისი შენობა ჰქონდა, არც ტექნიკურად იყო აღჭურვილი და, რაც მთავარია, არ არსებობდა დიპლომატიური გუნდი.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბრძანებით – დაინიშნა პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი... და ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყეთ საგარეო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ნებისმირი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის საციცოხლოდ აუცილებელი ინსტიტუციაა.

მაშინდელ სამინისტროში მხოლოდ ოცამდე თანამშრომელი მუშაობდა და სიმართლე უნდა ითქვას უწყება ფუნქციონალური თვალსაზრისითაც არ იყო გამართული. ან როგორ უნდა ყოფილიყო, როდესაც ჩვენს ქვეყანას ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში პრაქტიკულად დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის საჭირო ინსტიტუციების დაფუძნების შესაძლებლობები. დაიწყო ახალგაზრდა, განათლებული, პატრიოტი ადამიანების მოძიება და მოზიდვა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს კვალიფიციური და საგარეო პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად გამოცდილი კადრების პოვნა რთულ ამოცანას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მაინც შეიკრიბა განსაზღვრული რაოდენობა ისეთი დიპლომატებისა, რომელთა ერთადერთი მიზანი იყო, კეთილსინდისიერად ემსახურათ ქვეყნისთვის.

90-იან წლებში დაწყებული საგარეო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი სწრაფად განვითარდა, თანდათან გაიზარდა და გაძლიერდა გუნდი, რომლის თავდაუზოგავი შრომითა და მონდომებით საქართველოს საგარეო ურთიერთობების განვითარების პერსპექტივა გაუჩნდა. იმ პერიოდის დიპლომატებს კარგად გვახსოვს, თუ რა პირობებში გვიწევდა ქვეყნის ინტერესების დაცვა. მერიდება ვისაუბრო სამინისტროს თანამშრომელთა სიმბოლურ ანაზღაურებაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს მთავარი: ჩვენ სხვა უფრო მნიშვნელოვანი მოტივაცია გვქონდა – ეს იყო საკუთარი ქვეყნის საგარეო უწყების განვითარება.

1992 წელს საქართველო გაეროს სრულფასოვანი წევრი გახდა, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებთან.

1993 წლიდან დაიწყო საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების გახსნის პროცესი, რაც განსაკუთრებული შესაძლებლობა იყო ახალგაზრდა დიპლომატებისთვის, რათა უშუალოდ საქმეში მიეღოთ გამოცდილება და პროფესიულ უნარ-ჩვევებს დაუფლებოდნენ.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოკლე პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა დიპლომატთა ძლიერი გუნდი, რომლის ძალისხმევით ქვეყნის საგარეო მიმართულებამ იმ პერიოდში არაერთ წარმატებას მიაღწია.

ურთიერთობა გაეროსთან, ევროკავშირთან, ნატოსთან, ევროპის საბჭოსთან, ეუთოსთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, აგრეთვე ორმხრივი თანამშრომლობა სტრატეგიულ ქვეყნებთან საიმედო, უკვე გამოცდილ დიპლომატთა ხელში აღმოჩნდა. ეს დიდი წარმატება იყო დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოსთვის.

1992 წელს საქართველო „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს“ წევრი გახდა. ნატოსთან თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 1994 წელს, როდესაც საქართველო შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. 2008 წლის ბუქარესტისა და 2014 წლის უელსის სამიტებმა მკაფიოდ დაადასტურა და განსაზღვრა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი ქვეყანა.

1996 წელს საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის გაფორმდა შეთანხმება – „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელმაც მოგვიანებით დასაბამი მისცა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას, სწორედ იმ წლებში დაიწყო ევროინტეგრაციის პროცესი, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საქართველოს საგარეო პოლიტიკაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული, როცა ქართულმა დიპლომატიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1999 წლის ეუთოს სტამბოლის სამიტზე ისტორიული შეთანხმება იქნა მიღწეული, რომლის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიიდან დაიწყო რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი. ეს იყო ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების არაერთი რაუნდი, რომლებიც ჩვენმა მაღალკვალიფიციურმა დიპლომატებმა სწორად და ეფექტიანად წარმართეს.

ისტორიული იყო ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება ევროპის საბჭოში, მისიის გახსნა სტრასბურგში და პირველი ნაბიჯების გადადგმა დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებების დამკვიდრებისკენ.

ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენად იქცა ასოცირების შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან. 2014 წლიდან საქართველოს მიეცა შანსი ევროპასთან დასაახლოებლად და თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად. თავისუფალმა ვაჭრობამ და ჩვენი მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის რეჟიმმა ახალი პერსპექტივები გააჩინა.

90-იანი წლებიდან მოყოლებული საგარეო მიმართულებით მიღწეული ყველა წარმატება, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ადამიანთა შესანიშნავ გუნდთან, რომლებიც ქართული დიპლომატიის სათავეებთან იდგნენ.

„დამოუკიდებელი საქართველოს ელჩების“ ამ გამოცემით ჩვენს საზოგადოებას ეძლევა საშუალება გაეცნოს დიპლომატთა იმ შემადგენლობას, რომლებიც 1991-2021 წლებში საქართველოს ელჩები იყვნენ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში.

ბევრი მათგანი 90-იანი წლებიდანვე იდგა ახალი დროის ქართული დიპლომატიის სათავეებთან და მათი ღვაწლი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ახალი თაობის დიპლომატები კი ღირსეულად აგრძელებენ ჩვენი გუნდის ტრადიციებს.

ეს ენციკლოპედიური გამოცემა მომავალ თაობებს შემოუნახავს იმ ადამიანთა სახელებს, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ევროპულ დიდ ოჯახში დაბრუნებას მყარი ფუნდამენტი ჩაეყარა...

ზვიად ჭუმბურიძე

ZVIAD CHUMBURIDZE

AMBASSADORS OF INDEPENDENT GEORGIA

1991-2021

PART I

THREE DECADES OF INDEPENDENCE

“The statehood of Georgia that dates back to ancient times was lost by the Georgian nation in the 19th century following the annexation of Georgia by the Russian Empire, which suppressed Georgian statehood. The Georgian people have never accepted the loss of freedom...”

These words prelude the Act of Restoration of State Independence of Georgia which was signed by the Supreme Council of Georgia on April 9, 1991 and reinstated historic justice.

Georgian society was quite divided in estimating of this event, the most of Georgians were hopeful and still had some unconscious attraction and joy toward freedom, while others, – very few feared about losing Soviet careless life and welfare, as well as undefined future.

The young generation was the happiest and hopeful and that was the generation which was born and grown up in the Soviet period and as the 20th century was closing the door; this generation had some common sense that the strong scent of free Georgia was emerging and filling the air…

Today, some three decades later, we are at liberty to estimate clearly how much we were involved in the historic events and twists as the nation and individually. We realized that freedom and independence cannot be weighed and it is as necessary for Georgians, as the motto once pronounced by the Georgian spiritual father – Ilia Chavchavadze – “Homeland, Language, Faith.”

This helped us to survive in the struggle for our freedom when the Soviet Union broke up and we had to face the most difficult times and hardest period. Many historians and figures of political studies were quite just and followed logic when they affirmed that we, the Georgians could be more reasonable and cautious toward our liberty. To tell the truth, I partially agree to this theory, but it is also a fact that historical chain of events and the way it unfolds, cannot be averted by any society and whatever happened in the 90s of the last century of Georgia, was also the part of the reality that reigned and we were unable to run away from that harsh reality and couldn’t master to make some dramatic and noticeable changes.

If we just imagine in our minds – how extensive and colossal propaganda, how many efforts and strong will were invested by Russia to suppress the strong will of Georgians against maintenance of the feeling of independence, then we may realize what happened in Georgia, – it was unavoidable and we are united to throw over this harsh and difficult reality, but we are accompanied by some success in this process.

The struggle for the independence proudly declared in 1991 is not over yet, it is still on and the active participants of this important and wholesome process now are our children, the generation that was born in free Georgia and the fathers and the sons are standing side by side and have no fear of this challenge.

The young generation that was oriented and centered on the dedication and self-sacrifice of Zviad Gamsakhurdia (The first President of Georgia) and Merab Kostava (National hero and dissident), as the two men served as the role-models for the many, saw distinctly but lacked some realization and grasp of the evil power that opposed us, as the nation. Ever since the restoration of the independence, the Russian Empire has been heavily involved in conducting aggressive measures against our free will and passion for liberty.

This was not the mere effort to regain some geopolitical influence on the neighboring region. It is crystal clear that Russian political and social mentality or philosophy could not fit and embrace Georgian and Caucasian values in general, formula of the genetic code of freedom and the Russian establishment still thrives to maintain the harsh reality that Georgians have this 'estranged' will for independence. This 'estrangement' plays a decisive role in discerning the two nations – from the social or cultural viewpoint and has served as reason for the incompatibility of normal and civilized relations between the two countries. Not a single post-Soviet republic has been the subject by Russia of such bitter struggle as for Georgia and unfortunately this violent fight is still present, to this very day.

The 1991 civil conflict in Georgia has been ended by coup d'état. I would like to note that Kremlin left behind very sad and tragic heritage to the coming generations. Georgians, orchestrated by the Kremlin set a coup, ousted and then murdered the first president Gamsakhurdia, elected by the majority of the country and this historical drama gave birth to continuous fight against the freedom of our country.

The next, but not least, target of the Soviet propaganda and ideology was Georgian region Abkhazia. Military operations began and sadly for Georgians were finalized by the fall of Sokhumi and hundreds of thousands of Georgian residents were ousted from the region and turned into refugees. We did witness and experience the whole drama. This historical process claimed the lives of many Georgians – civilians and soldiers and the process was once again the struggle for independence. The young who gave their lives unconditionally and with no reward in mind on the historical crossroad are not vanished in the abyss of history, but they proved to be integral part of the phenomena – dedication to freedom and decent death for it.

August, 2008…

The war between Russia and Georgia...

One may wonder that it did happen in the 21st century, in front of the world community, vividly, unmasked and blatantly… Russia, using its regular military units implemented the full-scale military aggression against the tiny neighboring country. One may face some difficulty to find a similar scale intervention, when a huge country, possessing nuclear arms occupies the territories of the neighboring country by using military power and later recognizes them as 'independent states' – not to mention that their 'independence' was staged by the occupant. Shall we talk about the violation of the terms of the international law or does this international law still have any meaning in the real politics?!

Accordingly, our society fully realized that in order to maintain and keep independence and develop, Georgia has no other way, but European and there is no alternative. As the nation that inherited philosophical basics of the poetry of Shota Rustaveli, we are well aware of the price of European democracy and this is what moves us to go back to the European family and the strong will and passionate attraction originate from that heritage.

In the reality of our region this European choice acquires important and specific load and it fundamentally changes the perspective of the development and empowerment of the Caucasian region.

Georgia – the European Gate of the Caucasus, – we feel free to label our country according to the context of the regional importance and connotation and we will fully understand our strong efforts from the vantage of Azerbaijan and Armenia as their successful development and European way of life transcends the crossroads in/of Georgia.

***

The major and unconditional participant in the struggle for independence has always been the Georgian society. The question emerges – if all this is true, then why we failed to manage the processes properly and why the goal remains unachieved and far away, why the result so vitally important for the development of the country is not achieved? What is the reason that we still fail to establish European values in the reality of our country? The major and big impact on the above-mentioned processes is the Soviet mentality nourished throughout those seventy years of the communist regime and way of thinking so extensively rooted in the minds. Let us be frank – the syndrome of 'Homo Sovieticus' is still strong and undefeated in Georgia. We all are aware that it takes generations to bid farewell to that mentality, it won't be vanished in a split of a second, but on the other hand, we are short of time to wait for another decade until we transform our mentality and attitudes, therefore we are in a great need of the educated generation and fundamental reforms to speed up the development of the country.

There are three major values that our society currently needs - independent court, free elections and freedom of speech. These values should be the foundation and basics for our children and grandchildren to fully realize and grasp the essence of the genuine freedom.

These values emerged and thrived to get advanced as Europe developed and it serves as an example for democratic development of any society.

We, the Georgians, have a strong foundation to establish these values at the advanced level. If we recall, it was back during the King Tamar (Georgians refer her 'King', – the masculine title due to her unique role and accomplishments) when we set a model for the unprecedented equality of man and woman and it was also during her epoch when the death penalty was abolished and though not immediate, but a strong impulse geared up the development of liberal philosophy.

To sum up, we own a great arsenal to exploit and start the fundamental reforms in the state institutions and to act we must with no delay.

And if we succeed in performance what we stated above, then there is no doubt or hurdles that Georgia shall become a full-scale member of the great European Community.

I wrote this foreword to the present publication in order to serve a mere goal – our society should encompass the complexity of the times when the 'first graduation class' of the diplomats had to perform their duties and doing so they had to position themselves as the early buds of the modern Georgian diplomacy and acquire the recognition. That 'first class' has its history, but sadly enough - the Georgian society still has a dim impression and knowledge, because the most interesting part of diplomacy is that the process of the professional activity of this trade is mostly unseen and the fruit as it grows, can and will be harvested only years later. That was the case frequently… But most important is that the result of the efforts invested in the 90s is vivid and present and serves as a great groundwork for the future generations of this country.

The most active and immediate participants of the above-mentioned historical twists and processes were the diplomats of those remote years of the nineties who started to perform their missions and the mission is yet to be accomplished…

In 1991 when the country declared its independence, the need of setting up some team that would work on the foreign affairs was pushing and this function was to be executed solely by the Ministry of Foreign Affairs of Georgia, which functioned just ceremonially at that time. The institution had no proper building, no technical equipment and most importantly – there was no team of diplomats.

Zviad Gamsakhurdia, the First President of Georgia, issued the decree to appoint the first minister of the foreign affairs and the process got started… Step-by-step we started to mold the system which is the essential and vital institution for every state and bears a tremendous meaning.

As the ministry started to operate, just some twenty persons were on the staff and sure enough, the office could not function effectively and duly and that was also understandable. But one could not dream for more – the country had essentially lost all the possibilities and capabilities to establish appropriate institutions and ways of their development for more than two hundred years.

Hunting and searching process of young, educated and patriot professionals was across the country. It is noteworthy that it was quite a problem to find qualified and more or less experienced personnel in the foreign affairs or policy, as the task was quite hard. Nevertheless, a limited quantity of patriot diplomats was finally present and they were all motivated – to serve the country nobly and with good conscience.

The development process of the foreign affairs system that started in the 90s was quick and speedy and it also grew in number and the staff grew as well professionally, the team became stronger and its dedicated and ardent work and will gave the country hopeful perspective to develop foreign relations.

The diplomats of those times fairly remember the complexity of the conditions we lived and fought for the interests of the country. There is some awkwardness for me to talk about the financial reward which was rather symbolic than equivalent to the burden we carried at the ministry, but it is also remarkable that we had a great motivation and important as well – to put the efforts of the dedicated people to keep and maintain freedom of the country, so vital for the development of the foreign office.

The year 1992 was another landmark – Georgia was admitted to the UN and accordingly it brought along membership in various important international organizations and establishing diplomatic ties with the strategic partners of our country.

The following year, in 1993 Georgia started to open its embassies and establish relations with many countries, – that enabled many young diplomats to acquire practical experience and strengthen professional skills.

I have some bravado when I am saying that since the restoration our independence in a very brief period at the Foreign Affairs Ministry, there was a strong team of young diplomats and their efforts made the foreign vector of the country to progress and develop successfully.

Our relations with the UN, European Union, the NATO, Council of Europe, OSCE and other international organizations and bilateral relations with other strategic countries were handled by the experienced diplomats; that was important and significant success for the country who had restored its independence just short time before.

In 1992 Georgia became a member of “North Atlantic Cooperation Council” and in 1994 the country faced the important stage of the cooperation with NATO when it joined the program “Partnership for Peace”. The Bucharest summit in 2008 and later the Wales summit in 2014 openly proved and defined that Georgia will become a member-country of the alliance.

In 1996 the agreement was signed between Georgia and European community on “Partnership and Cooperation,” which later initiated the treaty of the association with the European Union, those

years witnessed the beginning of ongoing cooperation process with Europe and its important role duly outstands in the foreign policy of Georgia.

The first decade of the independence deserves a special reference – the Georgian diplomacy harvested important results. In 1999 the historic agreement was signed at the OSCE Istanbul Summit which was followed by the withdrawal process of the Russian military bases from the country. There were several rounds of the continuous and complex negotiations and they were led rightfully and effectively by our highly qualified diplomats.

Gaining the membership in the Council of Europe was also historically significant for Georgia, – as well as opening the mission in Strasbourg and making those first steps toward the fundamental values of democracy.

Signing the Association Agreement with the EU became a great event for Georgia and in 2014 the country enjoyed an important chance to approach Europe and develop another stage for the cooperation. Free trade and visa free regime with the EU countries for Georgians brought new perspectives.

All the important successes Georgia attained since the 90s on the orbit of the foreign relations are tightly related and linked with the wonderful team of the people who authored and wrote the first chapter of the Georgian diplomacy.

In the first edition of “Ambassadors of Independent Georgia” our society and readers will get familiar with the ‘family’ of the diplomats who served as Ambassadors in the various countries abroad in 1991-2021.

Many of them stood at the opening gate of diplomacy since the 90s and their efforts and dedication is the subject of special gratitude, – the diplomats of the new generation continue this mission of our team and guard its traditions with dignity.

This present encyclopedic edition will preserve to the future generations the names of those individuals whose efforts and deeds laid the important and solid groundwork for the independence of our country and gave the country the unique chance of comeback to the great European family.

Zviad Chumburidze

Ambassador

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები 1991-2021

MINISTERS OF FOREIGN AFFAIRS OF INDEPENDENT GEORGIA 1991-2021

გიორგი ხოშტარია

GIORGI KHOSHTARIA

26.11.1990 – 15.09.1991

მურმან ომანიძე

MURMAN OMANIDZE

15.09.1991 – 31.12.1991

ალექსანდრე ჩიკვაიძე

ALEKSANDRE CHIKVAIDZE

01.03.1992 – 15.12.1995

ირაკლი მენაღარიშვილი

IRAKLI MENAGARISHVILI

15.12.1995 – 29.11.2003

თედო ჯაფარიძე

TEDO JAPARIDZE

30.11.2003 – 20.03.2004

სალომე ზურაბიშვილი

SALOME ZOURABICHVILI

20.03.2004 – 19.10.2005

გელა ბეჟუაშვილი

GELA BEZHUASHVILI

19.10.2005 – 31.01.2008

დავით ბაქრაძე

DAVID BAKRADZE

31.01.2008 – 05.05.2008

ეკა ტყეშელაშვილი

EKA TKESHELASHVILI

05.05.2008 – 06.12.2008

გრიგოლ ვაშაძე

GRIGOL VASHADZE

06.12.2008 – 25.10.2012

მაია ფანჯიკიძე

MAIA PANJIKIDZE

25.10.2012 – 05.11.2014

თამარ ბერუჩაშვილი

TAMAR BERUCHASHVILI

11.11.2014 – 03.09.2015

გიორგი კვირიკაშვილი

GIORGI KVIRIKASHVILI

03.09.2015 – 23.12.2015

მიხეილ ჯანელიძე

MIKHEIL JANELIDZE

30.12.2015 – 14.06.2018

დავით ზალკალიანი

DAVID ZALKALIANI

2018 წლის 21 ივნისიდან

ეროვნული
საბჭოს
ანგარიში

ზურაბ აბაშიძე
ZURAB ABASHIDZE

1993-2000 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში, ევროკავშირთან (1998) და ნატოსთან საქართველოს მისიების ხელმძღვანელი

1993-2000 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE BENELUX COUNTRIES, HEAD OF THE GEORGIAN MISSIONS TO THE EUROPEAN UNION (1998) AND NATO

2000-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში

2000-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE RUSSIAN FEDERATION

დაიბადა: 11 ივნისი, 1951 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1968-1973 – მოსკოვის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი; **1983** – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ესპანისტიკაში; **2001** – მიენიჭა პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

1974-1978 – საქართველოს სსრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი; **1978-1980** – სსრკ-ს საკონსულოს ატაშე ბომბეიში, ინდოეთი; **1980-1982** – საქართველოს სსრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე; **1982-1984** – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების თანამშრომელი; **1984-1988** – საბჭოთა კავშირის საელჩოს მრჩეველი ესპანეთში; **1988-1993** – საქართველოს უცხოეთთან მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავჯდომარე; **2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2006-დან** – ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარი რედაქტორი. **2012-დან** – საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების საკითხებში.

არის პუბლიკაციებისა და ნაშრომების ავტორი, მათ შორის:

2000 – ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისკენ;

2009 – ცივი ომი-წარსული თუ დღევანდელობა?;

2013 – დანგრეული კედლის ჩრდილში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ზურაბ აბაშიძე
ZURAB ABASHIDZE



2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ყირგიზეთის რესპუბლიკასა და მონღოლეთში

FROM 2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF KAZAKHSTAN – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF KYRGYZSTAN AND MONGOLIA

დაიბადა: 3 მაისი, 1973 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-1995 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი; **1993-1995** – სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტი, მანჩესტერ სითის კოლეჯი, მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი.

სამუშაო გამოცდილება:

1996-1998 – საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი; პრეზიდენტის ადმინისტრაციის კანცელარიის უფროსის თანაშემწე; **1998-2000** – საქართველოს უშიშროების საბჭოს მრჩეველი სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საკითხებში; **2000-2004** – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი; **2004-2005** – იუსტიციის მინისტრის მოადგილე; იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის აპარატის უფროსი; **2005-2007** – ფინანსთა მინისტრის მოადგილე; მთავრობის აპარატის უფროსი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საგანგებო მისიების მინისტრი; **2007-2008** – საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის უფროსი; **2010-2012** – თბილისის საკრებულოს წევრი; თავმჯდომარის მოადგილე; **2012-2016** – საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

ენები: თავისუფლად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდო, ოქროს მედალი – „ყაზახი ხალხის ერთიანობისთვის“, ყაზახი და სხვა ეროვნების ხალხს შორის კავშირების განმტკიცების, კულტურული დაახლოების, სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთოებების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის.

რუსლან აბაშიძე
RUSLAN ABASHIDZE

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესტონეთის რესპუბლიკაში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ESTONIA

დაიბადა: 29 ოქტომბერი, 1971 წელი, გაგრა, აფხაზეთი, საქართველო.

განათლება:

1991-1997 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტი; **1991-1992** – გოეთეს ინსტიტუტი; **1997-1998** – გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია.

სამუშაო გამოცდილება:

2019 წლის 11 დეკემბრიდან – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; **2019 წლის 1 მაისიდან – 11 დეკემბრამდე** – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; **2019** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე; **2015-2017** – „პრიმერა გოლდ ენდ რეზიდენს“ – მრჩეველი, დირექტორი; **2013-2014** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – საგანგებო დავალებათა ელჩი; **2006-2009** – კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე; **2002-2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – შვეიცარიაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი; **2000-2002** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **1999-2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის მრჩეველი; **1998-1999** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობების განყოფილების უფროსი; **1997-1998** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – ევროკავშირთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების განყოფილების მესამე მდივანი; **1996-1997** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – სამმართველოს ატაშე; **1994-1996** – „ბაშარან მეტალი“ – კომერციული დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გივი აბდუშელიშვილი

GIVI ABDUSHELISHVILI

1997-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის რესპუბლიკებში

1997-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLICS OF UZBEKISTAN, TAJIKISTAN AND KYRGYSTAN

დაიბადა: 23 მარტი, 1940 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1964 წელს – დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიკის ფაკულტეტი, სპეციალობით გამოთვლითი ტექნიკის ინჟინერი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

სამუშაო გამოცდილება:

1965-1966 – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი; **1966-1974** – კომკავშირის ორგანიზაციაში ხელმძღვანელ სამუშაოზე (რაიკომის და ქალაქკომის I მდივანი, ქ. თბილისი); **1970-1974** – პარტიის თბილისის ქალაქკომის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების ინსტრუქტორი; **1974-1977** – პარტიის ცკ-ის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების ინსტრუქტორი; **1977-1980** – საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; **1980-1990** – საქართველოს მატერიალური რესურსების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე, მთ. ინჟინერი; **1986-1990** – საქართველოს სამრეწველო კოოპერაციის თავმჯდომარე; **1990-1992** – საქართველოს მრეწველობის მინისტრი; **1992-1993** – სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; **1993-1997** – ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი; **1997-2000** – საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს, საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის, საერთაშორისო სამმართველოს უფროსი; **1994** – საქართველოს მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) პრემიერ-მინისტრის თანაშემწე, მართვის სტრუქტურისა და ტერიტორიული რეფორმის განყოფილების უფროსი, დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის სახელმწიფო ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე; **2005-2010** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ერთდროულად – ავტომატიკის და პოლიტოლოგია-დიპლომატიის კათედრებზე; **2013-დან** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი, რამდენიმე კომისიის წევრი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების აკადემიური ფონდის თავმჯდომარე.

ფლობს: რუსულ ენას.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ზურაბ აბდუშელიშვილი

ZURAB ABDUSHELISHVILI

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLICS OF UZBEKISTAN AND TAJIKISTAN

დაიბადა: 1 იანვარი, 1967 წელი, ქ. ფოთი, საქართველო.

განათლება:

1994 წელს – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, იურისტ-სამართალმცოდნის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1987-1988 – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის მოადგილე;

1988-1990 – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო აქტების კოდიფიცირების განყოფილების სპეციალისტი;

1990-1992 – საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანაშემწე;

1992-1993 – საქართველოს გენერალური პროკურატურის სასამართლო გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი;

1993-1997 – ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი;

1997-2000 – საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს საერთაშორისო სამმართველოს უფროსი;

2000-2004 – საქართველოს ტელეკომის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

2005-2019 – შპს „ტრანსლოუდის“ დირექტორი.

ენები: ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

რევაზ ადამია
REVAZ ADAMIA
1952-2014

2002-2006 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან

2002-2006 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UNITED NATIONS

დაიბადა: 20 ივლისი, 1952 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1974 წელს – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1974-1979 – სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგი“, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

1979-1982 – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

1982-1988 – სექტორის ხელმძღვანელი;

1988-დან – ლაბორატორიის უფროსი;

1992-1995 – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომისიის მდივანი;

1999-2002 – საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი, №3 საბურთალოს საარჩევნო ოლქიდან, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე.

იყო რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის მოლაპარაკებებში საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის წამყვანი წევრი და 1999 წლის სტამბოლის ეუთოს სამიტზე მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

2016 – ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ვალერიან ადვაძე
VALERIAN ADVADZE
1931-2013

1993-1995 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში

1993-1995 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE RUSSIAN FEDERATION

დაიბადა: 17 თებერვალი, 1931 წელი, ახალქალაქის რაიონი, საქართველო.

განათლება:

1953 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი;

1953-1956 – სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

სამუშაო გამოცდილება:

1956-1988 – მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის და სახალხო მეურნეობის ისტორიისა და ეკონომიკური მოძღვრების ისტორიის კათედრის გამგედ;

1978-დან – ერთდროულად იყო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკური დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე – 1988 წლიდან დირექტორი;

ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიმნიჭებელ სპეციალურ საბჭოს; კვლევის ძირითადი სფერო იყო საქართველოს ეკონომიკა: მისი ომის შემდგომი განვითარება, პრობლემები, პერსპექტივები, მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკის ისტორიის საკითხები;

აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში;

1992-დან – იყო საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; ეკონომისტი;

1970 – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

1973 – პროფესორი;

1991 – საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე; ღირსების ორდენი.

ირაკლი ალასანია
IRAKLI ALASANIA

2006-2008 – საქართველოს მუდმივი წარმომაგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან

2006-2008 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UNITED NATIONS

დაიბადა: 21 დეკემბერი, 1973 წელი, ქ. ბათუმი, საქართველო.

განათლება:

1990-1995 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – იურიდიული ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლმცოდნეობის სპეციალობით (მიიღო იურისტის კვალიფიკაცია);

1994-1996 – სახელმწიფო უშიშროების აკადემია;

1997 – აშშ-ს არმიის სადაზვერვო ცენტრი და სკოლა, ფორტ ჰუაჩუკა, აშშ – სამხედრო დაზვერვის ძირითადი კურსი.

სამუშაო გამოცდილება:

2017-დან – შპს სოდი ინვესტმენტის დირექტორი;

2012-2014 – საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი / საქართველოს თავდაცვის მინისტრი;

2012-მდე – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროსთან; საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი მოლაპარაკებებში აფხაზურ მხარესთან;

2004 – თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე;

2004-2006 – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

2002-2004 – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე;

2001 – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების დეპარტამენტის უფროსი;

1999-2000 – აშშ-ში საქართველოს საელჩოს მეორე მდივანი;

1998 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს დეპარტამენტის მესამე მდივანი;

1994-1998 – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კონტრდაზვერვის სამსახური.

ფრობს: ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ზურაბ ალექსიძე
ZURAB ALEKSIDZE

2012-2017 – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდონეზიის რესპუბლიკაში, სინგაპურისა და ფილიპინების რესპუბლიკებში, ტიმორ-ლესტეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF INDONESIA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF SINGAPORE, THE REPUBLIC OF THE PHILIPPINES AND THE DEMOCRATIC REPUBLIC OF TIMOR-LESTE

დაიბადა: 27 აგვისტო, 1970 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1987-1992 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ფილოლოგიის სპეციალობით (სომხური ენა და ლიტერატურა); **1992-1993** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ხელნაწერთა ინსტიტუტი, ასპირანტურა; **1993-1996** – ვატიკანის რომის პაპის აღმოსავლური ეკლესიების მეცნიერებათა ინსტიტუტი, აღმოსავლური ეკლესიების მეცნიერებათა მაგისტრატურა/ ასპირანტურა; **2001** – ჰააგის კლინგენდაელის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის პროგრამა ახალგაზრდა დიპლომატებისთვის; **2006** – ჩინეთის სამთავრობო სემინარი აზიის ქვეყნების დიპლომატებისთვის.

სამუშაო გამოცდილება:

1992-1993 – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრა, მეცნიერ-თანამშრომელი; **1997-2000** – სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი; **2000-2002** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2002-2005** – იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და ქ. რომში განლაგებული საერთაშორისო ორგანიზაციებთან (FAO, IFAD, WFP) საქართველოს წარმომადგენლობის უფროსი მრჩეველი; **2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონული თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორი (სამხრეთ კავკასია, უკრაინა, დსთ და სუამი); **2005-2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის დეპარტამენტის დირექტორი; **2007-2010** – საბერძნეთის და ხორვატიის რესპუბლიკებში საქართველოს საელჩო, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; **2011-2012** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი; **2018-დან** – საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

ფლობს: ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ, სომხურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

მერაბ ანთაძე
MERAB ANTADZE

2007-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინის რესპუბლიკაში

2007-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF UKRAINE

2009-2013 – სუამ-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი

2009-2013 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE ORGANIZATION OF GUAM

2014-2019 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოლდოვის რესპუბლიკაში

2014-2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF MOLDOVA

დაიბადა: 4 აგვისტო, 1952 წელი, თბილისი, საქართველო.

განათლება:

1970-1974 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი;

1995 – „ჯორჯ კ. მარშალის სახელობის უშიშროების შემსწავლელი ევროპული ცენტრი“.

სამუშაო გამოცდილება:

1976-1978 – ამიერკავკასიის რკინიგზის დეპარტამენტი; **1978-1990** – კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის, სასარგებლო ნამარხთა საბადოების (არალითონური ნედლეულის) კვლევის განყოფილება; **1991-1992** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზის და პროგნოზის განყოფილების მდივანი; **1992-1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **1994-1995** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **1996-1998** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მთავარი სპეციალისტი; **1992-2006** – რუსეთთან პოლიტიკური, სამხედრო და კონფლიქტების საკითხებში მოლაპარაკებების კომისიის წევრი; **1998-2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2006-2007** – კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი; **2004-2007** – საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ღირსების ორდენი.

გია არსენიშვილი
GIA ARSENISHVILI
1942- 2010

2001-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, უნგრეთის რესპუბლიკაში, სლოვენიის, სლოვაკეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკებში

2001-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AUSTRIA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF HUNGARY, THE REPUBLIC OF SLOVENIA, THE REPUBLIC OF SLOVAKIA AND THE CZECH REPUBLIC

დაიბადა: 5 იანვარი, 1942 წელი, კახეთი, საქართველო.

განათლება:

1966 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და 1969 წელს ასპირანტურა.

სამუშაო გამოცდილება:

1969-1971 – იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

1971-1977 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის ფაკულტეტის დოცენტი;

1973-1974 – გაიარა სამეცნიერო სტაჟირება ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში;

1977-1982 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი;

1981-1997 – მის მიერ დაარსებული მათემატიკური მეთოდების გამოყენების კათედრის გამგე;

1995-2000 – საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში;

2000-2001 – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

2004-2006 – საქართველოს გაერთიანებული ტელეკომის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

2006-2007 – საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

2007-2008 – საქართველოს გაერთიანებული ტელეკომისა და საქპატენტის სამეცნიერო კონსულტანტი;

საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი №17 თელავის საარჩევნო ოლქიდან.

2008-2010 – ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავჯდომარე.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ბრწყინვალების ორდენი.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, 54 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, პროფესორი.

ლევან ასათიანი
LEVAN ASATIANI

2004-2010 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში

2004-2010 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ISLAMIC REPUBLIC OF IRAN

დაიბადა: 9 მაისი, 1953 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1970-1975 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი, „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის“ სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1975-1979 – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა-სხვადახსვა თანამდებობები; **1979-1980** – მივლინება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, სპარსული ენის მთარგმნელი; **1980-1982** – საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალობის სამინისტროს უფროსი ინსპექტორი; **1982-1992** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; **1991-1992** – საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი; **1992-1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტდეპარტამენტის სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის სამმართველოს უფროსი; **1994-1996** – ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი; **1996-1999** – საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, დირექტორი; **1999-2002** – მივლინება ხორვატიაში „ეუთო“-ს მისიის დამკვირვებლად; **2002-2004** – აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი. **2004** – აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი; **2009** – საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი; **2010** – „ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის“ წამვანი სპეციალისტი, პროექტების დირექტორი; **2013-დან** – საქართველოს მთავრობის ადმინიტრაციის კონსულტანტი; **2010-დან** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და GIPA-ს მოწვეული ლექტორი.

ფლობს: სპარსულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ირაკლი ასაშვილი
IRAKLI ASASHVILI

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდონეზიის რესპუბლიკაში – აკრედიტებული სინგაპურის რესპუბლიკაში, ტიმორ ლესტეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ფილიპინების რესპუბლიკაში და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციაში (ASEAN)

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF INDONESIA - ACCREDITED TO THE REPUBLIC OF SINGAPORE, DEMOCRATIC REPUBLIC OF TIMOR-LESTE, REPUBLIC OF THE PHILIPPINES AND ASSOCIATION OF SOUTHEAST ASIAN NATIONS (ASEAN)

დაიბადა: 23 თებერვალი, 1972 წელი, ქ. მოსკოვი, რუსეთი.

განათლება:

1992-1994 – “Philips Junior College and Salt Lake Community College”; სოლტ ლეიკ სითი, იუტა, აშშ;

სპეციალობა: ფინანსები.

1994-1998 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი; სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა.

სამუშაო გამოცდილება:

1998 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის სტაჟიორი;

1999-2002 – სტამბულში საქართველოს გენერალური საკონსულოს ატაშე;

2002-2003 – II მდივანი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი;

2003-2005 – სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი;

2005-2007 – კონსული, საქართველოს საელჩო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში;

2008 – სამმართველოს უფროსი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი;

2008-2012 – კონსული, საქართველოს საელჩო ლიეტუვას რესპუბლიკაში;

2012 – საქართველოს გენერალური კონსული ტრაპიზონში;

2012-2017 – საქართველოს გენერალური კონსული სტამბოლში;

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჯილდოები: ღირსების ორდენი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

დავით აფციაური
DAVID APTSIAURI

2004-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიეტუვას, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში

2004-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLICS OF LITHUANIA, LATVIA AND ESTONIA

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, მონღოლეთსა და ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში

2014-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE PEOPLE'S REPUBLIC OF CHINA, MONGOLIA AND SOCIALIST REPUBLIC OF VIETNAM

დაიბადა: 22 სექტემბერი, 1958 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

დავით აფციაურმა უმაღლესი განათლება მიიღო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, არის ეკონომიკის დოქტორი, გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საერთაშორისო ეკონომიკოს საკითხებზე ცნობილ საქართველოს და უცხოურ ჟურნალებსა და გაზეთებში.

სამუშაო გამოცდილება:

დავით აფციაური კარიერული დიპლომატია და გააჩნია დიპლომატიური საქმიანობის თითქმის 30 წლიანი პროფესიონალური გამოცდილება.

2000-2004 – იკავებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის და პირველი მოადგილის თანამდებობას, იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების კოლეგიის წევრი. დიპლომატიური საქმიანობის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია გაეროს რიგი მნიშვნელოვანი ორგანოების არჩევნებში და ევროპულ ეკონომიკური პროფილის ორგანიზაციებში, როგორც კანდიდატი მაღალი რანგის პოზიციებზე.

დიპლომატიურ საქმიანობასთან ერთად ელჩი დავით აფციაური, როგორც მიწვეული პროფესორი და წამყვანი მკლევარი, აქტიურ მონაწილებას ღებულობდა საქართველოს და უცხოეთის უნივერსიტეტებში და წამყვან კვლევით ცენტრებში, სასწავლო და კვლევითი პროგრამების განხორციელებაში, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემატიკას. ამჟამად მიწვეული პროფესორის რანგში კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო და ჩინეთის წამყვან უნივერსიტეტებში, ხოლო 1994-2013 – კითხულობდა ლექციებს ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში, ფლორიდის უნივერსიტეტში და ა. შ. ასევე მონაწილეობას ღებულობდა გაეროს ეგიდით ორგანიზებულ მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციებში, მიწვეული მაღალი დონის ექსპერტის რანგში თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნებისა და საქართველოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან. წლების განმავლობაში მონაწილეობა მიიღო მრავალ საერთაშორისო კონფერენციებში და ფორუმებში ამერიკის, ევროპის და აზიის ქვეყნებში.

2019-დან იკავებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის თანამდებობას.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ნიკოლოზ აფხაზავა
NIKOLOZ APKHAZAVA

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კორეის რესპუბლიკაში

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF KOREA

2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მალაიზიაში, ბრუნეი დარუსალამში, ლაოსის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მიანმარის კავშირის რესპულიკაში და კამბოჯის სამეფოში

FROM 2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO MALAYSIA, BRUNEI DARUSSALAM, LAO PEOPLE'S DEMOCRATIC REPUBLIC, REPUBLIC OF THE UNION OF MYANMAR AND THE KINGDOM OF CAMBODIA

დაიბადა: 6 ივლისი, 1971 წელი, ქ. ზუგდიდი, საქართველო.

განათლება:

1988-1993 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; **1993-1994** – ფერარას უნივერსიტეტი, იტალია; იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა – ევროგაერთიანების სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, სერტიფიკატი; **07/1996-08/1996** – ბრიტანეთის საბჭო, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი; სპეციალობა – ბრიტანეთის ინდუსტრიის მენეჯმენტი, სერტიფიკატი; **1997-2000** – იოკოჰამას სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაპონია; საერთაშორისო და ბიზნესის სამართლის ასპირანტურა, სპეციალობა – საერთაშორისო სამართალი, მაგისტრის დიპლომი; **2000-2003** – იოკოჰამას სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაპონია; სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასპირანტურა, საერთაშორისო სამართალის დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

07/1993-10/1993 – საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წამყვანი სპეციალისტი, თბილისი; **10/1994-09/1995** – წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, თბილისი; **01/1996-12/1996** – საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილე; **01/1997-03/1997** – ჰაგლერ ბაილი კონსალტინგის იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილე; **01/2007-01/2008** – სასაკავას მშვიდობის ფონდის პროექტის მენეჯერი, ტოკიო; **09/2008-10/2008** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **09/2008-12/2011** – საქართველოს საელჩო იაპონიაში, უფროსი მრჩეველი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, იაპონურ და იტალიურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდო: კორეის რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდო ღირსეული დიპლომატიური სამსახურისთვის – გვანგვას მედალი.

თეა ახვლედიანი
TEA AKHVLEDIANI

2014-2019 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესტონეთის რესპუბლიკაში

2014-2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ESTONIA

დაიბადა: 10 იანვარი, 1975 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1991-1996 – სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ეკონომიკის ფაკულტეტზე; **2006-2007** – საერთაშორისო კვლევებისა და სტრატეგიის ევროპული ცენტრი, პარიზის უნივერსიტეტის (XI/Sacley) ინტერდისციპლინარული სწავლებების კოლეჯი (ბელგიის სამეფო, ქ. ბრიუსელი), სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო პოლიტიკაში; **1999-2012** – გავლილი აქვს მრავალი სასწავლო კურსი და ტრეინინგი საქართველოში, ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში.

სამუშაო გამოცდილება:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

1997-1999 – ადმინისტრაციული, ისევე როგორც საერთაშორისო ეკონომიკური დეპარტამენტების სტაჟიორი; **1999-2000** – ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის ატაშე; **2000-2001** – ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის მეორე მდივანი; **2001-2002** – ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის, პოლიტიკური ანალიზის და საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობის და თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი; **2002-2004** – ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2004** – ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი; **2004-2008** – ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს, ევროკავშირთან საქართველოს მისიის მრჩეველი; **2008** – ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2008-2014** – ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი; **2010-2013** – საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების გენერალური აღმასრულებელი მდივანი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2019-2020 – მინისტრის მოადგილე, შრომითი მიგრაციის საკითხებში.

2020 წლის 6 აგვისტოდან – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს, ასევე საბაზისო ფრანგულს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: პირველი კლასის „ტერა მარიანას“ ჯვრის ორდენი, ესტონეთი, „მერიტ სილვერ“ მედალი (Medal of Merit Silver) – ბალტიის თავდაცვის კოლეჯი, საქართველოს ღირსების ორდენი.

მისი სამეფო უმაღლესობა

ქეთევან ბაგრატიონ მუხრანბატონი

HER ROYAL HIGHNESS

KETEVAN BAGRATION - MUKHRANBATONI

2005-2014 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წმიდა საყდართან (ვატიკანი) – აკრედიტებული მალტის სუვერენულ სამხედრო ორდენთან

2005-2014 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HOLY SEE (VATICAN) – ACCREDITED TO THE SOVEREIGN MILITARY ORDER OF MALTA

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წმიდა საყდართან (ვატიკანი) – აკრედიტებული მალტის სუვერენულ სამხედრო ორდენთან

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HOLY SEE (VATICAN) – ACCREDITED TO THE SOVEREIGN MILITARY ORDER OF MALTA

დაიბადა: 20 ივლისი, 1954 წელი, ტალანსი, საფრანგეთი.

განათლება:

1971 – ბაკალავრი ფილოსოფიასა და ფილოლოგიაში; **1973** – უნივერსიტეტის დიპლომი ფილოლოგიაში, რუსული ენის განყოფილება; **1974** – ჩეხური ენის მე-3 კურსის დამთავრების დიპლომი; **1974** – ფილოლოგის ლიცენზია, რუსული ენის განყოფილება; **1975-1976 წლებში** – რვა თვიანი სასწავლო სტიპენდია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ორ თვიანი სასწავლო სტიპენდია თბილისის ივ. ჯავახიშვილი სახელობის უნივერსიტეტში, 1986 – იღებს სასოფლო-სამეურნეო ექსპერტის დიპლომს.

სამუშაო გამოცდილება:

1991 – აარსებს იტალიურ-ქართულ ასოციაციას „წმინდა გიორგის ფარი“ და არის მისი პრეზიდენტი 2005 წლის 9 მარტამდე. ამ წლების განმავლობაში მონაწილეობა მიიღო და ითანამშრომლა სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან (CRI, WFP, Caritas, „Insieme per la Pace“), საქართველოს ტერიტორიაზე ჰუმანიტარული დახმარების პროექტების განხორციელებაში, ჩაატარა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ხელი შეუწყო საერთაშორისო დონის პოლიტიკურ შეხვედრებში ქართული დელეგაციების მონაწილეობას; **1997** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით მონაწილეობას იღებს საქართველოს პრეზიდენტის იტალიის რესპუბლიკასა და წმინდა საყდარში სახელმწიფო ვიზიტისა და რომის პაპთან, იოანე-პავლე II შეხვედრის ორგანიზებაში; **1999** – მონაწილეობა მიიღო რომის პაპის იოანე-პავლე II საქართველოში ვიზიტის ორგანიზებაში.

ფლობს: ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ, რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: **1992** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი, **1995** – ენიჭება საქართველოს საპატიო მოქალაქეობა პასპორტი N.001, ანტონ I ბაგრატიონის სახელობის ოქროს მედალი, ინვალიდთა და ვეტერანთა წმინდა თამარ მეფის ორდენის ოქროს მედალი, **2000** – საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მისი უწმინდესობა ილია II მიერ დამსახურების სიგელი, **2007** – წმინდა საყდრის პიუს IX ორდენის დიდი ჯვარი, **2009** – ანჰალტების საგვარეულოს „ალბრეხტის დათვის“ დიდი ჯვარი, **2013** – მალტის სუვერენული სამხედრო ორდენის დიდი ჯვარი.

გიორგი ბადრიძე
GIORGI BADRIDZE

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირლანდიაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი მსოფლიოს საზღვაო ორგანიზაციაში.

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND, AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO IRELAND, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE INTERNATIONAL MARITIME ORGANIZATION.

დაიბადა: 13 მარტი, 1968 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995-1996 – ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (პრაღა, ბუდაპეშტი), მაგისტრატურა საერთაშორისო ურთიერთობებში და ევროპულ სწავლებებში; **1985-1992** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (წარჩინებით); **1989** – ვილიამს კოლეჯი, მასაჩუსეტსი, აშშ, გაცვლითი სტუდენტი; **2004 და 2006** – გავლილი აქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტი-ტერორისტული კურსები, ამერიკული უნივერსიტეტი (AU) და მერილენდის უნივერსიტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1991-1992 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტაჟიორი; **1992-1993** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის მეორე მდივანი; **1993-1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის პარტნიორულ ურთიერთობათა განყოფილების უფროსი; **1994-1995** – საქართველოს მინისტრთა კაბინეტის აპარატის უფროსის თანაშემწე საერთაშორისო საკითხებში; **1995** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის სამმართველოს უფროსის მოადგილე; **1996-1997** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის და ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტის დასავლეთ ევროპის სამმართველოს უფროსი; **1997-1998** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის და ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **1998** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის და ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი; **1999-2002** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი თურქეთის რესპუბლიკაში; **2003** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2004-2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი; **2007-2008** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში; **2013-დან** – საქართველოს სტრატეგიის და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მკვლევარი; **2014-დან** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი საერთაშორისო ურთიერთობებში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს, ასევე საბაზისო თურქულს, იტალიურს და გერმანულს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გრიგოლ (გიგლა) ბარამიძე

GRIGOL (GIGLA) BARAMIDZE

1995-1999 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში

1995-1999 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARMENIA

დაიბადა: 4 იანვარი, 1960 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1976-1981 – დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესიით ფილოლოგი – აღმოსავლეთმცოდნე, სამართალმცოდნე;

1982-1984 – წარმატებით გაიარა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურა.

სამუშაო გამოცდილება:

1982-1985 – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; **1985-1992** – სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქ. თბილისის, რესპუბლიკის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე, პირველი მდივანი; **1994-1995** – პრეზიდენტის მრჩეველი; **1997-2002** – საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამხრეთ საქართველოში (სამცხე-ჯავახეთი).

2004-2013 – პოლიტიკური დევნილი.

2014-დან – ეწევა პოლიტიკურ და მეცნიერულ საქმიანობას.

გუბერნატორობის პერიოდში მისი უშუალო თანამონაწილეობითა და ორგანიზებით მხარეში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების კუთხით, რამაც შესაძლებელი გახადა რეგიონის სტაბილური განვითარების პერსპექტივა. სამხრეთ საქართველოდან გაყვანილ იქნა უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები და მათ ნაცვლად რეგიონში და საზღვრის მთელ პერიმეტრზე განთავსდნენ ქართველი ჯარისკაცები. ასევე, განხორციელდა, როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო მასშტაბის პროექტები. გაიხსნა თბილისის სასწავლებლების ადგილობრივი ფილიალები, აღდგა ეროვნული სიმბოლიკა, პირველად საქართველოში ახალციხეში აღიმართა წმინდა მეფეთა მეფე თამარის ძეგლი.

არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, 100-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი.

ფლობს: (სხვადასხვა დონეზე) ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, სომხურ, ძველ ბერძნულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: დაჯილდოებულია საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II მედლით (2000 წელი მართლმადიდებლობის), ასევე ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის, გარეგინ I ორდენით (სპიტაკის მიწისძვრით დაზარალებულთათვის გაწეული განსაკუთრებული დახმარებისთვის).

დავით ბაქრაძე
DAVID BAKRADZE

2012-2014 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთსა და სერბეთის რესპუბლიკაში

2012-2014 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HELLENIC REPUBLIC – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF SERBIA

2016-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში

FROM 2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED STATES OF AMERICA

დაიბადა: 30 დეკემბერი, 1975 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1992-1997 – სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

სამუშაო გამოცდილება:

1996-1997 – საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახური;

1997-2002 – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ადამიანის უფლებებისა და სამართლის დეპარტამენტი;

2002-2005 – გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დესპანი;

2005-2008 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის უფროსი;

2008-2012 – უფროსი მრჩეველი და საქმეთა დროებითი რწმუნებული საქართველოს საელჩოში ფინეთის რესპუბლიკასა და შვედეთის სამეფოში;

2014-2016 – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ზაზა ბეგაშვილი
ZAZA BEGASHVILI

2008-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

2008-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE PEOPLE`S REPUBLIC OF CHINA

დაიბადა: 21 ოქტომბერი, 1965 წელი, ქ. მცხეთა, საქართველო.

განათლება:

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1985-1990 – მუშაობდა პარტიულ თანამდებობაზე;

1990-1997 – ეწეოდა ბიზნეს საქმიანობას;

2002-2003 – იყო ნაციონალური მოძრაობის წევრი;

2004-დან – თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე; ევროსაბჭოს კონგრესის მერიის წევრი;

2005-დან – რეგიონალური პალატის ვიცე-პრეზიდენტი;

შემდგომ მუშაობდა საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში გენერალური დირექტორის მოადგილედ.

ზურაბ ბერიძე
ZURAB BERIDZE

2004-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში და მოლდოვას რესპუბლიკაში

2004-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO ROMANIA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF MOLDOVA

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის რესპუბლიკაში

2014-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BULGARIA

დაიბადა: 4 თებერვალი, 1958 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1981 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

სამეცნიერო ხარისხი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

2018-დან – მინისტრის სამდივნოს უფროსი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **2009-2011** – საგანგებო დავალებათა ელჩი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **2000-2004** – მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორი, სუამი-ს ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **2000** – პირველი ევროპული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1997-2000** – საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაეროსთან, უფროსი მრჩეველი; **1992-1997** – საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1992** – აშშ-ს განყოფილების გამგე, ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1991-1992 –** ევროპის განყოფილების გამგის მოადგილე, ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1986-1991** – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრი; **1988-1990 –** საერთაშორისო მიმომხილველი, საქართველოს ტელერადიო კომიტეტი; **1983-1986** – ასპირანტი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტი; **1982-1983** – უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ბულგარეთის „მადარის ცხენოსნის“ პირველი ხარისხის ოქროს ორდენი, 2018 წ.

როლანდ ბერიძე
ROLAND BERIDZE

2014-2019 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქუვეითის სახელმწიფოში – აკრედიტებული არაბთა გაერთიანებულ სამეფოებში

2014-2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF KUWAIT – ACCREDITED TO THE UNITED ARAB EMIRATES

დაიბადა: 12 სექტემბერი, 1959 წელი, ქ. რუსთავი, საქართველო.

განათლება:

1976-1981 – ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. ინგლისური ენის და ლიტერატურის ფაკულტეტი;

1981-1983 – სწავლობდა სინქრონული თარჯიმნების უმაღლეს კურსებზე Diploma cum laude;

2002 – გაიარა პრინსტონის უნივერსიტეტის (Princeton University, USA) სამაგისტრო პროგრამა და მიიღო მაგისტრის წოდება საჯარო პოლიტიკის საკითხებში (Master in Public Policy).

სამუშაო გამოცდილება:

1983-1990 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ინფორმაციის დეპარტამენტი – მეორე, შემდგომ პირველი მდივანი;

1990-1992 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

1992-1997 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის დეპარტამენტის დირექტორი;

1997-2001 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი საკონსულო საკითხებში;

2002-2003 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების, კანადასა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის უფროსი;

2003-2014 – Georgian Airways, გენერალური დირექტორის მოადგილე საგარეო ურთიერთობების დარგში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

თამარ ბერუჩაშვილი
TAMAR BERUCHASHVILI

2016-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში

2016-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND

2016-დან – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში

FROM 2016 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE INTERNATIONAL MARITIME ORGANIZATION

დაიბადა: 9 აპრილი, 1961 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

2002-2006 – ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტურა. კვალიფიკაცია – ეკონომიკის დოქტორი; **1978-1985** – მოსკოვის ლუმუმბას სახ. ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (ქიმიკოსი), უცხო ენათა ფაკულტეტი (ფრანგული ენა); **1996-1998** – ბლუმინგტონი, ინდიანას უნივერსიტეტი, აშშ – მაგისტრის ხარისხი (საერთაშორისო და შედარებითი საჯარო პოლიტიკა); პროფესიული ტრეინინგები ლიმერიკის უნივერსიტეტი (ირლანდია), კარლტონის უნივერსიტეტი (კანადა).

სამუშაო გამოცდილება:

11.11.2014-3.09.2015 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი; **04/04/2013-11/2014** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **10/2012-03/2013** – ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე; **01/2011-10/2012** – ვიცე-პრემიერის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მთავარი მრჩეველი; **12/2004-01/2011** – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე; **02/2004-12/2004** – სახელმწიფო მინისტრი ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; **12/2003-02/2004** – სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო კანცელარია; **06/2000-12/2003** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **1998-2000** – ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი; **06/1998-08/1998** – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილე; **05/1997-08/1997** – დოქტორ ზბიგნევ ბზეჟინსკის ოფისი, ანალიტიკოსი – ვაშინგტონი, აშშ; **1994-1996** – საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს ევროკავშირის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა ტასისის (TACIS) საკოორდინაციო ბიუროს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე; **1990-1994** – საქართველოს მეცნიერებათა და ტექნიკის სახელმწოფო კომიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის მთავარი სპეციალისტი; **1986-1990** – ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტი, უმცროსი მეცნიერ მუშაკი.

2000-დან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას (თსუ, ჯიპა, ილიას უნივერსიტეტი).

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. (2000)

ოთარ ბერძენიშვილი

OTAR BERDZENISHVILI

2011-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – აკრედიტებული კოლუმბიის რესპუბლიკაში, პერუს რესპუბლიკაში, ბოლივიის მრავალეროვან სახელმწიფოში, ეკვადორის რესპუბლიკაში, ტრინიდადი და ტობაგოს რესპუბლიკაში, გაიანის კოოპერატიულ რესპუბლიკაში, სურინამის რესპუბლიკაში და საქართველოს წარმომადგენელი კარიბის ქვეყნების გაერთიანებაში (CARICOM)

2011-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERATIVE REPUBLIC OF BRAZIL – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF COLOMBIA, THE REPUBLIC OF PERU, THE PLURINATIONAL STATE OF BOLIVIA, THE REPUBLIC OF ECUADOR, THE REPUBLIC OF SURINAME, THE CO-OPERATIVE REPUBLIC OF GUYANA AND THE REPUBLIC OF TRINIDAD AND TOBAGO, REPRESENTATIVE TO THE CARIBBEAN COMMUNITY

2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კორეის რესპუბლიკაში

FROM 2017– AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF KOREA

დაიბადა: 19 სექტემბერი,1978 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1999 – დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტი; **2002** – დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის მაგისტრატურა; **2005-2006** – ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, SAIS საზაფხულო პროგრამა – უმაღლეს საერთაშორისო სწავლებათა სკოლა – საერთაშორისო ურთიერთობები, საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ბიზნესი; **2008** – ნატოს თავდაცვის კოლეჯი, რომი, იტალია – ევროატლანტიკური უსაფრთხოება, ნატოს ტრანსფორმაცია, გლობალური უსაფრთხოების გარემო და ნატო; **2009** – ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების სწავლების ევროპული ცენტრი, გარმიშ-პარტენკირხენი, გერმანია – გლობალური უსაფრთხოება, ტრანსნაციონალური გამოწვევა, საერთაშორისო ნორმები, შეიარაღებული კონფლიქტი და ტერორიზმი.

სამუშაო გამოცდილება:

1999-2000 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი; **2000-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს მეორე მდივანი; **2004-2008** – საქართველოს საელჩო აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში, პირველი მდივანი; **2008-2009** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე; **2009-2010** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი; **2016** – საგანგებო დავალებათა ელჩი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ფლობს: ინგლისურ, პორტუგალიურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდო: ბრაზილიის ეროვნული უმაღლესი ორდენი – „დიდი სამხრეთის ჯვარი“.

ზურაბ ბექაია
ZURAB BEKAIA

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვენიის რესპუბლიკაში

2014 -2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF SLOVENIA

დაიბადა: 10 აგვისტო, 1974 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1991-1996 – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; მიიღო იურისტის კვალიფიკაცია; **1996 წლის სექტემბერი-ნოემბერი** – ახალგაზრდა დიპლომატთა კურსები, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სამუშაო გამოცდილება:

1994-1995 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმასრულებელი სამდივნოს სტაჟიორი; **1995-1996** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის სტაჟიორი; **1996-1997** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპისა და ამერიკის დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის სამმართველოს ატაშე; **1997-1998** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპისა და ამერიკის დეპარტამენტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამმართველოს პირველი მდივანი; **1999-2002** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე ევროპული დეპარტამენტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამმართველოს უფროსი; **2002-2005** – ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში; **2005-2007** – საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სამართლებრივი ექსპერტიზის სამსახურის უფროსი; **2007-2013** – სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სამართლებრივი ექსპერტიზისა და მარეგულირებელ კომისიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი; **2013-2014** – საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული კვიპროსის რესპუბლიკაში; **2018** – შპს „აგრიფარმინგის“ დამფუძნებელი და დირექტორი.

სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა:

დეკემბერი 1998 – მარტი 1999 – ეუთო-ს კოსოვოს სავერიფიკაციო მისია.

ივლისი 2000 – დეკემბერი 2001 – ეუთო-ს მისია კოსოვოში, დემოკრატიზაციის ოფიცერი, ისტოკი/კლინას საველე ოფისის უფროსი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

რევაზ ბეშიძე
REVAZ BESHIDZE

2006-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში, საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

2006-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO NATO, HEAD OF MISSION OF GEORGIA

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO JAPAN

2016-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პორტუგალიის რესპუბლიკაში

2016-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF PORTUGAL

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთის რესპუბლიკაში

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SLOVAK REPUBLIC

დაიბადა: 5 ნოემბერი, 1959 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1982 – დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალობით გეოგრაფია; **1990** – დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა. არის გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **1998-1999** – სწავლობდა ნატოს თავდაცვის კოლეჯში (NDC) უმაღლეს კურსზე; **2005** – დაამთავრა დიდი ბრიტანეთის სამეფო თავდაცვის კოლეჯის (RCDS) საერთაშორისო ურთიერთობების სრული კურსი.

სამუშაო გამოცდილება:

1983-1996 – მუშაობდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოგვიანებით (1989-დან) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში სხვადასხვა თანამდებობაზე: ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი, გეოგრაფიის კათედრის გამგე; **1996-დან** – მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე: საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის მესამე მდივანი; სამხედრო-პოლიტიკურ დეპარტამენტში: მესამე მდივანი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, დეპარტამენტის დირექტორი; **2004-2006** – იყო უსაფრთხოების პოლიტიკის და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი; **2013-2015** – საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, იაპონურ და პორტუგალიურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გიორგი (გიგა) ბურდული
GIORGI (GIGA) BURDULI
1952-2008

OSCE 2002-2005 – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი

2002-2005 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO OSCE AND OTHER INTERNATIONAL ORGANISATIONS IN VIENNA

დაიბადა: 20 ივლისი, 1952 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1969-1974 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი;

1979-1983 – ასპირანტურა, მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება:

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან გიორგი (გიგა) ბურდული მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ, პირველ მოადგილედ და მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საგარეო უწყების ჩამოყალიბებასა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განვითარების საქმეში;

1996 – ხელმძღვანელობდა საქართველოს დელეგაციას „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ ხელშეკრულების განხილვის კონფერენციაზე (უშიშროების კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარესთან, რეზო ადამიასთან, ერთად). მისმა საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა 1999 წლის ეუთოს სტამბოლის ისტორიული ხელშეკრულების ხელმოწერას, 1999 წელს, სამიტის შემდეგ, ხელი მოაწერა ისტორიულ სტამბოლის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციას უნდა გაეყვანა რუსული სამხედრო ბაზები ვაზიანიდან და გუდაუთადან 2001 წლის 1 ივლისამდე.

8-10/04/2002 – ხელმძღვანელობდა ათენში საქართველოსა და საბერძნეთს შორის პოლიტიკურ კონსულტაციებს, რომელთა მთავარი თემა იყო საქართველო-საბერძნეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები და სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარება.

12//2006 – გიგა ბურდული გახდა საქართველოს საგარეო ურთიერთობების საბჭოს ერთ-ერთი თანადამფუძნებელი.

11/2016 – საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, ქართული დიპლომატიის დღეს, ქართული დიპლომატიის განვითარების, საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ღვაწლისათვის გიორგი ბურდული, გარდაცვალების შემდეგ, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

ფლობდა: ინგლისურს და რუსულს ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

კონსტანტინე გაბაშვილი

KONSTANTINE GABASHVILI

1993-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – 2001 წლიდან ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში, ასევე, ბონში განლაგებულ გაეროს კლიმატის ცვლილების ორგანიზაციაში

1993-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY – ACCREDITED IN 2001 TO THE REPUBLIC OF POLAND, ALSO IN UN ORGANIZATION IN BONN OF CLIMATE CHANGING

2008-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში, სან მარინოში და მალტაში, ასევე ქ. რომში განლაგებულ გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებში (FAO, IFAD, WFP)

2008-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO ITALY, SAN-MARINO AND MALTA, ALSO IN UN INTERNATIONAL ORGANIZATIONS (FAO, IFAD, WFP) IN ROME

დაიბადა: 26 სექტემბერი, 1948 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1966-1971 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სემიტოლოგიის სპეციალობა; მიიღო აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგის და ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია; **1971-1993** – თსუ ფილოლოგიის ფაკ-ის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ასპირანტი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-მუშაკი, მასწავლებელი, დოცენტი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში; **1995** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (კანდიდატი, დოცენტი).

სამუშაო გამოცდილება:

1982-1993 – კოორდინირებული ენათა სწავლების ე. წ. „გერმანული სკოლის“ სამეცნიერო თანაავტორი და დამფუძნებელი (გ. რამიშვილთან ერთად);

1991 – განათლების მინისტრის მოადგილე;

1992 – სახელმწიფო საბჭოს წევრი; საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე;

1993 – საქართველოს განათლების მინისტრი;

1993 – ქალაქ თბილისის მერი;

2004-2008 – საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე;

2014 – ილიაუნის და თსუ-ს მიწვეული ლექტორი, საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის თემებზე.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

წოდება: ფილოლოგიის დოქტორი, ომის ვეტერანი.

ჯილდოები: გერმანიის დამსახურების დიდი ორდენი, აკაკი წერეთლის სახ. პრემიის ლაურეატი, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი.

მამუკა გამყრელიძე
MAMUKA GAMKRELIDZE

2011-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ვიეტნამსა და მონღოლეთში

2011-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE PEOPLE`S REPUBLIC OF CHINA – ACCREDITED TO THE SOCIALIST REPUBLIC OF VIETNAM AND MONGOLIA

დაიბადა: 17 მაისი, 1958 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1976-1982 – საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი;

1984-1987 – ასპირანტურა აზერბაიჯანის პარაზიტოლოგიის ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება:

1982-1989 – საქართველოს პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

1989-1992 – საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი საწარმო ინტელტექის გენ. დირექტორი;

1993-2009 – ხელმძღვანელობდა სხვადასხვა დეველოპერულ ავსტრიულ და რუსულ კომპანიებს მოსკოვში;

2009-2010 – ტელეკომპანია რუსთავი 2-ის თანამშრომელი;

2010-2011 – ტელეკომპანია GMG-ს დამფუძნებელი გენ. დირექტორი;

2013-დან – მოღვაწეობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ბრწყინვალების ორდენი.

პაატა გაფრინდაშვილი

PAATA GAPRINDASHVILI

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ქ. ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AUSTRIA, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE OSCE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN VIENNA

დაიბადა: 2 ივლისი, 1972 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1989-1994 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; **2000** – გავლილი აქვს გერმანიაში ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრის უფროსი აღმასრულებლის კურსი; **2001** – გავლილი აქვს ლონდონში, გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის აკადემიის თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლების სამეფო კოლეჯის კურსი.

სამუშაო გამოცდილება:

1994-1996 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის მესამე მდივანი, შემდგომში სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის პირველი მდივანი; **1996-1999** – საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი; **1999-2001** – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი; **2002-2003** – საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული რუმინეთში; **2003-2004** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი უკრაინაში; **2004** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე; **2005** – ეროვნული უშიშროების საბჭოს თავდაცვის განვითარების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი; **2005-2009** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ავსტრიის რესპუბლიკაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ეუთოსა და ქ. ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში; **2013-2016** – მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრის, საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორის მოადგილე და მედია პროექტ ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი; **2016** – მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრის, საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

დიპლომატიური რანგი: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

ჯილდოები: 2013 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

რევაზ გაჩეჩილაძე
REVAZ GACHECHILADZE

1998-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში
1998-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF ISRAEL

2005-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში
2005-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARMENIA

2014-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში
2014-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND

2016-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთის რესპუბლიკაში
2016-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF SLOVAKIA

დაიბადა: 4 მაისი, 1943 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1960-1965 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მიიღო აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსის კვალიფიკაცია; **1965-1968** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ გეოგრაფიაში; დაიცვა დისერტაცია გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (1969); **1973-1974** – სტაჟირება ლონდონის უნივერსიტეტის კინგს კოლეჯში.

სამუშაო გამოცდილება: 1968-დან – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის კათედრა/დეპარტამენტი – ასისტენტიდან პროფესორამდე (1990-დან – გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, 1993-1998 – კათედრის გამგე); **1997-1998** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი; **2008-2016** – საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი; **2009-2010** – საგანგებო დავალებათა ელჩი.

ფლობს: რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, თურქულ, პოლონურ და სხვა ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (ლონდონი) საპატიო უცხოელი წევრი (1999 წლიდან); მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2002) მონოგრაფიისათვის The New Georgia: Space, Society, Politics. UCL Press, London (1995); ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის სამეცნიერო პრემიის ლაურეატი (2010) მონოგრაფიისათვის „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა, (მე-2 გამოცემა, 2008); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009-2018) და წევრი (2018 წლიდან).

არის 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის 20 მონოგრაფიის) ავტორი.

არჩილ გეგეშიძე
ARCHIL GEGESHIDZE

2013- 2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში – აკრედიტებული ბაჰამის თანამეგობრობაში, ჰაიტის რესპუბლიკასა და გრენადაში

2013-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED STATES OF AMERICA – ACCREDITED TO THE COMMONWEALTH OF THE BAHAMAS, REPUBLIC OF HAITI AND GRENADA

დაიბადა: 9 დეკემბერი, 1956 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1973-1978 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით; მიიღო გეოგრაფის კვალიფიკაცია;

1978-1981 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრის ასპირანტურა;

სამეცნიერო ხარისხი: 1985 – გეოგრაფიის დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

1992 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

1992-1994 – საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატის ეროვნული უსაფრთხოების საგარეო-პოლიტიკური უზრუნველყოფის ჯგუფის მრჩეველი;

1995-1996 – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში;

1996-2000 – სახელმწიფო კანცელარიის საგარეო პოლიტიკის ანალიზის განყოფილების უფროსი; საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

2000-2001 – სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) ფულბრაიტის სახელობის სტიპენდიანტი მკვლევარი;

2001-2013 – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მთავარი მკვლევარი;

2016 – ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, სპარსულ და ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ღირსების ორდენი (2003 წ.).

გიგი გიგიაძე
GIGI GIGIADZE

2016-2021 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიის სამეფოში – აკრედიტებული ისლანდიის რესპუბლიკაში

2016-2021 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF DENMARK – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF ICELAND

დაიბადა: 11 აპრილი, 1978 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1999 – დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;

2001 – დაამთავრა მაგისტრატურა იგივე სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

2000-დან – მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში;

2000 – საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ატაშე;

2000-2001 – პირველი ევროპული დეპარტამენტის III მდივანი;

2001-2003 – პირველი ევროპული დეპარტამენტის მრჩეველი;

2003-2006 – საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი;

2006-2007 – საბერძნეთისა და ხორვატიის რესპუბლიკებში საქართველოს საელჩოს მრჩეველი;

2007-2008 – ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის მრჩეველი;

2008-2009 – ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის I ევროპული სამმართველოს უფროსი;

2009-2010 – ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2010-2012 – ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი;

2012-2014 – გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;

2013-2014 – გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში საქმეთა დროებითი რწმუნებული;

2014-2016 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) მთავარი მომლაპარაკებელი.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ირაკლი გივიაშვილი

IRAKLI GIVIASHVILI

2017-დან – ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი
FROM 2017 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE COUNCIL OF EUROPE

დაიბადა: 21 დეკემბერი, 1975 წელი, ქ. გორი, საქართველო.

განათლება:

1993-1998 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობა საერთაშორისო სამართალი, იურისტის კვალიფიკაცია;

2000-2001 – ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის (გერმანია) იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა, სამართლის მაგისტრის ხარისხი;

2003-2011 – ნოტინგემ ტრენტ უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) ნოტინგემის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამა, სამართლის დოქტორის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

1999 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის სტაჟიორი;

1999-2002 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ატაშე/III მდივანი;

2002-2004 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი;

2006-2007 – საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მინისტრის სამდივნოს სამმართველოს უფროსი;

2007-2010 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი;

2011-2014 – საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე;

2014-2017 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ილია გიორგაძე
ILIA GIORGADZE

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში
2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO ROMANIA

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესპანეთის სამეფოში
FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SPAIN

დაიბადა: 8 ნოემბერი, 1975 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-1991 – Shady Side აკადემია, პიტსბურგი, აშშ; **1991-1996** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობა; **1998-1999** – ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა LSE, ლონდონის უნივერსიტეტი, მიიღო საერთაშორისო და ევროპული სამართლის მაგისტრის ხარისხი; **2005** – ლიდერთა კურსი, ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების სწავლებათა ევროპული ცენტრი, გერმანია; **2017** – მიენიჭა Aurel Vlaicu-ს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი, რუმინეთი.

სამუშაო გამოცდილება:

1997-1998 – საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა დაკანონიერების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი; **2000-2001** – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე; **2001-2004** – ამერიკის იურისტთა ასოციაციის იურისტი – სასამართლო რეფორმისა და ანტიკორუფციული პროგრამის დირექტორი; **2004** – თავდაცვის სამინისტროს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი; **2004-2005** – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2000-2005** – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, უფროსი მასწავლებელი; **2005-2006** – საგარეო საქმეთა სამინიტროს ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2006-2009** – ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკებში საქართველოს საელჩოს, ეუთო-სა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში უფროსი მრჩეველი; **2009- 2012** – ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისოორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ნოდარ გიორგაძე
NODAR GIORGADZE

1993/04-1996/10 – საქართველოს პირველი მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ქ. ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში (საქართველოს პირველი დიპლომატიური მისია ქ. ვენაში)

1993/04-1996/10 – FIRST PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE OSCE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN VIENNA (FIRST DIPLOMATIC MISSION OF GEORGIA IN VIENNA)

დაიბადა: 15 ოქტომბერი, 1952 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტი, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

1977-1990 – მუშაობდა შინაგან საქმეთა სისტემაში და პარტიულ თანამდებობებზე;

1981-1983 – მსახურობდა ავღანეთში;

1990 – აირჩიეს ავღანეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარედ, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანელთა) პარტიის (შემდგომში – საქართველოს ვეტერანთა დაცვის პარტიის) თავმჯდომარედ;

1991 წლის 10 აგვისტოდან ოქტომბრამდე – დამოუკიდებელი ქვეყნის ახლადშექმნილი თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი;

1991-1993 – საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

1992-1993 – საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი: პროპორციული სიით, №4 საარჩევნო ოლქი, ბლოკი „ერთობა“, თავდაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; საქართველოს პრეზინდენტის მრჩეველი თავდაცვის საკითხებში;

1994 ოქტომბრიდან-1996 წლის ოქტომბრამდე – საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ავსტრიის რესპუბლიკაში;

1996-დან – არის გაეროს ომების ვეტერანთა მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დელეგატი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში;

1998-დან – ჯინო ჰოლდინგის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

ფლობს: სლოვაკურ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჯილდოები: ავღანეთის დიდებისა და ხალხთა მეგობრობის ორდენი, თბილისის საპატიო მოქალაქე, სლოვაკეთის (ბეშენოვა) საპატიო მოქალაქე.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯემშიდ გიუნაშვილი

JAMSHID GIUNASHVILI

1931-2017

1994-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში

1994-2004 - AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ISLAMIC REPUBLIC OF IRAN

დაიბადა: 1 მაისი, 1931 წელი, ქ თეირანი, ირანი.

განათლება:

1953 – დაამთავრა ქ. ტაშკენტის შუა აზიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანულ-ავღანური ფილოლოგიის განყოფილება.

სამეცნიერო ხარისხები და წოდებები: 1958 – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; **1966** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **1970-დან** – პროფესორი; **1985-დან** – Societas Iranologica Europaea-ს წევრი; **1994-დან** – „საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე; **2010** – წოდება გამორჩეული მკვლევარი (თეირანი).

სამუშაო გამოცდილება:

1956-1958 – მუშაობდა სპარსული ენის მასწავლებლად ქ. ტაშკენტის უნივერსიტეტში;

1958-1994 – სხვადასხვა თანამდებობებზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

საქართველოს პირველი ელჩი ირანში, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველო-ირანის პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაში. მისი გამოკვლევებით, სახელმძღვანელოებითა და ანალიტიკური გამოცემებით სარგებლობენ მსოფლიო ირანისტიკის სამეცნიერო-საუნივერსიტეტო ცენტრების სპეციალისტები გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, შეერთებულ შტატებში; ანალიტიკური-საინფორმაციო ნარკვევების დამკვეთები იყვნენ American Heritage, Encyclopaedia Iranica და სხვა საენციკლოპედიო გამოცემები; მისი საერთაშორისოდ აღიარებული „სპარსული ენის ფონეტიკა“ ჯერჯერობით ერთადერთი ფუნდამენტური ნაშრომია, რომლითაც ხელმძღვანელობენ მსოფლიოს ირანისტები; ჯემშიდ გიუნაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ფერეიდნული დიალექტის შენარჩუნება-აღორძინების საკითხებს. მისი მეურვეობით ფერეიდნელებისთვის მრავალი სახელმძღვანელო და საინფორმაციო წიგნი გამოიცა და გავრცელდა. ჯ. გიუნაშვილის უშუალო მონაწილეობითა და რედაქტორობით საქართველოს საელჩომ გამოსცა ფარშიდ დელშადის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი (პირველად სპარსულ ენაზე, თეირანი, 1998), ხოლო გილანის უნივერსიტეტმა – ლ. გეგუჩაძის „ქართული ენა სპარსულენოვანთათვის“ (ფარდინ ქომაის თარგმანი, რაშთი, 2004). ჯემშიდ გიუნაშვილს ეკუთვნის მრავალი საერთაშორისო პუბლიკაცია ირან-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებზე.

ფლობდა: სპარსულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სომხურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

თეიმურაზ გოგოლაძე
TEIMURAZ GOGOLADZE

1993-2003 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთის რესპუბლიკაში

1993-2003 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF KAZAKHSTAN

დაიბადა: 15 მაისი, 1952 წელი, ქ გურჯაანი, საქართველო.

თეიმურაზ გოგოლაძე იყო საქართველოს პირველი ელჩი ყაზახეთის რესპუბლიკაში.

1985-1993 – ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას.

ფლობს: რუსულ ენას.

ჯილდოები: ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ 1998 წელს დაჯილდოვდა „ასტანის“ სამახსოვრო მედლით.

ზაალ გოგსაძე
ZAAL GOGSADZE

2004-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში – აკრედიტებული მალტის რესპუბლიკასა და სან-მარინოს რესპუბლიკაში

2004-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ITALY – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF MALTA AND THE REPUBLIC OF SAN MARINO

2013-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში

2013-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE CZECH REPUBLIC

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთში – აკრედიტებული ხორვატიის რესპუბლიკასა და მონტენეგროში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO HUNGARY – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF CROATIA AND MONTENEGRO

დაიბადა: 21 ნოემბერი, 1954 წელი, ქ. ჭიათურა, საქართველო.

განათლება:

1973-1979 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი; **1979-1983** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა.

სამუშაო გამოცდილება:

1990-1993 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი; **1993-1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **1994-1999** – გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი, ნიუ-იორკი; **1999-2001** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი; **2001-2002** – ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაეროს მისიის სამოქალაქო ოფიცერი, ბანია-ლუკა; **2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი.

განსაკუთრებული მიღწევები:

2000 – გაეროს ათასწლეულის სამიტის მომზადებასა და მუშაობაში საქართველოს დელეგაციის წევრის სტატუსით მონაწილეობა; **1999** – ეუთოს სტამბოლის სამიტის მომზადებასა და მუშაობაში საქართველოს დელეგაციის წევრის სტატუსით მონაწილეობა; **1992** – ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის სამიტის (ჰელსინკი 2) მომზადებასა და მუშაობაში მონაწილეობა.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს (თავისუფლად), იტალიურ ენას (საკომუნიკაციო დონეზე).

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. (2000)

გიორგი გორგილაძე
GEORGE GORGILADZE

2008-2011 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში, მუდმივი წარმომადგენელი ჟენევაში აკრედიტებულ გაეროს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში

2008-2011 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SWISS CONFEDERATION, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UN OFFICE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN GENEVA

2011-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პორტუგალიის რესპუბლიკაში

2011-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF PORTUGAL

დაიბადა: 23 დეკემბერი, 1953 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1970-1975 – თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიური უცხო ენების სახელმწიფო ინსტიტუტი, ინგლისური ენის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

2004-2008 – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე, პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი;

1996-2004 – საქართველოს კანცელარიის უფროსი სახელმწიფო მრჩეველი, სახელმწიფო პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი;

1977-1996 – სხვადასხვა თანამდებობები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში: II მდივანი, მინისტრის თანაშემწე, პროტოკოლისა და საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელი, მინისტრის მოადგილე – სახელმწიფო პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი;

1976-1977 – სააქციო საზოგადოება „ინტურისტი“, გიდი – თარჯიმანი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული წოდებები და ჯილდოები:

2004 – ღირსების ორდენი;

1996 – სახელმწიფო საკლასო ჩინი: უფროსი სახელმწიფო მრჩეველი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. (1993)

თამარ გრძელიძე
TAMAR GRDZELIDZE

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წმიდა საყდართან (ვატიკანი) და მალტის სუვერენულ სამხედრო ორდენთან

2014-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HOLY SEE (VATICAN) AND TO THE SOVEREIGN MILITARY ORDER OF MALTA

დაიბადა: 21 მაისი, 1958 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1984 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. იმავე განხრით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია;

1998 – ოქსფორდის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი სპეციალობით თეოლოგია.

სამუშაო გამოცდილება:

1984-1991 – შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

1984-1991 –ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თბილისის მეექვსე სკოლაში;

2001-2013 – აღმასრულებელი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, ჟენევა, შვეიცარია;

2019 – წმ. მიქაელის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი ტორონტოს უნივერსიტეტში, კანადა;

2020 – სირუს ვანსის მიწვეული პროფესორი მაუნთ ჰოლიოკ კოლეჯში, აშშ;

2020 – ასოცირებული პროფესორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფლობს: ინგლისურსა და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯილდო: ბერნის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, შვეიცარია;

პაპ პაიუს მეცხრის ორდენი, ვატიკანი;

მალტის სუვერენული სამხედრო ორდენის ჯილდო.

ზურაბ გუმბერიძე
ZURAB GUMBERIDZE

1997-2007 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

1997-2007 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

დაიბადა: 6 ნოემბერი, 1954 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1971-1976 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, ინჟინერის სპეციალობა; **1979-1982** – TU Dresden – დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის (გერმანია) ასპირანტურა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

1976-1979 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერი, შემდგომ უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი; **1979-1982** – TU Dresden – დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის (გერმანია) ასპირანტი; **1982** – ტექნიკური დოქტორის ხარისხის დაცვა და მინიჭება; **1982-1983** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, სექტორის ხელმძღვანელი; **1983-1992** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის პროგრამული მართვის კათედრის დოცენტი; **1988-1992** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საღამოს და დაუსწრებელი სწავლების №2 ფაკულტეტის დეკანი; **1992-1995** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის პროგრამული მართვის კათედრის გამგე, პროფესორი; **1995-1997** – აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; **2007-2008** – აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენლობის დირექტორი; **2008-2011** – კომპანია „AZ-Invest"-ის დირექტორი (ბაქო); **2011-2018** – კომპანია „CBS-Consulting"-ის ბაქოში წარმომადგენლობის დირექტორი, ამჟამად მრჩეველ-ექსპერტი (თბილისი); **1998** – საერთაშორისო სატრანსპორტო TRACECA პროექტის ბაქოს ხელშეკრულების ძირითადი დოკუმენტის მოსამზადებელი ქართული საექსპერტო დელეგაციის ხელმძღვანელი; **1996-2004** – ბაქო-სუფსის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის ძირითადი ხელშეკრულებების მომზადების საქართველოს დელეგაციის წევრი, ექსპერტი.

ფლობს: ქართულ, რუსულ, გერმანულ დ ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში;

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა „Şöhrət" (დიდების) ორდენით აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლისათვის.

ილია დარჩიაშვილი

ILIA DARCHIASHVILI

2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში

FROM 2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF POLAND

დაიბადა: 21 თებერვალი, 1981 წელი, ქ. სიღნაღი, საქართველო.

განათლება:

1998-2002 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

2002-2004 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

2008-2011 – გრენობლის მენეჯმენტის სკოლა, საფრანგეთი, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი.

სამუშაო გამოცდილება:

2003-2004 – ს/ს ბანკი რესპუბლიკა – ფინანსური კონტროლისა და ზედამხედველობის ოფიცერი;

2004-2006 – ს/ს ბანკი რესპუბლიკა – ფიზიკური პირების მომსახურების განყოფილების უფროსი;

2006-2012 – ს/ს ბანკი რესპუბლიკა/ჯგუფი სოსიეტე ჟენერალე – ფილიალის მმართველი;

2012-2014 – საქართველოს საელჩო პოლონეთის რესპუბლიკაში;

2014-2015 – სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი – დირექტორის პირველი მოადგილე;

2015 – სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი – აღმასრულებელი დირექტორი;

2015-2016 – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – მინისტრის პირველი მოადგილე;

2015-2016 – საქართველოს აეროპორტების გაერთიანება – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

2016-2017 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – საგანგებო დავალებათა ელჩი.

ფლობს: ინგლისურ, პოლონურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ბექა დვალი
BEKA DVALI

2012-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ანგოლის, ბოცვანის, ზამბიის, ზიმბაბვეს, მადაგასკარის, მავრიკის, მალავის, მოზამბიკის და ნამიბიის რესპუბლიკებში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ესვატინის სამეფოში და ლესოტოს სამეფოში

FROM 2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF SOUTH AFRICA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF ANGOLA, THE REPUBLIC OF BOTSWANA, THE REPUBLIC OF ZAMBIA, THE REPUBLIC OF ZIMBABWE, THE REPUBLIC OF MADAGASCAR, THE REPUBLIC OF MAURITIUS, THE REPUBLIC OF MALAWI, THE REPUBLIC OF MOZAMBIQUE, THE REPUBLIC OF NAMIBIA, THE DEMOCRATIC REPUBLIC OF CONGO, THE KINGDOM OF ESWATINI AND THE KINGDOM OF LESOTHO

დაიბადა: 31 ივლისი; 1977 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1994-1999 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნის სპეციალობით; მიიღო იურისტის კვალიფიკაცია; **1999-2012** – გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსები საქართველოში და საზღვარგარეთ სამართალმცოდნეობის, სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების და კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროებში; **2001-2002** – ნიდერლანდების სამეფოს მაასტრიხტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა; მიიღო შედარებითი და ევროპული სამართლის მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

1999 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის სტაჟიორი; **2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს მესამე მდივანი; **2000-2002** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს მეორე მდივანი; **2002-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს უფროსი; **2004-2008** – ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და კანადაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი; **2008** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის მრჩეველი; **2009** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2009-2012** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და ირლანდიაში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ზურაბ დვალიშვილი

ZURAB DVALISHVILI

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში – აკრედიტებული ჯიბუტის, სეიშელის, კენიის, ტანზანიის გაერთიანებულ, ცენტრალური აფრიკის, სამხრეთ სუდანის, რუანდის, ბურუნდისა და სომალის რესპუბლიკებში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIERY OF GEORGIA TO THE DEMOCRATIC REPUBLIC OF ETHIOPIA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF DJIBOUTI, THE REPUBLIC OF SEYCHELLES, THE REPUBLIC OF KENYA, THE UNITED REPUBLIC OF TANZANIA, THE CENTRAL AFRICAN REPUBLIC, THE REPUBLIC OF SOUTH SUDAN, THE REPUBLIC OF RWANDA, THE REPUBLIC OF BURUNDI AND THE FEDERAL REPUBLIC OF SOMALIA

დაიბადა: 5 მარტი, 1954 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1973-1978 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობა დაიწყო 1994 წელს სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

სხვადასხვა წლებში ეკავა აზიის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ოკეანეთის ქვეყნებისა და ავსტრალიის დეპარტამენტის უფროსის; საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის; გლობალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის; მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის; ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობები.

1997-2001 – მივლენილი იყო ეუთო-ს მისიებში ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ხორვატიაში;

2003-2006 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საბერძნეთის რესპუბლიკაში;

2007-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი უკრაინაში;

2011-2014 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ავსტრალიის თანამეგობრობაში.

ფლობს: რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

გიორგი დოლიძე
GIORGI DOLIDZE

2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრალიის თანამეგობრობაში – აკრედიტებულია ახალ ზელანდიაში, სამოას დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ფიჯის რესპუბლიკაში, კირიბატის რესპუბლიკაში, ტონგას სამეფოში, სოლომონის კუნძულებსა და ვანუატუს რესპუბლიკაში

FROM 2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE COMMONWEALTH OF AUSTRALIA – ACCREDITED TO NEW ZEALAND, THE REPUBLIC OF FIJI, THE REPUBLIC OF KIRIBATI, THE KINGDOM OF TONGA, THE INDEPENDENT STATE OF SAMOA, SOLOMON ISLANDS AND THE REPUBLIC OF VANUATU

დაიბადა: 12 მაისი, 1974 წელი, ქ. ბათუმი, საქართველო.

სამუშაო გამოცდილება:

1997-2000 – ატაშე, მესამე მდივანი, მეორე მდივანი განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველო, სამხედრო პოლიტიკური დეპარტამენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2000-2001 – ექსპერტი, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია;

2001-2003 – ექსპერტი, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ერთობლივი პროექტი;

2005-2006 – ახალი საფრთხეებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს უფროსი, უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2006-2011 – უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2011-2017 – უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ღირსების ორდენი.

ვიქტორ დოლიძე

VIKTOR DOLIDZE

2005-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკასა და უნგრეთში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ქ. ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში

2005-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AUSTRIA – ACCREDITED TO HUNGARY AND PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE OSCE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN VIENNA

2018-2020 – ჟენევაში გაეროს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი

2018-2020 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UN OFFICE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN GENEVA

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში, საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

FROM 2000 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO NATO, HEAD OF MISSION OF GEORGIA

დაიბადა: 4 ივლისი, 1973 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1990-1995 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; **1997** – ნატოს თავდაცვის კოლეჯი (რომი, იტალია); **1998** – შვედეთის ეროვნული თავდაცვის კოლეჯი; **1999** – თავდაცვის რესურსების მართვის ინსტიტუტი (კალიფორნია, აშშ); **2004** – ჯორჯ ს. მარშალის უსაფრთხოების კვლევების ევროპული ცენტრი (გარმიში, გერმანია).

სამუშაო გამოცდილება:

1997-1998 – საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ნატოს სამმართველოს უფროსის მოადგილე; **1998-2000** – საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი; **2000-2001** – ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოსა და ევროგაერთიანებასა და ნატოსთან მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი; **2001-2004** – ნატო-სთან საქართველოს წარმომადგენლობა, მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში (ბრიუსელი, ბელგია); **2004-2005** – ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი; **2009-2016** – პოლიტიკური პარტიის, „თავისუფალი დემოკრატების“ დამფუძნებელი და გამგეობის წევრი; **2010-2012** – თბილისის საკრებულოს მეოთხე მოწვევის წევრი და სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; **2012-2016** – არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, **2012-2015** ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარედ, **2015 წლის მარტიდან** EURONEST-ის საპარლამენტო ასამბლეის აღმოსავლეთ პარტნიორობის თანათავმჯდომარე; **2016-2017** – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ლევან დოლიძე
LEVAN DOLIDZE

2013-2015 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში, საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

2013-2015 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO NATO, HEAD OF MISSION OF GEORGIA

დაიბადა: 2 იანვარი, 1980 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1997-2002 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობა – საერთაშორისო სამართალი; მიიღო იურისტის კვალიფიკაცია; **2008-2009** – ჟენევის უნივერსიტეტის ევროპული ინსტიტუტის და ჟენევის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრის (GCSP) სამაგისტრო პროგრამა; მიენიჭა საერთაშორისო და ევროპული უსაფრთხოების მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) გამგეობის თამავჯდომარე; დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის (GGF) მიერ მხარდაჭერილი, კომპანია Alinea International-ის პროგრამის ადგილობრივი დირექტორი; „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროექტის (AA Facility II)“ უფროსი ექსპერტი; **2015-2019** – საქარველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) დირექტორი; **2012-2013** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; **2010-2012** – ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის დირექტორი; **2009-2010** – შპს. მაგთიკომი, იურისტი; **2006-2008** – ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს წარმომადგენლობის, შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი და კონსულის მოვალეობის შემსრულებელი; **2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამერიკის დეპარტამენტის მრჩეველი; **2005-2006** – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; **2004-2005** – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების და სამართლებრივი ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი; **2004** – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, იურისტი; **2002-2004** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედითი საქმიანობისა და პარლამენტთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კონსულტანტი და შემდგომ სამმართველოს უფროსის მოადგილე; **2001** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი, სტაჟიორი; **2000** – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამსახური, სტაჟიორი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

დავით დონდუა
DAVID DONDUA

2001-2006 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში, საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

2001-2006 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO NATO, HEAD OF MISSION OF GEORGIA

2018-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში

2018-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AUSTRIA, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE OSCE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN VIENNA

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის და სერბეთის რესპუბლიკებში

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HELLENIC REPUBLIC – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF SERBIA

დაიბადა: 12 ივლისი, 1959 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1981 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება: 2015-2018 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2014-2015** – საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **2012-2014** – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე; **2008-2012** – საქართველო პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი; **2006-2008** – საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი; **1998-2000** – საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში; **1996-1998** – საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი; **1994-1996** – საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ნატოსა და განიარაღების სამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდეგ კი – სამმართველოს უფროსი; **1993-1994** – ამავე სამმართველოს პირველი მდივანი.

აკადემიური გამოცდილება: 2010 – ასოცირებული პროფესორი, თბილისის ღია უნივერსიტეტი; **2008-2018** – მოწვეული ლექტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი; **1988-1993** – დირექტორის მოადგილე და გეოგრაფიის მასწავლებელი, თბილისის №6 გიმნაზია; **1981-1993** – მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი.

პროფესიული წევრობა: საქართველოს ზეპირსიტყვიერი ისტორიის ასოციაციის დამფუძნებელი წევრი (2017-დან); საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრი (2010-დან).

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გელა დუმბაძე
GELA DUMBADZE

2017-2019 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი სუამ-ში

2017-2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO UKRAINE, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO GUAM

დაიბადა: 13 ივნისი, 1965 წელი. ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1982-1989 – სწავლობდა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე (დაამთავრა წარჩინების დიპლომით);

1999-2001 – დაამთავრა საქართველოს დიპლომატიური აკადემია; იყო აკადემიის მსმენელთა კლუბის პრეზიდენტი.

სამუშაო გამოცდილება:

1998 – სტაჟირება გაიარა და დაიწყო მუშაობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში;

1998-99 – ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის პირველი მდივანი;

1999-2000 – სამინისტროს პრეს-ცენტრის მრჩეველი;

2000-2001 – საგარეო პოლიტიკური ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2005-2007 – კულტურული მემკვიდრეობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი;

2001-2005 – აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო – მრჩეველი;

2007-2009 – რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩო – მრჩეველი;

2009-2013 – უკრაინაში საქართველოს საელჩო – უფროსი მრჩეველი;

2013-2014 – უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში საქართველოს საელჩო – ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, უფროსი მრჩეველი;

2014 – დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

2014-2016 – დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი;

2014-2016 – თავმჯდომარეობდა საქართველოსათვის ლევილის (საფრანგეთი) მამულის დაბრუნების კომისიას. 2016 წლის 23 სექტემბერს, წარმატებული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მის მიერ ხელი მოეწერა ლევილის მამულის საქართველოსათვის დაბრუნების აქტს;

2017 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი;

2019 აგვისტოდან – საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი.

ფლობს: ინგლისურსა და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

ლევან დუჩიძე
LEVAN DUCHIDZE

2007-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

2007-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY

დაიბადა: 25 მარტი, 1978 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995-2000 – სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე;

1998-1999 – სწავლობდა ბოხუმის (გერმანია) რურის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე;

2002 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მაგისტრატურა;

2015 – დაამთავრა კორეის სეულის უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრატურა.

სამუშაო გამოცდილება:

1996-1998 – საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

1999 – Hellweg-profibaumarkte შპს მონაცემთა ელექტრონული დამუშავება (გერმანია);

1998-2003 – საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ასოციაცია, თავმჯდომარე;

2000-2002 – არჩევნებზე დამკვირვებელი;

2002-2004 – საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო, თარჯიმანი;

2004-2007 – საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი: პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“;

2010-2014 – საქართველოს უშიშროების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

2014-2016 – საერთაშორისო სამართლებრივი განვითარების ორგანიზაცია (IDLO), ბიზნეს ანალიტიკოსი და გარე კომუნიკაციის კოორდინატორი;

2016 წლიდან – სამართლის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია, დირექტორი (უკრაინა).

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და უკრაინულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ნუგზარ დუჩიძე
NUGZAR DUCHIDZE

2003-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთში
2003-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO KAZAKHSTAN

დაიბადა: 3 ოქტომბერი, 1946 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1969 – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი; **1969-1972** – თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, ესპანური ენის კურსები; **1972-1976** – დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი; **1979-1982** – საკავშირო საგარეო ვაჭრობის აკადემიის საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობა – საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები; **1988** – ბიზნესმენთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, ექსპორტიორთა და იმპორტიორთა ასოციაცია (არგენტინა); **1998-2002** – დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურა, საქართველოს ეკონომიკის ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება:

1969-1972 – თბილისის ფარმაცევტული ქარხანა, საამქროს უფროსი;

1972-1975 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, მეცნიერ-მუშაკი;

1975-1979 – საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტრო, განყოფილების უფროსი;

1982-1984 – საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, მთავარი საინჟინრო-ტექნიკური სამმართველო, ექსპერტი;

1984-1988 – არგენტინაში საკავშირო საწარმო წარმომადგენლობა, უფროსი ინჟინერი;

1988-1989 – საკავშირო საწარმო-სამრეწველო პალატის უფროსი ექსპერტი;

1989-1992 – საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ვიცე პრეზიდენტი;

1992-1995 – საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე, პირველი მოადგილე;

1995-1997 – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის მოადგილე;

1999-2003 – ესპანეთთან, პორტუგალიასთან და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან თანამშრომლობისა და კულტურულ ურთიერთობათა საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი;

1997-2001 – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე;

1994-2003 – საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კათედრის გამგე.

ფლობს: ესპანურ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, არის უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოს ავტორი – „საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია“.

ზურაბ ერისთავი
ZURAB ERISTAVI

2009-2013 - საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში – აკრედიტებული ერაყისა და ლიბანის რესპუბლიკებში

2009-2013 - AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HASHEMITE KINGDOM OF JORDAN - ACCREDITED TO THE REPUBLIC OF IRAQ AND THE REPUBLIC OF LEBANON

2015-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მექსიკის შეერთებულ შტატებში – აკრედიტებული დომინიკის რესპუბლიკაში, გვატემალის რესპუბლიკაში, ჰონდურასის რესპუბლიკაში, იამაიკაში, ბელიზში, ელ სალვადორის რესპუბლიკაში, პანამის რესპუბლიკასა და კოსტა-რიკის რესპუბლიკაში

2015-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY TO THE UNITED MEXICAN STATES – ACCREDITED TO THE DOMINICAN REPUBLIC,THE REPUBLIC OF GUATEMALA, THE REPUBLIC OF HONDURAS, THE REPUBLIC OF PANAMA, BELIZE, THE REPUBLIC OF EL SALVADOR, JAMAICA AND THE REPUBLIC OF COSTA RICA

დაიბადა: 19 ოქტომბერი, 1965 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1983-1989 – საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკულტეტი; **1991-1992** – პარიზის საჯარო მმართველობის საერთაშორისო ინსტიტუტი (IIAP), საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრი.

სამუშაო გამოცდილება:

1989-1994 და **2000-2005** – ეკავა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობა – მეორე მდივნიდან საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემდე; **1994-1996** – სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის აპარატის სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკური უზრუნველყოფის ჯგუფი, სახელწიფო მრჩეველი; **1996-2000** – ბელგიისა და ნიდერლანდების სამეფოებსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს საელჩოს მრჩეველი; **2005-2007** – საფრანგეთში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი; **2007-2009** – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში; **2013-2015** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ენერგო-უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს საგანგებო დავალებათა ელჩი.

ფლობს: ესპანურ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: მექსიკის იბერო-ამერიკული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება (La Universidad Iberoamericana - IBERO).

კოტე ზალდასტანიშვილი

KOTE ZALDASTANISHVILI

1960-2017

1998-2000 – ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი

1998-2000 – THE HEAD OF GEORGIAN MISSION TO THE EUROPEAN UNION, AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA

2000-2005 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში და ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

2000-2005 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO BENELUX COUNTRIES AND THE HEAD OF GEORGIAN MISSION TO THE EUROPEAN UNION

2013-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი

2013-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AUSTRIA, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE OSCE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN VIENNA

დაიბადა: 23 დეკემბერი, 1960 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: **1982** – დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობით; **1984-1987** – ქ. დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი; **1987** – ქ. დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება: **1982-1983** – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრასთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ინჟინერი; **1983-1984** – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობაში პროგრამული მართვის კათედრის ლაბორანტი; **1987-1989** – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის ასისტენტი; **1989-1990** – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტის ტექნიკური ფაკულტეტის მკვლევარი; **1990-1992** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და ამავე უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის კათედრის დოცენტი; **1992-1993** – საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსი; **1993-1994** – თბილისის მერიის საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი; **1994-1995** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში; **1995-1998** – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომკურ ურთიერთობათა მინისტრი; **2005-2013** – ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს გენერალური მდივანი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ფლობდა: ინგლისურ, გერამნულ და რუსულ ენებს.

ჯილდოები: **2017** – ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (გარდაცვალების შემდეგ); **2017** – ავსტრიის რესპუბლიკის ეროვნული ჯილდო – „დიდი ოქროს საპატიო ჯილდო“ – Grand Decoration of Honour in Gold with Sash (გარდაცვალების შემდეგ).

დავით ზალკალიანი

DAVID ZALKALIANI

2004-2007 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ტაჯიკეთის რესპუბლიკაში

2004-2007 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF UZBEKISTAN – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF TAJIKISTAN

2008-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელარუსის რესპუბლიკაში

2008-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BELARUS

დაიბადა: 27 თებერვალი, 1968 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1992 – დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1992-1995 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ატაშე; **1995-1996** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე; **2000** – ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი; **2000-2001** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის მრჩეველი; **2001-2002** – ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში წარმომადგენლის მოადგილე; **2002-2004** – აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი; **2007-2008** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გლობალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი; **2009-დან** – თანამოაზრეებთან ერთად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში, აქტიურად მონაწილეობდა „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიის ჩამოყალიბებაში; **2012 წლის 1 ოქტომბერს** – საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდგომ დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის პოზიცია; **2012-2014** – საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **2015-2016** – ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი; **2016-2018** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **2018-დან** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ასევე **2020-დან** – საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გიორგი ზურაბაშვილი
GEORGE ZURABASHVILI

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირლანდიაში
FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO IRELAND

დაიბადა: 19 მაისი 1967 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

1989-1992 – თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასპირანტურა;

1984-1989 – თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრი ენათმეცნიერებაში.

სამუშაო გამოცდილება:

1992-1993 – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – მინისტრის მოადგილის ასისტენტი;

1993-1996 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – სხვადასხვა დიპლომატიური თანამდებობები;

1996-2002 – საქართველოს სახელმწიფო კანცელარია პროტოკოლის დეპარტამენტი, უფროსის პირველი მოადგილე;

2002-2003 – საქართველოს მთავრობის კანცელარია სახელმწიფო მინისტრის აპარატი, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

2003 წელს – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, გენერალური მდივანი;

2004-2005 – დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტი, დირექტორი;

2005-2012 – საქართველოს მთავრობის კანცელარია პროტოკოლის დეპარტამენტი, დირექტორი;

2012-2013 – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო აღმასრულებელი დირექტორი;

2013-2014 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი, დირექტორი;

2014-2019 – ირლანდიაში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ბეგლარ თავართქილაძე
BEGLAR TAVARTKILADZE

1994-1998 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში

1994-1998 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ITALY

დაიბადა: 19 იანვარი, 1954 წელი, ქვიშხეთი, საქართველი.

განათლება:

1978 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი; **1982** – ციტოლოგიის ინსტიტუტი, სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემია, მოლეკულური ბიოლოგია; **1885** – რომის უნივერსიტეტი „ლა საპიენცა“; **1986** – თბილისის უცხო ენების სახელმწიფო უნივერსიტეტი – ინგლისური ენა.

სამუშაო გამოცდილება:

1978 – სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის ციტოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი, ლენინგრადი, რუსეთი;

1985 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;

1991 – რომის „ლა საპიენცა“-ს უნივერსიტეტის დოქტორანტი;

2000 – აჭარის უზენაესი საბჭოს პროტოკოლის სამსახურის უფროსი;

2000 – საქართველოს პოლიტოლოგიის აკადემიის პროფესორი, ბათუმი;

2007 – საერთაშორისო დიპლომატიური საბჭოს მმართველობის წევრი, აშშ;

2008 – რომის სასამართლო ექსპერტი;

2011 – იტალიის იურიდიულ მთარგმნელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

1999 – საერთაშორისო ექსპერტთა მისია სერბეთში;

1998 – ფაო-ს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ქვერეგიონის თავმჯდომარე;

1997 – ფაო-ს 29-ე მოწვევის თავმჯდომარე, – ფაო-ს ევროპის რეგიონალური ჯგუფის თავმჯდომარე;

1996 – გაეროს სასურსათო და სასოფლო-სმეურნეო მიზნებისთვის საჭირო გენეტიკური რესურსების კომისიაში ევროპის რეგიონის წარმომადგენელი; სურსათის უსაფრთხოების თემაზე ფაო-ს ევროპის ქვე-რეგიონალური კონფერენციის თავმჯდომარე.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, იტალიურ ენებს სამუშაო დონეზე.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: იტალიის რესპუბლიკის სენატის სპეციალური სიგელი ქართველთა სათვისტომოს მიერ გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის.

ირაკლი თავართქილაძე

IRAKLI TAVARTKILADZE

2007-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის, ხორვატიისა და სერბეთის რესპუბლიკებში

2007-2012 –AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIANRY OF GEORGIA TO THE HELLENIC REPUBLIC – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF CROATIA AND THE REPUBLIC OF SERBIA

დაიბადა: 26 ივნისი,1975 წელი, ქ. ბათუმი, საქართველო.

განათლება:

1991-1995 – თბილისის სასულიერო სემინარია; **1998-1999** – კირილესა და მეთოდეს სახ. ლიცეუმი, კილკიზი, საბერძნეთი; **1999-2004** – არისტოტელეს სახ. უნივერსიტეტი; თესალონიკი, საბერძნეთი; ბიზანტიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის ფაკულტეტი, მაგისტრი; **2014-2015** – ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის; **2015-2016** – თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა, ევროსაბჭო.

სამუშაო გამოცდილება:

1994-1996 – ბათუმის სასულიერო სემინარია, ლიტურგიკის ლექტორი;

1996-1998 – ხულოს სასულიერო სასწავლებელი; პრორექტორი,რელიგიათმცოდნეობის ლექტორი;

2004-2005 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საკონსულო დეპარტამენტი. სავიზო სამმართველო. მთავარი სპეციალისტი;

2005-2005 – აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწე;

2005-2006 – აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი;

2006-2007 – ქალაქ ბათუმის მერი;

2012-2013 – ქართული სალოკომოტივო კომპანია. დირექტორის მოადგილე;

2013-2016 – აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო. პოლიტიკური და მედია მრჩეველი;

2016 – სს „აჭარა ტურის“ გენერალური დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, ბერძნულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ღირსების ორდენი.

თემურ იაკობაშვილი
TEMUR YAKOBASHVILI

2011-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში

2011-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED STATES OF AMERICA

დაიბადა: 3 სექტემბერი, 1967 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

იელის (აშშ) უნივერსიტეტის მსოფლიო ლიდერთა პროგრამის სტიპენდიანტი.

დაამთავრა ოქსფორდის (ინგლისი) უნივერსიტეტის დიპლომატიისა და ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის უსაფრთხოების სპეციალიზებული კურსები.

სამუშაო გამოცდილება:

მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე:

ამერიკის, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპატრამენტის დირექტორად.

1999 – დააარსა კავკასიაში უმსხვილესი ანალიტიკური ცენტრი-სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, რომლის ვიცე-პრეზიდენტი იყო 2008 წლამდე.

2008-2010 – იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ებრაულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი.

ლევან იზორია
LEVAN IZORIA

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY

დაიბადა: 5 თებერვალი, 1974 წელი.

განათლება:

1991-1996 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით; მიიღო იურისტის კვალიფიკაცია. წარჩინებით; **1998-1999** – გერმანიის გიოტინგენის გეორგ-აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა; მიიღო სამართლის მაგისტრის ხარისხი. უმაღლესი შეფასებით; **2002** – გერმანიის გიოტინგენის გეორგ-აუგუსტუსის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა. მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი. უმაღლესი შეფასებით.

სამუშაო გამოცდილება:

1995-1998 – ი.ჯავახიშვილის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის მასწავლებელი; **1999-2002** – გერმანიის ქალაქ გიოტინგენის სახელმწიფოს მოძღვრებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე; **2002-2018** – მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული თ. წერეთლის სახელობის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; **2002-2005** – ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტი; **2003-2004** – გერმანიის კონრად-ადენაუერის სახელობის პოლიტიკური ფონდის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში; **2004-2006** – შსს-ს აკადემიის რექტორი; **2006-2007** – საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი; **2007-2009** – მეცნიერ-მკვლევარი, პროფესორი შპაიერის გერმანული საჯარო ადმინისტრაციის კვლევის ინსტიტუტში, ჰუმბოლტის ფონდის სტიპენდიატი; **2009-2011** – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი; **2009-2011** – კავკასიის სამართლის სკოლის პროფესორი; **2010-2011** – მეცნიერ-მკვლევარი ჰაიდელბერგის საზღვარგარეთის ქვეყნების საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მაქს-პლანკის ინსტიტუტში; **2011-2014** – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი; **2012-2015** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2015-2016** – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე; **2016-2019** – საქართველოს თავდაცვის მინისტრი; **2019-2020** – საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი; **2019-2020** – ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი.

ფლობს: გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

კახა იმნაძე

KAHA IMNADZE

2013-დან – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი – აკრედიტებული ანტიგუა და ბარბუდაში, ბაჰამაში, გრენადაში, დომინიკის თანამეგობრობაში, სენტ ვინსენტსა და გრენადინებში, სენტ კიტსა და ნევისში, სენტ ლუსიაში, ჰაიტიში და ბარბადოსში

FROM 2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UNITED NATIONS CONCURRENT AMBASSADOR OF GEORGIA TO ANTIGUA AND BARBUDA, THE BAHAMAS, THE COMMONWEALTH OF DOMINICA, GRENADA, HAITI, SAINT KITTS AND NEVIS, SAINT LUCIA, SAINT VINCENT AND THE GRENADINES AND BARBADOS

დაიბადა: 4 თებერვალი, 1969 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1986-1992 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ინგლისური ენის ფილოლოგის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1989-1990 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტაჟიორი;

1990-1994 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ატაშე, მეორე მდივანი, პირველი მდივანი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პირველი ევროპული სამმართველოს უფროსი;

1994-1997 – ნატოსთან საქართველოს მეკავშირე თანამშრომელი, ბელგიაში, ნიდერლანდების სამეფოსა და ლუქსემბურგში საქართველოს საელჩოს მეორე მდივანი, პირველი მდივანი, უმცროსი მრჩეველი;

1997-1998 – ნატოსთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, ბელგიაში, ნიდერლანდების სამეფოსა და ლუქსემბურგში საქართველოს საელჩოს მრჩეველი;

1998-2000 – საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში;

2000-2003 – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე, პრესმდივანი, სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსი;

2003-2013 – პოლიტიკური რისკების შეფასების დამოუკიდებელი ექსპერტი;

2005-2007 – ნატოს სახალხო დიპლომატიის არაფორმალური ქსელების პროექტის თანადირექტორი, დიდი ბრიტანეთის კონფლიქტების კვლევების სამეცნიერო ცენტრის მკვლევარი;

2010-2013 – რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტის საბჭოს წევრი.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ამირან კავაძე

AMIRAN KAVADZE

1997-2003 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში

1997-2003 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SWISS CONFEDERATION

1997-2003 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

1997-2003 – PERMANENT REPRESENTATIVE TO THE UN OFFICE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN GENEVA

2001-2003 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წმიდა საყდართან

2001-2003 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HOLY SEE

2006-2011 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში (რეზიდენციით სტოკჰოლმში)

2006-2011 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SWEDEN AND THE REPUBLIC OF FINLAND (WITH RESIDENCE IN STOCKHOLM)

2004-2006 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში და ასევე ირლანდიაში (რეზიდენციით ლონდონში), საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან

2004-2006 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND AS WELL AS TO IRELAND (WITH RESIDENCE IN LONDON), PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE INTERNATIONAL MARITIME ORGANIZATION

დაიბადა: 21 აპრილი, 1951 წელი, ქ. ახალციხე, საქართველო.

განათლება: **1995** – საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, აშშ (საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიკური სამართალი); **1995-1996** – იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, JAICA, ტოკიო, იაპონია (მაკროეკონომიკა და ეკონომიკური დიპლომატია); **1985-1989** – ბაქოს საჯარო ადმინისტრირებისა და პოლიტიკური მეცნიერებების ინსტიტუტი, აზერბაიჯანი (პოლიტოლოგი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების ლექტორი); **1974-1977** – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურა, მოსკოვი (ბილოგიურ მეციერებათა დოქტორის ხარისხი); **1968-1973** – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი (გადამუშავებელი მრეწველობის ტექნოლოგია).

სამუშაო გამოცდილება: **2003-2004** – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ვაჭრობის მსოფლიო ორანიზაციასთან, მთავარი მომლაპარაკებელი ვმო-ს ფარგლებში გამართულ მოლაპარაკებებში; **1994-1997** – საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი; **1992-1994** – განყოფილების გამგის მოადგილე, განყოფილების გამგე, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი).

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

მალხაზ კაკაბაძე
MALKHAZ KAKABADZE

1998-2000 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში

1998-2000 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE RUSSIAN FEDERATION

2016-2021 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში

2016-2021 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SWEDEN AND THE REPUBLIC OF FINLAND

დაიბადა: 5 მაისი, 1951 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1968-1973 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1973 – საქართველოს ახალგაზრდული ტურიზმის ბიუროს ბუღალტერი;

1973-1978 – საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის რეფერენტი;

1978-1985 – საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი;

1985-1990 – საქართველოს კპ კალინინის (მთაწმინდის) რაიკომის მდივანი, მეორე მდივანი;

1990-1998 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

2000-2004 – საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი;

2004-2006 – ფრიბურის (შვეიცარია) ფედერალიზმის ინსტიტუტის მკვლევარი;

2006-2009 – შვეიცარიაში საქართველოს საელჩოსა და ჟენევაში გაეროს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მისიის რეფერენტი;

2010-2016 – კომპანია Ermitage les Paccots-ს დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გავლილი აქვს არაბული ენის სრული კურსი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

პაატა კალანდაძე
PAATA KALANDADZE

2009-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთის და ყირგიზეთის რესპუბლიკებში

2009-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF KAZAKHSTAN – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF KYRGYZSTAN

2014-2019 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში

2014-2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF ISRAEL

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არაბთა გაერთიანებულ საემიროებში

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED ARAB EMIRATES

დაიბადა: 5 ივლისი, 1960 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

ქ. თბილისის ილია ჭავაჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება:

1986-1988 – საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდგომ განყოფილების უფროსი; **1988-1989** – ქ. სან-ფრანცისკოში საბჭოთა კავშირის გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული; **1989-1990** – საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილების უფროსი; **1990-1991** – ქ. თელ-ავივში (ისრაელის სახელმწიფო) საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო ჯგუფის წევრი; **1991-1992** – ქ. თელ-ავივში საბჭოთა კავშირის გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული; **1992-1993** – ისრაელის სახელმწიფოში საბჭოთა კავშირის საელჩოს მეორე მდივანი; **1999-2001** – საქართველოს საელჩო ისრაელის სახელმწიფოში, კონსული; **2001-2002** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი; **2002-2006** – ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს, ევროგაერთიანებებთან საქართველოს მისიის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; **2006-2007** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2007-2008** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2008-2009** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი; **2012-2014** – საქართველოს გენერალური კონსული ქ. ტრაპიზონში (თურქეთის რესპუბლიკა).

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

არჩილ კალანდია
ARCHIL KALANDIA

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE PEOPLE`S REPUBLIC OF CHINA

დაიბადა: 28 თებერვალი, 1983 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1999-2004 – თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური ფაკულტეტი. ჩინური ენისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკის სპეციალისტი; **2010-2013** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს სოციალური მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

2005-2006 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტის ატაშე; **2006-2007** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. გლობალური ურთიერთობების დეპარტამენტის მესამე მდივანი; **2007-2014** – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი; ასევე, კონსულის მოვალეობის შემსრულებელი (2010-2012) და ელჩის მოვალეობის შემსრულებელი (2013-2014); **2014-2017** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის მრჩეველი; **2015-2017** – კავკასიის უნივერსიტეტი. მიწვეული ლექტორი; **2015-2017** – ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. მიწვეული ლექტორი; **2017-2018** – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი.

ავტორია მონოგრაფიისა "ჩინეთის ტრანსფორმაცია XXI საუკუნეში" (2015) გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი და სტატია ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის შესახებ.

ფლობს: ინგლისურ, ჩინურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები:

2013 – ჩინეთში გამოცემულ ჟურნალ "Wine in China"-ს მიერ დაჯილდოვდა საპატიო სიგელით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ღვინის კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; **2014** – ჩინეთის უცხოეთთან მეგობრობის ასოციაციის მიერ დაჯილდოვდა საპატიო სიგელით "International Friendly Ambassador"; **2014** – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის მიერ დაჯილდოვდა მადლობის სიგელით, საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურის სფეროში ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ზაზა კანდელაკი
ZAZA KANDELAKI

2005-2006 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში

2005-2006 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF POLAND

2013-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთში – აკრედიტებული ხორვატიის რესპუბლიკასა და მონტენეგროში

2013-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO HUNGARY – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF CROATIA AND MONTENEGRO

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში – აკრედიტებული ერაყისა და ლიბანის რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HASHEMITE KINGDOM OF JORDAN – ACCREDITED TO IRAQ AND THE REPUBLIC OF LEBANON

დაიბადა: 28 იანვარი, 1958 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1980 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი; დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია.

სამუშაო გამოცდილება:

1991-1992 – საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

1992-1993 – ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფო მრჩეველი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში;

1993-1994 – საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატის პრეს-მდივანი;

1995-1999 – საქართველოს პარლამენტის წევრი, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების კოორდინატორი;

1999-2003 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო დავალებათა ელჩი;

2003-2004 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი 2000 წლიდან.

ჯილდოები: უნგრეთის სახელმწიფო ჯილდო – ღირსების ორდენი „კომანდორის ჯვარი“.

თეა კატუკია

TEA KATUKIA

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში და მონაკოს სამთავროში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FRENCH REPUBLIC – ACCREDITED TO THE PRINCIPALITY OF MONACO, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO UNESCO

დაიბადა: 28 მაისი, 1975 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე ორწლიანი სწავლის შემდეგ, თეა კატუკიამ სწავლა განაგრძო პარიზში, სორბონას უნივერსიტეტში; **1996** – დაიწყო სამართლის შესწავლა უნივერსიტეტ პარიზი-II-ში (Panthéon-Assas); **2001** – მან წარჩინებით დაასრულა სორბონას უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა და ევროპათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა.

სამუშაო გამოცდილება:

1999-2001 – მუშაობდა საფრანგეთის მთავრობისა და ევროკომისიის მიერ დაფუძნებულ საინფორმაციო ცენტრში „ევროპული წყაროები„ (Sources d'Europe);

2001-2002 – ხელმძღვანელობდა ჟან მონეს სახელობის ასოციაციის მისიას და ორგანიზებას და მონიტორინგს უწევდა ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებულ მაღალი დონის ფრანგულ-გერმანულ შეხვედრებს;

2002-2003 – ხელმძღვანელობდა საფრანგეთის პანევროპულ კავშირს, ევროკომისიის ეგიდით განსაზღვრული მისიის ხელმაღვანელის როლში;

2003-2007 – თანამშრომლობდა საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მემარჯვენე პარტიის ერთ-ერთ პარლამეტართან;

2004-2011 – საკანონმდებლო საქმიანობის პარალელურად, ხელმძღვანელობდა საფრანგეთის პანევროპულ კავშირს, გენერალური დელეგატის რანგში;

2011-2019 – გენერალური მდივნის რანგში შეუერთდა საერთაშორისო და სტრატეგიულ საკითხებში სპეციალიზირებულ პრეს-ჯგუფ Areion Group-ს; იგივე წლებში, თეა კატუკიამ საფუძველი ჩაუყარა და ხელმძღვანელობდა ინოვაციის, მდგრადი განვითარების და ლურჯი ეკონომიკის თემატიკებისადმი მიძღვნილ ორ საერთაშორისო ჟურნალს Green innovation და Blue innovation;

2012 – გახდა საერთაშორისო საფრთხეების პრევენციისა და ანალიზის ცენტრის (CAPRI) გენერალური მდივანი;

2012 – ელჩად დანიშვნამდე უძღვებოდა პრეს-ჯგუფ Areion Group-ის ჟურნალ დიპლომატიის DIPLOMATIE რედაქციას, მთავარი რედაქტორის რანგში.

ფლობს: ქართულ, ფრანგულ, იტალიურ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

ზურაბ კაჭკაჭიშვილი

ZURAB KACHKACHISHVILI

2010-2014 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ტაილანდის სამეფოში, შრი-ლანკის დემოკრატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკასა და ნეპალში

2010-2014 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF INDIA – ACCREDITED TO THE KINGDOM OF THAILAND, DEMOCRATIC SOCIALIST REPUBLIC OF SRI-LANKA, PEOPLE`S REPUBLIC OF BANGLADESH AND NEPAL

დაიბადა: 11 ივლისი, 1956 წელი, ქ. მოსკოვი, რუსეთი.

განათლება:

1973-1978 – ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, მიიღო ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგის კვალიფიკაცია.

სამუშაო გამოცდილება:

1998-1999 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი დეპარტამენტის პირველი მდივანი;

1999-2003 – ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წამომადგენლობა – პირველი მდივანი, მრჩეველი, მუდმივი წარომადგენლის მოადგილე;

2005-2008 – ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი კოსოვოში;

2008-2009 – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეს-სპიკერი;

2009-2010 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი;

2015-2019 – საერთაშორისო სავაჭრო პალატა-საქართველოს გენერალური მდივანი.

ფლობს: ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

არჩილ (აბესალომ) კეკელია

ARCHIL (ABESALOM) KEKELIA

2012-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში

2012-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF ISRAEL

დაიბადა: 30 ნოემბერი, 1979 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1997-2001 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობა. ბაკალავრის ხარისხი;

1998-1999 – როჩესტერის კოლეჯი, აშშ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამის სტიპენდიანტი;

2000 – ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი. საზაფხულო სკოლის კურსი ეკონომიკასა და პოლიტიკაში;

2005-2007 – ლონდონის ბიზნესის სკოლა და კალიფორნიის უნივერსიტეტი ლოს ანჯელესში. მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (MBA).

სამუშაო გამოცდილება:

2000-2001 – PA Consulting Group – ანალიტიკოსი;

2001-2004 – Energia Hidroelectrica de Navarra – ბიზნესის განვითარების დირექტორი;

2004-2005 – PA Consulting Group – მრჩეველი;

2006 – Fidelity Investments – ანალიტიკოსი;

2007-2009 – BBVA ბანკი – ასოცირებული ბანკირი;

2009-2010 – Terramar Energy – აღმასრულებელი დირექტორი;

2010-2011 – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – მინისტრის პირველი მოადგილე;

2014-2015 – AG Transport & Development – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

2016 – Georgian Greenhouse Corporation – გენერალური დირექტორი;

2017 – Archipelago LLC – დამფუძნებელი და დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

თემურ კეკელიძე
TEMUR KEKELIDZE

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კვიპროსის რესპუბლიკაში

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF CYPRUS

დაიბადა: 19 ივლისი, 1975 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1992-1997 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი; მიიღო ისტორიკოსის კვალიფიკაცია; **1998-2001** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა; სპეციალიზაცია – საქართველოს ისტორია; **2003-2004** – ბრიტანეთის თავდაცვის აკადემიის მეცნიერების სამეფო სამხედრო კოლეჯი, კრენფილდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი; მიიღო გლობალური უსაფრთხოების საკითხებში მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

2001-2002 – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ნატოს განყოფილების სპეციალისტი; **2002-2003** – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ნატოს განყოფილების უფროსი; **2003** – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მრავალმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი; **2004-2005** – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავდაცვის განვითარების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2005-2006** – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანაშემწე; **2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ნატოს სამმართველოს უფროსი; **2006-2007** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი; **2007-2012** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2012-2016** – ნატოში საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე; **2016-2017** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2018-2020** – შინაგანს საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჯილდოები: ღირსების ორდენი.

კონსტანტინე კემულარია

KONSTANTINE KEMULARIA

02/2004-07/2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში

02/2004-07/2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE RUSSIAN FEDERATION

დაბიბადა: 20 მარტი, 1954 წელი, ქ. ხობი, საქართველო.

განათლება: 1975 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) ასპირანტურა.

სამუშაო გამოცდილება:

1975 – მუშაობდა ქ. სოხუმის პროკურატურაში გამომძიებლად;

1976-1979 – იყო პროკურატურის უფროსი გამომძიებელი;

1980-1983 – საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

1983-1987 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

1987-1992 – საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოს პროკურორი, ქ. ჭიათურის პროკურორი, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების გამგის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, არჩეული იყო პროკურატურის კოლეგიის წევრად. ამავე პერიოდში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

1992-1993 – საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

1994-1995 – ქ. მოსკოვის იურიდიული სამსახურის „ინიურკონსალტინგის“ ხელმძღვანელი;

1995 – თბილისში ჩამოაყალიბა საერთაშორისო იურიდიული კომპანია „ინიურსერვისი“;

1998 – არჩეულ იქნა ქ. თბილისის საკრებულოს წევრად, ხელმძღვანელობდა იურიდიულ კომისიას;

1999-2004 – საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: საინიციატივო ჯგუფი, საარჩევნო ფორმა: მაჟორიტარული;

2004-2005 – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

2005-2006 – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

გამოქვეყნებული აქვს 19 მეცნიერული ნაშრომი და 100-ზე მეტი პუბლიცისტური ნარკვევი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. საკანდიდატო დისერტაციის თემა – „ანალოგია სისხლის სამართლის პროცესში“, დაიცვა 1983 წელს.

დავით კერესელიძე
DAVID KERESELIDZE

2006-2011 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიისა და ნორვეგიის სამეფოებში და ისლანდიის რესპუბლიკაში

2006-2011 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF DENMARK – ACCREDITED TO THE KINGDOM OF NORWAY AND THE REPUBLIC OF ICELAND

დაიბადა: 9 ივნისი, 1959 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: **1976-1981** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით – დიპლომი; **1978-1980** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მეორადი ფაკულტეტი; **1983-1988** – მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი – მოსკოვი. საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ასპირანტურა. დისერტაცია თემაზე „საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკა განვითარებად ქვეყნებში“. დოქტორის წოდება.

სამუშაო გამოცდილება:

1981-1983 – საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. მეცნიერ-მკვლევარი; **1989-1990** – საქართველოს საგარეო ვაჭრობის ასოციაცია „საქიმპექსი“. ფირმის დირექტორი; **1991-1993** – შპს „ტრანსსერვისი“ – თბილისი. კომერციული დირექტორი; **1993-1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი, მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების უფროსი; **1994-1996** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **1996-1999** – საქართველოს საელჩო საბერძნეთის რესპულიკაში – ათენი, საბერძნეთი. დესპანი; **1996-2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საერთაშორისო ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი; **2011-2014** – შავი ზღვის კვლევების საერთაშორისო ცენტრი (ICBSS) – ათენი. ალტერნატიული გენერალური დირექტორი; **2014-2016** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საგანგებო დავალებათა ელჩი, სპიკერი; **2016-2017** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ავსტრალიის, აზიის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი; **2017-დან** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი.

კონფერენციებსა და მოლაპარაკებებში მონაწილება – გაეროსა და გაეროს აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური კომისიის ფარგლებში უმაღლესი დონის მოსამზადებელი შეხვედრები; შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების, მაღალი თანამდებობის პირთა და შესაბამისი სტრუქტურების ოფიციალური შეხვედრები; **1997-2005** – შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის საქართველოს მმართველის მოვალეობის შემსრულებელი; **1996–2006** – საქართველოს შავი ზღვის საერთაშორისო ცენტრის დირექტორთა საბჭოს დირექტორი (ათენი); ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენებისა და კასპიის გაზსადენის პროექტების მოლაპარაკებები – ჯგუფის წევრი – ანკარა, თურქეთი – **1999**; კასპიის გაზსადენის პროექტების მოლაპარაკებები – ჯგუფის წევრი – აშხაბადი, თურქმენეთი – **2000**; კასპიის გაზსადენის პროექტების მოლაპარაკებები – ჯგუფის წევრი – თბილისი, საქართველო – **2000**.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ვალერი კვარაცხელია

VALERI KVARATSKHELIA

2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელარუსის რესპუბლიკაში

FROM 2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BELARUS

დაიბადა: 19 აგვისტო, 1958 წელი.

განათლება:

1978-1984 – კალინინის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (ქ. ტვერი), სპეციალობა „ქირურგი – ტრავმატოლოგი“

1990-1992 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლა, სპეციალობა „ტურიზმის, კურორტების და სასტუმროების ეკონომიკა“.

სამუშაო გამოცდილება:

1988-1989 – ფსკოვის საქალაქო საავადმყოფო, ქირურგი;

წალენჯიხის რაიონული ჰოსპიტალი, ქირურგი;

1989-1992 – სანატორიუმი „სქური“, მთავარი ექიმი;

1992-1995 – კონცერნი „საქკურორტი“, პრეზიდენტის თანაშემწე;

1995-1999 – სს „საქკურორტბანკი“, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

1999-2004 – საქართველოს პარლამენტი, დეპუტატი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სოციალურ საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე;

2004-2010 – „People's Pharmacy", დამფუძნებელი, აღმასრულებელი დირექტორი;

2010-2014 – „People's Pharmacy" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;

2014-2017 – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე;

2017 – „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“ პრეზიდენტი.

ფლობს: რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ეროსი კიწმარიშვილი

EROSI KITSMARISHVILI

1964-2014

2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში
2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE RUSSIAN FEDERATION

დაიბადა: 5 აგვისტო, 1964 წელი.

განათლება:

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ექიმ-პედიატრის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოს ინტერნად, ონის რაიონის სოფლის ამბულატორიის ექიმად, რუსთავის ჯანდაცვის სამსახურის უფროსად;

1993-2004 – დააარსა ტელეკომპანია „რუსთავი 2“, რომლის გენერალური დირექტორიც იყო 2004 წლამდე.

2004-2007 – იყო საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, მაგრამ მალე საგანგებო დავალებათა ელჩად მიავლინეს ნიუ-იორკში, სადაც 2007 წლამდე მუშაობდა.

იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის კონსულტანტი.

ფონდ „2002“-ის თავმჯდომარე. მენეჯერი.

ნოდარ კომახიძე

NODAR KOMAKHIDZE

1931-1997

1994-1997 – საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში

1994-1997 – FIRST AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF TURKEY

დაიბადა: 15 ივნისი, 1931 წელი.

განათლება:

1953 – დაამთავრა თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი თურქეთის ისტორიის განხრით. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თურქეთის საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი; გამოქვეყნებული აქვს (მათ შორის უცხოეთშიც) თურქეთის უახლესი ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომი, 5 მონოგრაფია.

სამუშაო გამოცდილება:

წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე:

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი;

საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოება ცოდნის გამგეობის თავჯდომარე;

საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობების ასოციაციის პრეზიდენტი;

გაზეთი „ხიდის“ მთავარი რედაქტორი.

ფლობდა: თურქულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ვლადიმერ კონსტანტინიდი

VLADIMER KONSTANTINIDI

2009-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კვიპროსის რესპუბლიკაში

2009-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF CYPRUS

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრალიის თანამეგობრობაში – აკრედიტებული ახალ ზელანდიაში, ფიჯის რესპუბლიკაში, ვანუატუს რესპუბლიკაში, ტუვალუში, სამოას დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სოლომონის კუნძულებზე, ტონგას სამეფოში და კირიბატის რესპუბლიკაში

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE COMMONWEALTH OF AUSTRALIA (CANBERRA) – ACCREDITED TO NEW ZEALAND, THE REPUBLIC OF FIJI, THE REPUBLIC OF KIRIBATI, THE KINGDOM OF TONGA, THE INDEPENDENT STATE OF SAMOA, SOLOMON ISLANDS, THE REPUBLIC OF VANUATU AND TUVALU

დაიბადა: 24 ნოემბერი, 1972 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი.

აკადემიური საქმიანობა: თბილისის ღია უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი.

სამუშაო გამოცდილება:

2020-დან – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – მინისტრის მოადგილე; **2018-2020** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **2017-2018** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი, დირექტორის მოადგილე;

ავსტრალიის თანამეგობრობასა და ოკეანეთში ელჩობის პერიოდში, არაღიარების პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში მისიის აქტიური მუშაობის შედეგად აკრედიტაციის ქვეყნებმა – ვანუატუ (2013) და ტუვალუ (2014) გააუქმეს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების უკანონო აღიარება, ასევე დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა ოკეანეთის ქვეყნებთან;

2008 – ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩო, საქმეთა დროებითი რწმუნებული; **2005-2008** – ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩო, კონსული; **2004-2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საკონსულო დეპარტამენტის საკონსულო-სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი; **2004** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; **2001-2004** – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გენერალური ინსპექციის უფროსი; **2000** – სხვადასხვა პერიოდში, საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, გენერალური ინსპექციის მოკვლევის სამმართველოს უფროსი, კადრების განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი; **1996-1999** – საქართველოს პარლამენტის ანტი-კორუფციული საგამოძიებო კომისია, მთავარი სპეციალისტი; **1989-1995** – სხვადასხვა პოზიციებზე საქმიანობდა: თბილისის საქალაქო სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამთავრობო ობიექტების დაცვის სამსახური.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ირაკლი კოპლატაძე

IRAKLI KOPLATADZE

2013-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ალბანეთის რესპუბლიკაში და ბოსნია და ჰერცეგოვინაში

2013-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF TURKEY – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF ALBANIA AND BOSNIA AND HERZEGOVINA

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვენიის რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF SLOVENIA

დაიბადა: 5 ნოემბერი, 1965 წელი.

განათლება:

1982-1987 – თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი; **1983-1987** – თსუ საერთაშორისო ურთიერთობების მეორადი ფაკულტეტი; **1987-1990** – მოსკოვის შრომისა და სოციალურ საკითხთა ინსტიტუტის ასპირანტურა; **1993** – მელბურნის სვინბორნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ავსტრალია); **1994-1996** – თსუ საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტის ლექტორი.

კვალიფიკაციის ამაღლების კურსები:

1995 – ვენის გაერთიანებული ინსტიტუტი (ავსტრია);

1994 – კოლორადოს ბოლდერის უნივერსიტეტი (აშშ.);

1992 – ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა (დიდი ბრიტანეთი).

სამუშაო გამოცდილება:

2006 – საგანგებო დავალებათა ელჩი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2006-2010 – საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი თურქეთის რესპუბლიკაში;

2010 – საქართველოს საელჩოს მრჩეველი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში;

2010-2013 – საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ახლად დაარსებულ საელჩოში ირლანდიაში.

მსოფლიო ბანკის პროექტის, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაკროეკონომიკური განყოფილების უფროსი; საქართველოს უშიშროების საბჭო; საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტი; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა:
ორი მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიის ავტორი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

კონსტანტინე კორკელია

KONSTANTINE KORKELIA

2007-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში

2007-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF LATVIA

2013-2017 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოსთან

2013-2017 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE COUNCIL OF EUROPE

დაიბადა: 11 აპრილი, 1974 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 2000-2003 – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **1999-2000** – საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრი (LL.M) (წარჩინებით), იურიდიული ფაკულტეტი, ლეიდენის უნივერსიტეტი, ლეიდენი, ნიდერლანდები; **1998-1999** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **1991-1997** – სამართალმცოდნე (წარჩინებით), იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორი

სამუშაო გამოცდილება:

2005-2007 – საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე; **2005** – მდივნის მოადგილე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო; **2000-2002** – საქართველოს გენერალური წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, იუსტიციის სამინისტრო; **1998-2000** – დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1998** – უფროსი, მრავალმხრივ ურთიერთობათა სამმართველო, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1997-1998** – უფროსის მოადგილე, მრავალმხრივ ურთიერთობათა სამმართველო, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1997** – პირველი მდივანი, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1996-1997** – მესამე მდივანი, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1995** – ატაშე, საერთაშორისო სამართლის დეტარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1993-1995** – სტაჟიორი, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო.

პუბლიკაციები: არის 55 აკადემიური ნაშრომის ავტორი ადამიანის უფლებათა სამართლის, საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის სფეროში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ლატვიის პრეზიდენტის სამი ვარსკვლავის ორდენი.

დავით კოტარია
DAVID KOTARIA

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელარუსის რესპუბლიკაში

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BELARUS

დაიბადა: 2 ივლისი, 1958 წელი, ქ. ფოთი, საქართველო.

განათლება:

1982 – დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი. მიიღო ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სამუშაო გამოცდილება:

1982-1993 – მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში მშენებლობისა და არქიტექტურის მიმართულებით.

1993-1997 – კომპანია „ლეკო“, დამფუძნებელი.

1997-1998 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური სამდივნოს სამმართველოს უფროსის მოადგილე;

1998-2002 – საქართველოს საელჩო უკრაინაში, მოლდოვის რესპუბლიკასა და რუმინეთში, უფროსი მრჩეველი (რეზიდენციით კიევში);

2002-2004 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე ევროპული დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამმართველოს უფროსი;

2004-2007 – საქართველოს საელჩო უკრაინაში, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;.

2007-2012 – საქართველოს საელჩო ბელარუსის რესპუბლიკაში, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;.

2018-დან – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

ფლობს: რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გიორგი კუბლაშვილი

GEORGE KUBLASHVILI

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLANIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF UZBEKISTAN AND THE REPUBLIC OF TAJIKISTAN

დაიბადა: 26 ოქტომბერი, 1967 წელი, ქ.თბილისი, საქართველო.

განათლება:

1984-1991 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი; **1986-1988** – სავალდებულო სამხედრო სამსახური; **1993-1994** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესის სამართალმცოდნე; **1999-2000** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო-სამართლის ფაკულტეტი, მკვლევარი; **1997-2002** – ევროპული გამოცდილება კონფლიქტების მოწესრიგების კუთხით. (ყოფილი იუგოსლავია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი.); **1997-2001** – ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული კონფლიქტების მოწესრიგების ჯგუფის ეგიდით გამართული შეხვედრები, აშშ, ესპანეთი; **2007-2020** – საჯარო ლექციები.

სამუშაო გამოცდილება:

1993-1995 – საქართველოს პარლამენტი, წამყვანი სპეციალისტი; **1995-1997** – საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახური, კონსულტანტი; **1997-2004** – საქართველოს სახელმწიფო კანცელარია, განყოფილების უფროსი; **2004** – საქართველოს სახელმწიფო მინისტრის კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში აპარატის, განყოფილების უფროსი; **1997-2003** – მონაწილეობდა, როგორც დელეგაციის წევრი ე.წ. ცხინვალის რეგიონის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მოლაპარაკებაში; **2004-2005** – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, მთავარი მრჩეველი, განყოფილების უფროსი; **2005-2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მრჩეველი; **2006-2007** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2007-2009** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **2014-2018** – „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, ლექტორი; **2012** – ავტორი, წიგნი „მსოფლიო ჯაზის ვირტუოზები“; **2016** – „დიპლომატიური კლუბის“ თანადამფუძნებელი; **2013-დან**, ინტერნეტ გამოცემა „ივერია.ბიზ“ თანადამფუძნებელი; **2014-2018** – სტატიების ავტორი, ჟურნალი „ივერია“; **2018** – ავტორი, წიგნი „დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი“; **2019** – ავტორი, წიგნი „კონფლიქტი და მოლაპარაკებები“.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

მამუკა კუდავა
MAMUKA KUDAVA

2007-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში და მონაკოს სამთავროში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში

2007-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FRENCH REPUBLIC – – ACCREDITED TO THE PRINCIPALITY OF MONACO, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO UNESCO

დაიბადა: 13 ივნისი, 1971 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:1988-1993 – სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე; **1994-1995** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი; **1997** – ნატოს დემოკრატიული ინსტიტუტის სტიპენდიატი; **2001** – ბრიუსელის ფრანკოფონული უნივერსიტეტი; **2004-2005** – ადმინისტრაციის ნაციონალური სკოლა (საფრანგეთი); **2018** – თსუ, საერთაშორისო ეკონომიკის სკოლა.

სამუშაო გამოცდილება:

1995-1997 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტისა და სამხედრო-პოლიტიკის დეპარტამენტის მესამე მდივანი, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

1997-1998 – მონტერეის საერთაშორისო სწავლებათა ინსტიტუტის მიწვეული მკვლევარი (აშშ, კალიფორნია);

1998-2000 – ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოს მრჩეველი და უფროსი მრჩეველი;

2000-2002 – ნატოში საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი;

2002-2004 – საგარეო საქმეთა სამინისტრო, აშშ, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი;

2005-2007 – თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

2013-2016 – საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური საგამოძიებო ცენტრის დირექტორის მოადგილე;

2013-2017 – საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორის ასისტენტი;

2016-2017 – საქართველოს პოლიტიკური და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფის უმცროსი მრჩეველი;

2013-დან – BLC law ოფისის მრჩეველი;

2014-დან – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ფილოსოფიის მკვლევარი;

2018-დან – GOFORIT სისტემის მრჩეველი;

2018-დან – კოლუმბიის უნივერსიტეტის ფილოსოფიური თეზისის მკვლევარი.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, იტალიურ, თურქულ, ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ალექსანდრე ლაცაბიძე

ALEXANDER LATSABIDZE

02/2012-09/2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არგენტინის რესპუბლიკაში, ურუგვაის აღმოსავლეთის რესპუბლიკაში და პარაგვაის რესპუბლიკაში

02/2012-09/2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARGENTINA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF PARAGUAY AND THE ORIENTAL REPUBLIC OF URUGUAY

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კანადაში და სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციაში (ICAO) საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEOREGIA TO CANADA AND PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE INTERNATIONAL CIVIL AVIATION ORGANIZATION

დაიბადა: 14 ივნისი, 1974 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1996 – დაამთავრა აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; **1996-1999** – სწავლობდა აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში; **1994** – სწავლობდა კანადის ქალაქ კინგსტონის, უნივერსტეტში (Queens University); **1996** – სწავლობდა ქ. ისპაჰანის საეთაშორისო უნივერსიტეტში (ირანის ისლამური რესპუბლიკა); **1997-1998** – სწავლობდა ქ. ყაზვინის საერთაშორისო უნივერსიტეტებში (ირანის ისლამური რესპუბლიკა); **2003-2004** – იაპონიის ქ. ოსაკაში, იაპონური ენის ინსტიტუტიში (Japan Foundation) გაიარა უცხოელი დიპლომატებისთვის, იაპონური ენის შემსწავლელი სპეციალური კურსი.

სამუშაო გამოცდილება:

1998 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის სტაჟიორი;

1999 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საკონსულო დეპარტამენტის მეორე მდივანი;

1999-2002 – ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, საქართველოს საელჩოს კონსული;

2002-2004 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის მრჩეველი;

2004-2006 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტის მრჩეველი;

2006-2011 – აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს კონსული;

2011-2012 – კანადაში საქართველოს საელჩოს და საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციაში (ICAO) უფროსი მრჩეველი;

2017-დან – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ლექტორი;

2019-დან – საქართველოს უნივერსიტეტი, ლექტორი.

ფლობს: ინგლისურ, სპარსულ, იაპონურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ტარიელ ლებანიძე
TARIEL LEBANIDZE

1999-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში

1999-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF TURKEY

2009-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, ბოსნია და ჰერცეგოვინასა და ალბანეთის რესპუბლიკაში

2009-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF TURKEY – ACCREDITED TO BOSNIA AND HERZEGOVINA AND THE REPUBLIC OF ALBANIA

დაიბადა: 25 ივლისი, 1954 წელი, ქ. სოხუმი, საქართველო.

განათლება:

1971-1976 – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტი;

ისტორიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

2012-2015 – მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

2006-2009 – თურქეთის დეპარტამენტის დირექტორი – საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი;

2005-2006 – უფროსი მრჩეველი – საქართველოს ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაცია;

2004-2005 – მდივნის მოადგილე – საქართველოს უშიშროების საბჭო;

1998 – საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილე – საქართველოს პრეზიდენტის კანცელარია;

1997-1998 – ევროპის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

1992-1994 – გენერალური წარმომადგენელი ქ. სტამბულში – საქართველოს ავიახაზები „ორბი“;

1991-1992 – გენერალური დირექტორი – გაერთიანება „სერვისი“;

1984-1991 – თურქული ენის უფროსი თარჯიმანი – წყალბადის ზეჟანგის ქარხნის მშენებლობა ქ. ბანდირმა;

1979-1984 – კომკავშირულ, პარტიულ სამუშაოზე;

1976-1979 – თურქული ენის თარჯიმანი – ალუმინის კომბინატის მშენებლობა ქ. სეიდიშეჰირი.

ფლობს: თურქულ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

თამუნა ლილუაშვილი
TAMUNA LILUASHVILI

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BULGARIA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF NORTH MACEDONIA

დაიბადა: 27 იანვარი, 1978 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1996-2000 – ბაკალავრის ხარისხი, საერთაშორისო ურთიერთობა, Agnes Scott College, ა.შ.შ.;

1999 – საერთაშორისო ბიზნესი, მარკეტინგი და ვაჭრობა ამერიკული უნივერსიტეტი, ა.შ.შ.;

2011-2014 – მაგისტრის ხარისხი, გლობალური მენეჯმენტი, გრენობლის ბიზნეს სკოლა, საფრანგეთი;

2018 – დონალდ რამსფელდის ფონდი, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტი; მკვლევარი;

2020 – სერტიფიკატი, Fletcher School of Law and Diplomacy, Tufts University, LEADx Change.

სამუშაო გამოცდილება:

2001-2006 – საერთშორისო ურთიერთობების ცენტრი, SCIS, ა.შ.შ., დირექტორი, საერთაშორისო პროგრამების, საზოგადოებასთან ურთიერთობების კოორდინატორი;

2007-2008 – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, დირექტორი;

2008-2014 – არ-ემ-ჯი ჯგუფი, თბილისი, გენერალური დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო და ინვესტორთან ურთიერთობების სამსახური;

2014-2017 – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, დირექტორის პირველი მოადგილე, აღმასრულებელი დირექტორი;

2017-2018 – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, აწარმოე საქართველოში – საინვესტიციო მრჩეველი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ (შუალედური) ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ალექსანდრე (კახა) ლომაია

ALEXANDER (KAKHA) LOMAIA

2009-2012 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან

2009-2012 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UNITED NATIONS

დაიბადა: 27 ივლისი, 1963 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1985 – წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-ჰიდრომშენებლის სპეციალობით;

1992 – დაამთავრა მოსკოვის სამშენებლო აკადემიის ასპირანტურა.

სამუშაო გამოცდილება:

1985-1987 – სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი „თბილჰიდროპროექტი“, ინჟინერი;

1991 – მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი;

1993-1995 – საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი;

1995 – გაზეთ „არგუმენტის“ საერთაშორისო განყოფილების რედაქტორი;

1995-2000 – ფონდი „ევრაზიის“ (აშშ) სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის პროგრამის კოორდინატორი;

2000-2002 – ფონდი „ევრაზიის“ (აშშ) საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი;

2002-2003 – საერთაშორისო ორგანიზაციის „დიმოქრასი ქოალიშნ“ (აშშ) რეგიონული დირექტორი ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში;

2003-2004 – ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი;

2004-2007 – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

2007-2008 – საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი;

2014-დან – სამთავრობათაშორისო საქმეთა უფროსი ოფიცერი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და კონფერენციების მართვის დეპარტამენტი, ნიუ-იორკი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

სახელწმიფო ჯილდოები: წმ. გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენის კავალერი.

რევაზ ლომინაძე
REVAZ LOMINADZE

2016-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კვიპროსის რესპუბლიკაში

2016-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF CYPRUS

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში – აკრედიტებული ლიხტენშტაინის სამთავროში

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SWISS CONFEDERATION – ACCREDITED TO THE PRINCIPALITY OF LIECHTENSTEIN

დაიბადა: 10 დეკემბერი, 1972 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-1995 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ძველი ბერძნულისა და ლათინურის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1995-1996 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის ატაშე;

1996-1999 – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის მრჩეველი, უფროსი მრჩეველი, უფროსის მოადგილე;

1999-2003 – უკრაინაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი;

2003-2004 – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი;

2004-2009 – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილე;

2009-2010 – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი;

2011-2014 – პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული;

2014-2016 – კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ, პორტუგალიურ, რუსულ, ძველ ბერძნულ და ლათინურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ვაჟა ლორთქიფანიძე
VAZHA LORDKIPANIDZE

1995-1998 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში

1995-1998 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE RUSSIAN FEDERATION

დაიბადა: 29 ნოემბერი, 1949 წელი, საქართველო.

განათლება:

1973 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კიბერნეტიკის ფაკულტეტი;

1976 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, სოციოლოგი;

1989 – მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, პოლიტოლოგი.

სამუშაო გამოცდილება:

1989-1990 – საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი;

1992-1995 – საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

1998-2000 – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (პრემიერ-მინისტრი);

1995-2004 – საქართველოს პარლამენტის წევრი;

2002-2019 – საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე;

2000-2006 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის კათედრის გამგე;

2014 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

1999-დან – საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი;

2003 – აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ფლობს: რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. (1995)

რუსუდან ლორთქიფანიძე

RUSUDAN LORDKIPANIDZE

1998-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში – აკრედიტებული სან მარინოს რესპუბლიკაში, მალტის სამხედრო სუვერენულ ორდენთან და ქ. რომში განლაგებულ გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებში – FAO, IFAD, WFP

1998-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ITALY – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF SAN MARINO, TO THE MILITARY SOVEREIGN ORDER OF MALTA AND TO THE UN INTERNATIONAL ORGANISATIONS – FAO, IFAD, WFP IN ROME (PERMANENT REPRESENTATION OF GEORGIA, ROME)

დაიბადა: 5 აგვისტო, 1947 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1965-1970 – თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი; მიიღო არქიტექტორის კვალიფიკაცია;

1971-1975 – ასპირანტურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და მოსკოვის საზოგადოებრივ ნაგებობათა სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტში, **1975** – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; **1987-1989** – დოქტურანტურა მოსკოვის თანამედროვე არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის კვლევით ინსტიტუტში: **1993** – დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიიღო არქიტექტურის დოქტორის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

1975-1993 – თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

1981-1993 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი;

1993-1998 – თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

1994 – რომის უნივერსიტეტი „ლა საპიენცა“-ს მიწვეული პროფესორი;

2004-2007 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

2007-2008 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი;

2009-2019 – მრჩეველი-კონსულტანტი იტალიის სხვადასხვა ორგანიზაციებში.

ფლობს: ქართულ, რუსულ, იტალიურ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ფლორენციის დიდებულთა აკადემიის კოლეჯის საპატიო წევრი; რომის ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერებათა აკადემიის „ანჯელიკა კოსტანტინიანა“-ს საპატიო აკადემიკოსი.

ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე

EKATERINE MEIERING-MIKADZE

2004-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში – აკრედიტებული ერაყსა და ლიბანის რესპუბლიკაში (2004-2007 – ქუვეითის სახელმწიფოში, საუდის არაბეთის სამეფოსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში)

2004-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HASHEMITE KINGDOM OF JORDAN – ACCREDITED TO IRAQ AND THE REPUBLIC OF LEBANON (IN 2004-2007 – THE STATE OF KUWAIT, THE KINGDOM OF SAUDI ARABIA AND THE UNITED ARAB EMIRATES)

2009-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქუვეითის სახელმწიფოში – აკრედიტებული საუდის არაბეთის სამეფოში, ბაჰრეინის სამეფოში, კატარის სახელმწიფოში, ომანის სასულთნოში და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში

2009-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF KUWAIT – ACCREDITED TO THE KINGDOM OF SAUDI ARABIA, THE KINGDOM OF BAHRAIN, THE SULTANATE OF OMAN AND THE UNITED ARAB EMIRATES

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კატარის სახელმწიფოში

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF QATAR

დაიბადა: 4 აგვისტო, 1967 წელი, ქ. გორი, საქართველო.

განათლება: 2019 – გაზისა და ნავთობის პოლიტიკური ეკონომია, პარიზის პოლიტიკურ, მეცნიერებათა ინსტიტუტი, საფრანგეთი; **2004** – ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ძირითადი კურსი, მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტი, ჟენევა; **1993-1995** – თანამედროვე არაბული სამყაროს ანალიზი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, პარიზი, საფრანგეთი; **1984-1991** – აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **1988-1989** – ცოცხალ ენათა ინსტიტუტი, ტუნისის უნივერსიტეტი; **2017-2019** – გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მათ შორის პროექტების მონიტორინგისა და ევალუირების დარგში, ეუთოს/ოდირის საერთაშორისო დამკვირვებლის დარგში.

სამუშაო გამოცდილება: 2020 – მკვლევარი, ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტი, აშშ; **2019** – ბონის მადიბა აკადემიის თანადამფუძნებელი, გერმანია; **2002-2003** – მუშაობდა კონსულტანტად გერმანიის პოლიტიკურ ფონდში ლიბანში და საფრანგეთის ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტში იორდანიაში; **1998-1999** – კონსულტანტი, გერმანული ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტო, რიადი, საუდის არაბეთი; **1997-1998** – მკვლევარი, თანამედროვე აღმოსავლეთის ცენტრი, ბერლინი, გერმანია; **1996-1997** – პროექტ-მენეჯერი, ბერლინის მსოფლიო კულტურათა სახლი, გერმანია; **1992-1995** – მრჩეველი, საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილება, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, თბილისი.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: კატარის სახელმწიფოს ალ-ვაჯბას ორდენი, 2017; საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენი, 2010; ოქროს ფრთა, ჟურნალისტთა კავშირი, თბილისი, 2009.

ალექსანდრე მაისურაძე
ALEXANDER MAISURADZE

2015-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში, საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

2015-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO NATO, HEAD OF MISSION OF GEORGIA

2020-დან – ჟენევაში გაეროს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი

FROM 2020 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UN OFFICE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN GENEVA

დაიბადა: 6 სექტემბერი, 1973 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995-1998 – საქართველოს დიპლომატიური აკადემია (წარჩინებით); **1998** – ინტენსიური ენის კურსი ნევადის უნივერსიტეტი, აშშ; **1998** – ჯორჯ ს. მარშალის ევროპული უსაფრთხოების ცენტრი, კურსი-ლიდერები 21-ე საუკუნისთვის, გარმიშ-პარტენკირხენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; **1990-1995** – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (წარჩინებით); **2002** – ნატოს თავდაცვის კოლეჯი (IPOC); **2003** – ჟენევის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრი ევროპული უსაფრთხოების კურსი, ქ. ჟენევა, შვეიცარიის კონფედერაცია.

სამუშაო გამოცდილება:

1998-2000 – უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს ატაშე; **1999-2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს მეორე მდივანი; **2000-2002** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე; **2002-2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლისა და ახალი საფრთხეების სამმართველოს უფროსი; **2005-2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2006-2008** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი; **2008-2012** – ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე; **2012-2015** – ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, ეუთო-სა და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

თეა მაისურაძე
TEA MAISURADZE

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF LATVIA

დაიბადა: 12 იანვარი, 1983 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

2004-2006 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი; **2000-2004** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის ხარისხი; **2002-2005** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობა სამართალმცოდნეობა, მეორადი ფაკულტეტი.

ფლობს საერთაშორისო სერთიფიკატებს საგარეო პოლიტიკის და ადამიანის უფლებების სფეროში.

სამუშაო გამოცდილება:

2006-2007 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკის და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი, სტაჟიორი;

2009-2011– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ეუთო-ს სამმართველო, მრჩეველი;

2011-2015 – ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, ეუთოსა და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლობა, მრჩეველი;

2012 – (აგვისტო, სექტემბერი) საერთაშორისო ვიზიტორი ლიდერების პროგრამის (IVLP) მონაწილე ეუთო-ში აკრედიტებული დიპლომატებისთვის;

2015 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ეუთო-ს სამმართველოს უფროსი;

2015-2016 – საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2016-2018 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი;

2016-2018 – ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილე;

2018-დან – რიგის საერთაშორისო სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

თეიმურაზ მამაცაშვილი
TEIMURAZ MAMATSASHVILI

1995-2004 – საქართველოს პირველი ელჩი დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, პირველი ელჩი ირლანდიის რესპუბლიკაში, მუდმივი წარმომადგენელი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში

1995-2004 – FIRST AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND, FIRST AMBASSADOR TO THE REPUBLIC OF IRELAND, PERMANENT REPRESENTATIVE TO THE INTERNATIONAL MARITIME ORGANIZATION

დაიბადა: 10 ნოემბერი, 1942 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1965 – დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი;

1973 – დაამთავრა მოსკოვის საკავშირო საგარეო ვაჭრობის აკადემია, საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1965/5-1965/10 – უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, თბილისის ავტომატიზაციის და ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტი;

196 5/10-1970 – უფროსი ინჟინერი, თბილისის მეტროლოგიის ინსტიტუტი;

1974-1977 – სსრკ-ს სავაჭრო წარმომადგენლობა ავსტრალიაში, უფროსი ინჟინერი;

1977-1989 – ლიცენზინტორგის წარმომადგენელი, სსრკ-ს საგარეო ვაჭრობის საკავშირო ორგანიზაცია „ლიცენზინტორგი“, ფირმა „ლიცენზმაშის“ დირექტორი;

1989-1992 – სსრკ-ს სავაჭრო წარმომადგენლობა იაპონიაში;

1992-1993 – დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი;

1995-2004 – საქართველოს მმართველი ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკში;

1997-2004 – დამკვირვებელი ნავთობით დაბინძურების საერთაშორისო საკომპენსაციო ფონდში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ვანო მაჭავარიანი

VANO MACHAVARIANI

2007-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში
2007-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO JAPAN

დაიბადა: 22 აპრილი, 1969 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1986-1993 – ბაკალავრის დიპლომი მუნიციპალურ ადმინისტრირებაში, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი; **1993-1994** – მაგისტრის დიპლომი ევროპული კვლევების დარგში. ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი, პრაღა, ჩეხეთი; **1996** – აშშ-ს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტიის კონფლიქტის ანალიზისა და გადაჭრის ინსტიტუტი, მიწვეული მეცნიერ-თანამშრომელი; **2002-2003** – საერთაშორისო საჯარო პოლიტიკის მაგისტრი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტთან არსებული პოლ. ჰ. ნიცშეს სახელობის საერთაშორისო კვლევების სკოლა.

სამუშაო გამოცდილება:

2016-2018 – იგი ასრულებდა მდივნის მოადგილის მოვალეობას საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოების საბჭოში. მანამდე იყო აღმასრულებელი დირექტორი საქართველოს განვითარების ფონდში, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სს საპარტნიორო ფონდში და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საგარეო ურთიერთობათა მრჩეველი. ასევე, იყო სპეციალური წარმომადგენელი ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 2007 წელს;

2004-2007 – ვანო მაჭავარიანი იყო კერძო სექტორში ავსტრალიური კომპანია Bolnisi Gold-ის დირექტორის წარმომადგენლის თანამდებობაზე, შემდეგ კი, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში;

1998-2002 – იყო გაეროში საქართველოს მუდმივი მისიის მრჩეველი ნიუ-იორკში;

1997-1998 – იყო პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას საგარეო ურთიერთობათა თანაშემწე. 1996 წელს იყო მოწვეული თანამშრომელი კონფლიქტების მენეჯმენტის და რეზოლუციის ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში, ვირჯინიის ქალაქ ფერფაქსში;

1996-1997 – დააარსა და მართა ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისთვის“.

ვანო მაჭავარიანს აქვს მაგისტრის ხარისხი. ასწავლიდა საგარეო პოლიტიკას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მოწინავე საერთაშორისო კვლევების სკოლიდან (SAIS) ვაშინგტონში, ევროპული სწავლების სამაგისტრო დიპლომი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტიდან (CEU) პრაღაში და ბაკალავრის დიპლომი ქართულის პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან. ამჟამად, ვანო მაჭავარიანი არის საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი (GSAC) ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ ცენტრის გეოპოლიტიკური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

გეგა მგალობლიშვილი

GEGA MGALOBLISHVILI

2004-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ალბანეთსა და ბოსნია და ჰერცეგოვინაში

2004-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF TURKEY – ACCREDITED TO ALBANIA AND BOSNIA AND HERZEGOVINA

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში, საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO NATO, HEAD OF MISSION OF GEORGIA

დაიბადა: 7 ოქტომბერი, 1973 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-1995 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი; **1992-1993** – სტამბოლის უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტი, ქ. სტამბოლი, თურქეთის რესპუბლიკა; **1998-2010** – გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსები, კერძოდ ნატოს თავდაცვის კოლეჯში და ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახელმწიფო მმართვის სკოლაში; **2002-2003** – ოქსფორდის უნივერსიტეტის დიპლომატიურ სწავლებათა ფაკულტეტი, ქ. ოქსფორდი, გაერთიანებული სამეფო, ჩივნინგის სტიპენდიანტი; **2013-2014** – ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი, ქ. ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატები. მიიღო მაგისტრის აკადემიური ხარისხი სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხებში.

სამუშაო გამოცდილება:

2014-2015 – ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი, ქ. ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატები; **2008-2009** – საქართველოს პრემიერ-მინისტრი; **2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი, ქ. თბილისი, საქართველო; **2003-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ, კანადისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ქ. თბილისი, საქართველო; **1998-2002** – თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი და მრჩეველი, ქ. ანკარა, თურქეთის რესპუბლიკა; **1996-1998** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასავლეთ ევროპის სამმართველოს ატაშე, მეორე მდივანი, პირველი მდივანი. ქ. თბილისი, საქართველო; **2015-დან** ეროვნული თავდაცვის კოლეჯის პროფესორი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, აბუ დაბი.

ფლობს: ინგლისურ, თურქულ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. (2006).

ლევან მეტრეველი
LEVAN METREVELI

2008-2011 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში და მოლდოვას რესპუბლიკაში

2008-2011 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO ROMANIA AND THE REPUBLIC OF MOLDOVA

2011-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კანადაში და მუდმივი წარმომადგენელი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში

2011-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEOREGIA TO CANADA AND PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE INTERNATIONAL CIVIL AVIATION ORGANIZATION (ICAO)

2012-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის რესპუბლიკაში

2012-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BULGARIA

დაიბადა: 15 თებერვალი, 1966 წელი, ქ. თელავი, საქართველო.

განათლება: 2005-2006 – ემორის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლა (ატლანტა, ჯორჯია, აშშ), საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაგისტრი (MPH); **1998-1998** – იორკის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ეკონომიკის ცენტრი (იორკი, დიდი ბრიტანეთი), დიპლომი ჯანდაცვის ეკონომიკაში; **1989-1993** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა, აკადემიური დოქტორი მედიცინაში (PhD), წარჩინების დიპლომი; **1983-1989** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, ექიმი (MD), წარჩინების დიპლომი სპეციალობით – სამკურნალო საქმე; **სტაჟირებები:** ჯონ სმიტის სტიპენდიატი (დიდი ბრიტანეთი); ედმუნდ ე. მასკის სტიპენდიატი (აშშ); საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი.

სამუშაო გამოცდილება: 2018-დან – ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი, მედიცინის ფაკულტეტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროფესორი, Erasmus+ "SPRING" პროექტის დირექტორი; **2015-დან** – USAID-ის მიერ დაფინანსებული წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) პროექტი აჭარაში, საქართველოს სამედიცინო ჯგუფი, პროექტის დირექტორი; **2014-2015** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, ფინანსური დირექტორი; **2004-2008** – საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრი; **2002-2004** – ქ. თბილისის საკრებულო, საკრებულოს წევრი, საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე; **2001-2004** – საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ასოციაცია, პრეზიდენტი; **1998-2004** – თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ინგლისურენოვანი სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი; **1998-2006** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი; **1994-1998** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის კათედრა, ასისტენტ-პროფესორი; **1997-2001** – საქართველოს ექიმთა ასოციაცია, გენერალური მდივანი; **1996-1997** – სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯი (ტამპა, ფლორიდა, აშშ), მიწვეული ასისტენტ-პროფესორი; **1994-1997** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გიორგი მირცხულავა
GEORGE MIRTSKHULAVA

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პორტუგალიის რესპუბლიკაში, საქართველოს წარმომადგენელი პორტუგალიურენოვან სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (CPLP)

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF PORTUGAL, REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE COMMUNITY OF PORTUGUESE LANGUAGE COUNTRIES (CPLP)

დაიბადა: 4 ნოემბერი, 1972 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1989-1994 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით; მიიღო იურისტის კვალიფიკაცია.

სამუშაო გამოცდილება:

1996 თებერვალი-მაისი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტაჟიორი;

1996-2001 – საქართველოს სახელმწიფო კანცელარია, სახელმწიფო პროტოკოლის მთავარი სპეციალისტი, სახელმწიფო მრჩეველი, განყოფილების უფროსი;

2001-2003 – საქართველოს სახელმწიფო კანცელარია, სახელმწიფო პროტოკოლის უფროსის მოადგილე;

2003-2011 – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის მთავარი მრჩეველი, სამსახურის უფროსის მოადგილე;

2011-2013 – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობათა და პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილე;

2013-2020 – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის უფროსი.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ჯილდოები: ღირსების ორდენი (2013 წ.)

ლევან მიქელაძე

LEVAN MIKELADZE

1957-2009

1996-2001 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ქ. ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში

1996-2001 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AUSTRIA, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE OSCE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN VIENNA

2002-2006 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკის შეერთებულ შტატებში

2002-2006 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED STATES OF AMERICA, CANADA AND UNITED MEXICAN STATES

2006-2007 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2006-2007 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SWISS CONFEDERATION, PERMANENT REPRESENTATIVE TO THE UN OFFICE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN GENEVA

დაიბადა: 26 თებერვალი, 1957 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1973-1978 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით; მიიღო გეოგრაფის კვალიფიკაცია; **1978-1992** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; **1989-1992** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწათშემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი.

სამეცნიერო ხარისხი:

1987 – გეოგრაფიის დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

1992-1994 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული სამმართველოს უფროსი; **1992-1994** – საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატის ეროვნული უსაფრთხოების საგარეო-პოლიტიკური უზრუნველყოფის ჯგუფის მრჩეველი; **1994-1995** – სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) ფულბრაიტის სახელობის სტიპენდიანტი მკვლევარი; **1995-1996** – აშშ-ში საქართველოს საელჩოს მრჩეველი; **2008-2009** – პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ თანადამფუძნებელი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

სახელმწიფო ჯილდო: ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2016 წ.) (გარდაცვალების შემდეგ).

მალხაზ მიქელაძე
MALKHAZ MIKELADZE

2011-2015 – საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მექსიკის შეერთებულ შტატებში რეზინდეციით ქ. მეხიკოში – აკრედიტებული გვატემალის რესპუბლიკაში, დომინიკის რესპუბლიკაში, იამაიკაში, კოსტა-რიკის რესპუბლიკაში, კუბის რესპუბლიკაში, პანამის რესპუბლიკაში, ჰონდურასის რესპუბლიკაში

2011-2015 – FIRST AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED MEXICAN STATES WITH THE RESIDENCE IN MEXICO CITY – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF GUATEMALA, THE REPUBLIC OF DOMINICA, JAMAICA, THE REPUBLIC OF COSTA-RICA, THE REPUBLIC OF CUBA, THE REPUBLIC OF PANAMA, THE REPUBLIC OF HONDURAS

დაიბადა: 1 ოქტომბერი, 1967 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1984-1991 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; მიიღო ხიდებისა და გვირაბების სპეციალობით ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია; **1999** – დაასრულა ქ. გარმიშ-პარტენკირხენის უსაფრთხოების საკითხთა მარშალის სახელობის ცენტრის სასწავლო კურსი; **2002** – დაასრულა ქ. რომის ნატოს კოლეჯის უმაღლესი დონის კურსები.

სამუშაო გამოცდილება:

1991-1996 – მეტრომშენის საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი; **1996-1998** – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი; **1997** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის სტაჟიორი; **1998-1999** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ატაშე; **1999-2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის მე-2 მდივანი; **2000-2001** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის პირველი მდივანი; **2001-2003** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ორმხრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი; **2003-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2004-2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **2006** – დაზვერვის სახელმწიფო სამსახურის უფროსის მოადგილე; **2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **2006-2010** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და კანადაში; **2015-2016** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **2017-დან** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: აცტეკის არწივის ორდენი – მექსიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ჯილდო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

დავით მუმლაძე
DAVIT MUMLADZE

2011-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთის რესპუბლიკაში

2011-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF KAZAKHSTAN

დაიბადა: 24 აგვისტო, 1964 წელი, ქ. ხონი, საქართველო.

განათლება:

1981-1986 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით; **1986-1989** – თსუ სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის კათედრის ასპირანტი; **1990** – საკანდიდატო დისერტაცია კრიმინოლოგიაში.

სამართლის დოქტორი.

თადარიგის პოლკოვნიკი.

სამუშაო გამოცდილება:

1991-1996 – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების სისტემაში იურიდიული სამსახურის უფროსი;

1996-1997 – საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

1997-2000 – საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანი;

2000-2001 – შემოსავლების მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი;

2002-2003 – თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი;

2003 – საქართველოს პარლამენტის წევრი;

2003-2004 – საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთში;

2004 – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

1993-1995 – საქართველოს კონსტიტუციის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიის წევრი;

1989-2007 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, პროფესორი;

2007-დან – კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს კერძო დაცვითი კომპანიების ასოციაციის პრეზიდენტი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

მამუკა მურჯიკნელი
MAMUKA MURJIKNELI

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO TURKMENISTAN AND THE ISLAMIC REPUBLIC OF AFGHANISTAN

დაიბადა: 5 ოქტომბერი, 1978 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1998 წელს – დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობით – ეკონომისტი.

სამუშაო გამოცდილება:

1998-1999 – ეკავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი სპეციალისტის თანამდებობა;

1999-2003 – მუშაობდა აშშ-ს, კანადასა და მექსიკაში საელჩოს ატაშეს (კომერციულ საკითხებში) თანამდებობაზე;

2003-2005 – მივლინებულ იქნა აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩევლის თანამდებობაზე;

2005-2007 – მუშაობდა კომპანია „კანარგო"-ში, საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში მენეჯერის თანამდებობაზე;

2007-2015 – მუშაობდა შ.პ.ს „ტეტის პეტროლეუმ ლიმიტედ"-ში, საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში მენეჯერის, კორპორატიულ საქმეთა მენეჯერის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებზე;

2015-2017 – მუშაობდა „სქაილენდ პეტროლეუმ გრუპ"-ში, საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე;

2017-2018 – იყო დამოუკიდებელი კონსულტანტი, ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონში.

ფლობს: რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ნიკოლოზ ნათბილაძე
NIKOLOZ NATBILADZE

2007-2009 – საქართველოს საგანებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

2007-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

2009-2012 – საქართველოს საგანებო და სრულუფლებიანი ელჩი ესპანეთის სამეფოსა და ანდორის სამთავროში

2009-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SPAIN AND TO THE PRINCIPALITY OF ANDORRA

დაიბადა: 17 ნოემბერი, 1971 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

2005 – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

1988-1993 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი; სპეციალობა ინჟინერ-ტექნოლოგი;

1999-2005 – გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსი საქართველოში და საზღვარგარეთ, მათ შორის ჯორჯ ს. მარშალის ცენტრსა და საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის სასწავლო ცენტრში.

სამუშაო გამოცდილება:

1998-2004 – სადაზღვევო კომპანია „BCI“-ს“ დამფუძნებელი; სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

2004-2005 – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი;

05.2005 -11.2005 – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

11.2005-03.2007 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

2012-2016 – ჰოლდინგური კომპანია „ნირეზონ“-ის აღმასრულებელი დირექტორი;

2016-დან – „AZERSUN HOLDING“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

ფლობს: რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

სახელმწიფო ჯილდო: ღირსების ორდენი.

ნინო ნაკაშიძე

NINO NAKASHIDZE

2008-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში

2008-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE CZECH REPUBLIC

დაიბადა: 9 ნოემბერი,1955 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1972-1977 – ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისური და გერმანული ენების ფაკულტეტი,დიპლომი და მაგისტრის ხარისხი;

1977-1980 – მ. ტორეზის სახელობის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისური ენის კათედრის ასპირანტი, დიპლომი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი;

2000 – ამერიკული სწავლების ფულბრაიტის პროგრამა,ლუიზიანას შტატის უნივერსიტეტი, აშშ;

2006 – აშშ კონგრესის დემოკრატიის მხარდაჭერის პროგრამა;

2007 – სამთავრობო სწავლების პროგრამა, ტოკიო, იაპონია.

სამუშაო გამოცდილება:

2019-დან – სამაუწყებლო კომპანია მთავარი არხის გენერალური დირექტორის მოადგილე;

2013-2019 – სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ს გენერალური დირექტორის მოადგილე;

2008-2013 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საბჭოს სამმართველოს უფროსი;

2004-2008 – საქართველოს პარლამენტის წევრი;

2006-2008 – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

2002-2008 – ამერიკული სწავლების ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი;

1995-2005 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

1994-2010 – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ასოცირებული პროფესორი;

1982-1993 – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ევროპის პრიზი ხელოვნებისა და კულტურის მხარდაჭერისათვის.

ალექსანდრე ნალბანდოვი

ALEXANDER NALBANDOV

2011-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთის რესპუბლიკაში

2011-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF SLOVAKIA

2016-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში – აკრედიტებული ტუნისის რესპუბლიკაში და ლიბიის სახელმწიფოში

SINCE 2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ARAB REPUBLIC OF EGYPT – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF TUNISIA AND THE STATE OF LIBYA

დაიბადა: 14 აპრილი, 1960 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1977-1982 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი;

1997 – სტაჟირება ცენტრალურ ევროპულ უნივერსიტეტში, (ქ. ბუდაპეშტი, უნგრეთი,) გაეროს პროგრამის ფარგლებში (ადამიანის უფლებათა სფეროში სახელმწიფო ანგარიშების მომზადება).

სამუშაო გამოცდილება:

11/2005 - 03/2006 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს უფროსი;

03/2006-10/2006 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველოს უფროსი;

10/2006-12/2008 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი;

11/2008-12/2008 – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;

12/2008-12/2010 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

12/2010-04/2011 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და სლოვაკურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

იოსებ ნანობაშვილი
IOSEB NANOBASHVILI

2015-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთისა და სერბეთის რესპუბლიკებში

2015-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HELLENIC REPUBLIC – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF SERBIA

დაიბადა: 30 აპრილი, 1971წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1987-1993 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **სამეცნიერო ხარისხი:** თეორიული ფიზიკის ბაკალავრი; **2000-2002** – ხმელთაშუაზღვის დიპლომატიური აკადემია (Mediterranean Academy of Diplomatic studies; Malta); **2003-2005** – ლუიზიანას (აშშ), ლაკრუზის უნივერსიტეტი (Bay, St. Louis, MS, USA); სამეცნიერო ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორი, პოლიტიკური მეცნიერებები (დისტანციური სწავლება).

სამეცნიერო ხარისხი: დიპლომატიის მაგისტრი; **აკადემიური ხარისხი:** პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დიპლომატიის მაგისტრი.

სამუშაო გამოცდილება:

2020-დან – კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი; **2013-2015** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი; **2013-2014** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროსაბჭოს სამმართველოს უფროსი; **2009-2013** – ეუთო-ში (OSCE) საქართველოს მისიის უფროსი მრჩეველი (ქ. ვენა); **2008-2009** – რუმინეთსა და მოლდოვაში საქართველოს საელჩოს საქმეთა რწმუნებული/უფროსი მრჩეველი/კონსული (ქ. ბუქარესტი); **2006-2008** – საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2002-2006** – ევროკავშირთან საქართველოს მისიის მრჩეველი (ქ. ბრიუსელი); **1998-2002** – საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე/მეორე მდივანი/ატაშე.

აკადემიური გამოცდილება: კანადის მანიტობას უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევარი **(The University of Manitoba, Canada)**; ვებსტერის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (Honorary Faculty, Webster University, Athens Campus); საბერძნეთის პირეოსის უნივერსიტეტის მკვლევარი (The University of Piraeus).

სამეცნიერო ნაშრომები:

2008-2011 – Exporting to the European Union Market - Specific Issues (ISBN 978-9941-0-0570) EU Taxation Policy towards products imported from third countries (ISBN 978-9941-0-0841) Certification of the animal products exported to the EU(ISBN 978-9941-0-1534) Specific Issues of the Export of Organic Products to the EU Market (ISBN 978-9941-0-3302); **2018** – საბერძნეთში ლეგალური მიგრაციის გზამკვლევი – Guidelines for legal migration to Greece (ICMPD/EU, Vienna, 2018); **2019** – მრავალმხრივი დიპლომატიის პრაქტიკული სახელმძღვანელო – Practical Guidelines for Multilateral Diplomatic Activities (პირეუსის უნივერსიტეტი, საბერძნეთის რესპუბლიკა).

ფლობს: ინგლისური, რუსული – სრულყოფილად; ფრანგული – საბაზისო.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გია (გიორგი) ნიკოლაიშვილი

GIA (GEORGE) NIKOLAISHVILI

2015-2019 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კუბის რესპუბლიკაში, პირველი რეზიდენტი ელჩი და ქ.ჰავანაში საქართველოს საელჩოს დამაარსებელი

2015-2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF CUBA, FIRST RESIDENT AMBASSADOR AND FOUNDER OF GEORGIAN EMBASSY IN HAVANA

დაბადება: 26 აპრილი, 1957 წელი, ქ. სამტრედია, საქართველო.

განათლება: 1973-1978 – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი; **1978-1980** – თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის, ინგლისური და ესპანური ენების კურსები; **1981-1986** – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტი; **1993** – ნიდერლანდების საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი – „კლინგენდაილ"-ის დიპლომატიური კურსები.

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება „ავტოტრანსტექნიკას" – ინჟინერი (1978-1980); საბჭოთა კავშირის ელექტრომრეწველობის სამინისტროს, საკონსტრუქტორო ბიურო „ინდიკატორის" – მეცნიერ-მუშაკი (1980-1986); საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების/სახალხო განათლების სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი/სამმართველოს უფროსის მოადგილე (1986-1992); საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (1992-2004); საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი, კონფლიქტების მოგვარების ჯგუფის უფროსი (2004-2005); საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის სუამ-ისა და წევრ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი (2005-2011); საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი (2011-2015).

საზოგადოებრივი და საერთაშორისო აქტივობა: 100-ზე მეტი სამსახურებრივი მივლინება საზღვარგარეთ, საქართველოს განათლების, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის და დიპლომატიური ურთიერთობების ფარგლებში (1986-2019); ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ადამიანური განზომილების და დემოკრატიის ფორუმზე საქართველოს წარმომადგენელი (ქ. ვარშავა, 1994); ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის სამიტის მოსამზადებელ კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი (ქ. ბუდაპეშტი, 1994); ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის სამიტზე საქართველოს დელეგაციის წევრი (ქ. ბუდაპეშტი, 1994); ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მოლდოვის მისიის წევრი/მისიის ხელმძღვანელის მოადგილე (ქ. კიშინოვი, 1995-1996); ეუთო-ს ტაჯიკეთის მისიის ხელმძღვანელი (ქ. დუშანბე, 1996-1997); ეუთო-ს კოსოვოს საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიის, ქ.ჯილანის რეგიონალური ოფისის მეკავშირე ოფიცერი (ქ. ჯილანი, 1998-1999); ეუთო-ს კოსოვოს მისიის პრიზრენის რეგიონალური ოფისის დემოკრატიზაციის მიმართულების ხელმძღვანელი (ქ. პრიზრენი,1999-2002); გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, ეუთო-ს, დსთ-ს და სუამ-ის სამიტებზე და საგარეო საქმეთა მინისტრების ფორუმებზე საქართველოს დელეგაციის წევრი (1993-2015).

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, ესპანურ ენებს – სრულყოფილად.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი. (2013)

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი

NIKOLOZ NIKOLOZISHVILI

1998-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში

1998-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARMENIA

2006-2011 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთის რესპუბლიკასა და სლოვენიის რესპუბლიკაში

2006-2011 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF SLOVAKIA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF SLOVENIA

2011-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში

2011-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF POLAND

2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში

FROM 2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO ROMANIA

დაიბადა: 9 მაისი, 1965 წელი, თბილისი, საქართველო.

განათლება:

1982-1989 – სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, კლასიკური ფილოლოგია; **1989-1993** – თბილისის სასულიერო აკადემია, ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტი; **2006** – დოქტორის ხარისხი ისტორიაში, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება:

1988-1989 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტაჟიორი;

1989-1993 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

1993-1995 – ყოველდღიური გაზეთის „ივერია ექსპრესი“-ს მთავარი რედაქტორი;

1995-1998 – საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე;

2004-2005 – საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში;

ფლობს: ინგლისურ, სლოვაკურ, ჩეხურ, პოლონურ, რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: სლოვაკეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოქროს მედალი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „ბენე მერიტოს“ (Bene Merito) საპატიო ორდენი.

ლევან ნიჟარაძე
LEVAN NIJARADZE
1963 – 2016

2014-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში
2014-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF INDIA

დაიბადა: 14 დეკემბერი, 1963 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1980-1985 – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;

1994-95 – ვენის დიპლომატიური აკადემია.

სამუშაო გამოცდილება:

1991-დან – მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში;

1991-1992 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურისა და ჰუმანიტარული ურთიერთობების სამმართველოს მეორე მდივანი;

1993-1995 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის, პარტნიორული და ჰუმანიტარული ურთიერთოებების დეპარტამენტი. კულტურის განყოფილების უფროსი;

1995-1996 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმასრულებელი სამდივნოს უფროსი;

1998-1999 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი;

1999-2004 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის დირექტორი;

2005-2007 – უკრაინაში საქართველოს საელჩო, უფროსი მრჩეველი;

2007-2009 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გლობალურ ურთიერთობათა დეპარტამენტი, ამერიკის სამმართველოს უფროსი;

2009-2010 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის აშშ-სა და ჩრდილოეთ ამერიკის სამმართველოს უფროსი;

2010-2013 – ქუვეითის სახელმწიფოში საქართველოს საელჩო, საქმეთა დროებითი რწმუნებული.

ფლობდა: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ლაშა ოთხმეზური
LASHA OTKHMEZURI

2004-2005 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესპანეთის სამეფოში

2004-2005 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SPAIN

დაიბადა: 25 იანვარი, 1968 წელი.

განათლება: 1985-1991 – თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი; **1992-1996** – თბილისის კინოსა და თეატრის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე.

საფრანგეთში აქვს დაცული სადოქტორო დისერტაცია (PhD) რელიგიის ისტორიაში.

სამუშაო გამოცდილება:

1998-2000 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – ინფორმაციის დეპარტამენტი, სხვადასხვა დიპლომატიური თანამდებობა.

პუბლიკაციები:

წიგნები

- Grandeur et Misère de l'Armée Rouge (თანაავტორი Jean Lopez)
- Joukov, l'Homme qui a vaincu Hitler (თანაავტორი Jean Lopez)

წიგნმა მიიღო სორბონის უნივერსიტეტის თუკიდიდეს და საფრანგეთის აკადემიის პრემია. წიგნი ნათარგმნია 4 ენაზე.

- Barbarossa 1941. La guerre absolue. (თანაავტორი Jean Lopez)

წიგნმა მიიღო შატობრიანისა და გეკლანის პრემია, პრიზი საუკეთესო წიგნისთვის ევროპის ისტორიაზე.

- Les Maréchaux de Staline (თანაავტორი Jean Lopez)

თავები წიგნებში:

- Les Mythes de la Seconde Guerre Mondiale. ორტომეული ნათარგმნია 4 ენაზე.
- Encyclopédie de la Seconde Guerre Mondiale.
- La Wehrmacht. La Fin d'un Mythe.
- Reporters de Guerre. L'Histoire en première ligne.

Miscellaneous

აქვს გადაღებული მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმები.

ჟურნალი Guerres et Histoire სარედაქციო კომიტეტის წევრი.

ფლობს: ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ და რუსულ ენებს.

ზურაბ პატარაძე
ZURAB PATARADZE

2012-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში

2012-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF TURKEY

2013-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთის რესპუბლიკაში

2013-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF KAZAKHSTAN

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

დაიბადა: 12 თებერვალი, 1973 წელი, ქ. ბათუმი, საქართველო.

განათლება:

1994 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობა; **2007** – ქ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობა.

სამუშაო გამოცდილება:

1994-1996 – ქ. ბათუმის საბანკო სტრუქტურები; **1996-2000** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი; **2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრი; **2000-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი; **2004-2007** – რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელი; **2007-2009** – რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს კონსული; **04/03/2009-01/05/2009** – რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის კონსული; **2009-2010** – საქართველოს გენერალური კონსული ქ. სალონიკში; **2011** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი; **2011-2012** – საქართველოს გენერალური კონსული თურქეთის რესპუბლიკაში (ქ. სტამბოლი); **15/07/2016-21/07/2018** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

ფლობს: ინგლისურ, თურქულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. (2012)

ალექსი პეტრიაშვილი
ALEX PETRIASHVILI

2004-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში

2004-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO TURKMENISTAN – ACCREDITED TO THE ISLAMIC REPUBLIC OF AFGHANISTAN

დაიბადა: 24 აგვისტო, 1970 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1987-1992 – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით;

2000 – რომის ნატო-ს თავდაცვის კოლეჯის მაღალი რანგის კურსი საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1994-1998 – საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის, შემდგომში საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის საგარეო პოლიტიკის ანალიზის განყოფილების მრჩეველი;

1998-2001 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2001-2002 – საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა ეუთო-ში, გაერო-სა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში – უფროსი მრჩეველი;

2002-2004 – საქართველოს საელჩო აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში – უფროსი მრჩეველი;

2012-2014 – სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ზურაბ პოლოლიკაშვილი

ZURAB POLOLIKASHVILI

2006-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესპანეთში, ანდორას სამთავროში, ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მაროკოს სამეფოში

2006-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SPAIN – ACCREDITED TO THE PRINCIPALITY OF ANDORRA, THE PEOPLE'S DEMOCRATIC REPUBLIC OF ALGERIA AND THE KINGDOM OF MOROCCO

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესპანეთში, ანდორას სამთავროში, ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მაროკოს სამეფოში

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SPAIN – ACCREDITED TO THE PRINCIPALITY OF ANDORRA, THE PEOPLE'S DEMOCRATIC REPUBLIC OF ALGERIA AND THE KINGDOM OF MOROCCO

2018-დან – გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი

FROM 2018 – SECRETARY-GENERAL OF THE UNITED NATIONS WORLD TOURISM ORGANIZATION (UNWTO)

დაიბადა: 12 იანვარი, 1977 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1994-1998 – სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო საბანკო საქმის ფაკულტეტზე;

2009 – დაასრულა Instituto de Empresa-ს გლობალური მართვის პროგრამა (Global Senior Managment Program) ქალაქ მადრიდში,ესპანეთის სამეფო.

სამუშაო გამოცდილება:

1997-დან – შრომითი საქმიანობა დაიწყო სააქციო საზოგადოება „თიბისი“ ბანკში საერთაშორისო ოპერაციების მენეჯერად, საკორესპონდენტო ანგარიშების მართვის მენეჯერად, დოკუმენტალური აკრედიტების მენეჯერად, საკრედიტო მენეჯერად;

2001-დან – მუშაობდა სააქციო საზოგადოება „თიბისი“ ბანკის მთაწმინდის ფილიალის დირექტორად;

2005-დან – ამავე ბანკის ცენტრალური ფილიალის დირექტორად;

2005-2006 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

2009-2010 – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი;

2010-2011 – სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტი;

2011-2012 – საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ აღმასრულებელი დირექტორი;

05/2017-დან – გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, ესპანურ, ფრანგულ, იაპონურ და პოლონურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ლაშა ჟვანია
LASHA ZHVANIA

2005-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში და კვიპროსის რესპუბლიკაში

2005-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF ISRAEL AND THE REPUBLIC OF CYPRUS

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF ISRAEL

დაიბადა: 1973 წ. 14 ოქტომბერი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995 – საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **1995-1998** – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და დევნილთა სამართლის საკითხთა მკვლევარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა; **1995** – ლიდსის უნივერსიტეტის პოლიტიკისა და დიპლომატიის კურსი (CPDS); **1998** – ადამიანის უფლებათა სასწავლო კურსი, ბირმინგემის უნივერსიტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1993-1995 – სტაჟიორი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

1995-1998 – მესამე მდივანი და მეორე მდივანი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ და ტერიტორიალურ დეპარტამენტებში;

1998-2002 – პირველი მდივანი, კონსული, საქართველოს საელჩო ისრაელის სახელმწიფოში;

2002-2003 – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

2002-2003 –საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს წევრი;

2004-2005 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

2008 – საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის – საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე

2008-2009 – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი;

2009 – საკონსულტაციო და მენეჯმენტის კომპანიის Global Uni Group-ს დამფუძნებელი და მმართველი;

2010-დან – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეს კულტურის, მეცნიერებისა და სულიერების აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი;

2018-2019 – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი.

ფლობს: ინგლისურს, ივრითს (ებრაული), რუსულს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. (2004)

კონსტანტინე ჟღენტი
KONSTANTINE JGENTI

2014-2018 – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ტაჯიკეთის რესპუბლიკაში

2014-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF UZBEKISTAN – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF TAJIKISTAN

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქუვეითის სახელმწიფოში

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF KUWAIT

დაიბადა: 8 სექტემბერი, 1952 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1975 – დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1976-1989 – მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილებაში;

1983 – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პალესტინა ინგლისის მანდატის წლებში“.

1989-1990 – წლებში იყო მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დოქტორანტი;

1993 – იყო მიწვეული მკვლევარი აშშ-ის ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახელობის სკოლაში, სადაც მუშაობდა თემაზე „რუსეთის პოლიტიკა პოსტ-საბჭოთა სივრცეში და კონფლიქტები“;

2009-2014 – წლებში იყო თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული და ნამდვილი პროფესორი;

1990-დან – მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. სხვადასხვა დროს იყო პოლიტიკური და ევროპა-ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი, საგანგებო დავალებათა ელჩი;

1997-2000 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი იტალიაში;

2004-2006 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიასა და უნგრეთში (არა-რეზიდენტი);

2018-2019 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

ფლობს: რუსულ, ინგლისურ, არაბულ და იტალიურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

მამუკა ჟღენტი
MAMUKA JGENTI

2010-2013 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში
2010-2013 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE COUNCIL OF EUROPE

დაიბადა: 26 სექტემბერი, 1975 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

სამუშაო გამოცდილება:

1995-1997 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის სტაჟიორი; **1997-1999** – ეკავა სახვადასხვა თანამდებობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივ დეპარტამენტში; **1999-2001** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსი; **2001-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2004-2006** – ევროპის საბჭოს სტრატეგიული დაგეგმარების დირექტორატის მთავარი მრჩეველი; **2006-2007** – ევროპის საბჭოს სამართლებრივ საკითხთა გენერალური დირექტორატის სასამართლო სამმართველოს სამართლის მრჩეველი; **2007** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის უფროსი; **2007-2010** – ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; **2010** – ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი; **2013-2014** – საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში; **2014-2020** – საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის დამფუძნებელი; **2014-2015** – მოლდოვას რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოსა და გენერალურ პროკურატურაში ევროკავშირის მიერ მივლენილი მთავარი მრჩეველი; **2014-2016** – საქართველოს ევროპული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ლექტორი; **2016-2017** – მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საკითხებში; **2018-2020** – ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ევროკავშირის გლობალური პროგრამის სასამართლო სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების კომპონენტების ხელმძღვანელი.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ, ფლამანდრულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები და სამეცნიერო ხარისხები: ქ. სტრასბურგის მერის სპეციალური ჯილდო საქართველოსა და საფრანგეთს შორის ურთიერთოებების განმტკიცებისათვის; ბელგიის ქ. ბრიუგეს ევროპის კოლეჯის ევროპული სამართლის მაგისტრის ხარისხი.

მარიამ რაქვიაშვილი
MARIAM RAKVIASHVILI

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE CZECH REPUBLIC

დაიბადა: 6 აპრილი, 1977 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995-1999 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – არქიტექტურის ფაკულტეტი;

1999-2002 – მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი – საერთაშორისო ურთიერთობები და ევროკავშირის სამართალი.

სამუშაო გამოცდილება:

2003-2005 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – რუსეთის ფედერაციის დეპარტამენტის მეორე მდივანი;

2005-2007 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის პირველი მდივანი;

2007-2008 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – გლობალური დეპარტამენტი – მრჩეველი;

2008-2009 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – ამერიკის დეპარტამენტის ლათინური ქვეყნების სამმართველოს უფროსი;

2009-2012 – საქართველოს საელჩო ესტონეთის რესპუბლიკაში – უფროსი მრჩეველი;

2012 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2012-2013 – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი;

2013-2017 – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

2018 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – ნატო-ში ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ნიკოლოზ რევაზიშვილი

NIKOLOZ REVAZISHVILI

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კატარის სახელმწიფოში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF QATAR

დაიბადა: 9 თებერვალი, 1979 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1996-2000 – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ბაკალავრის ხარისხი საჯარო მმართველობაში;

2000-2002 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი მაგისტრის ხარისხი სამოქალაქო სამართალში;

2005-2006 – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, მკვლევარი.

სამუშაო გამოცდილება:

2001-2004 – იკავებდა სხვადასხვა თანამდებობებს დსთ-ს ქვეყნების სამმართველოსა და სამხედრო-პოლიტიკურ დეპარტამენტში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2004-2005 – ნატო-სთან ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი; საერთაშორისო ურთიერთობებისა და ნატო-სთან ინტეგრაციის დეპარტამენტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

2005-2006 – საერთაშორისო ურთიერთობებისა და ნატო-სთან ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

2006-2009 – ნატო-ში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ნატო-სთან საქართველოს წარმომადგენლობა, ბრიუსელი, ბელგია;

2009-2013 – მრჩეველი, საქართველოს საელჩო აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში; ვაშინგტონი, აშშ;

2013-2017 – უფროსი მრჩეველი, საქართველოს საელჩო ისრაელის სახელმწიფოში;

2017-2018 – ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს, ივრითი (ებრაული) და ფრანგული – საწყისი დონე.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ნიკოლოზ რთველიაშვილი

NIKOLOZ RTVELIASHVILI

2011-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიის სამეფოში – აკრედიტებული ნორვეგიის სამეფოსა და ისლანდიის რესპუბლიკაში (2012 წლის ბოლოდან ნორვეგიაში დაარსდა საელჩო, რომელიც გამოეყო ცალკე ერთეულად)

2011-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF DENMARK – ACCREDITED TO THE KINGDOM OF NORWAY AND TO THE REPUBLIC OF ICELAND (SINCE 2012 EMBASSY OF GEORGIA HAS BEEN OPENED IN KINGDOM OF NORWAY)

დაიბადა: 23 მარტი, 1956 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1978 – დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით; **1979-1983** – სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით; **1985** – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია აღნიშნული უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე.

სამუშაო გამოცდილება:

1983-1992 – მუშაობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ლექტორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე;

08/1992-დან – საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს სხვადასხვა თანამდებობებზე.

1993 – გააგზავნეს სამუშაო მივლინებით ვენაში (ავსტრია), სადაც დაარსდა საქართველოს პირველი მისია ვენის საერთაშორისო ორგანიზაციებში (ეუთო, გაერო);

1997-2008 – მუშაობდა ავსტრიის საქართველოს საელჩოში უფროს მრჩევლად და ბრიუსელში ნატოს საქართველოს მისიაში ელჩის მოადგილედ;

2008-2011 – უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში;

2017-2018 – იგი საგანგებო დავალებათა ელჩია საგარეო საქმეთა სამინისტროში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების მიმართულებით (ქბრბ), ხოლო 2018 წლის მაისიდან არის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ელჩი-მკვლევარი, ამასთანავე საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენელი ქბრბ საფრთხეების შემცირების საკითხებში;

1996-1997 – წლებში იგი იყო ფულბრაიტის მკვლევარი-სტიპენდიანტი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში;

2003-2004 – გაიარა კურსები ჟენევის საერთაშორისო უსაფრთხოების ცენტრში.

ფლობს: ინგლისურსა და რუსულ ენებს თავისუფლად, ხოლო გერმანულს საშუალოდ.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ნატალი საბანაძე

NATALIE SABANADZE

2013-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში და ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

FROM 2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF BELGIUM AND GRAND DUCHY OF LUXEMBOURG AND THE HEAD OF GEORGIAN MISSION TO THE EUROPEAN UNION

დაიბადა: 31 აგვისტო, 1975 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1994-1997 – აშშ-ს სვართმორის და მოუნთ ჰოლიოკის კოლეჯები; მიიღო საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ბაკალავრის ხარისხი;

1998-1999 – ლონდონის ეკონომიკის სკოლა; მიიღო საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მაგისტრის ხარისხი;

2000-2005 – ოქსფორდის უნივერსიტეტი, მიენიჭა პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

2011-2013 – ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის კაბინეტი, აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის განყოფილების უფროსი;

2010-2011 – ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის კაბინეტი, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების უფროსი;

2005-2010 – ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის, უფროსი პოლიტიკური მრჩეველი;

1999-2000 – აშშ-ს საელჩო საქართველოში, პოლიტიკური ოფიცერი.

სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა მიწვეულ მკვლევარად, გერმანიაში, უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ევროპულ ცენტრში და ესპანეთში დეუსტოს უნივერსიტეტში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გიორგი საგანელიძე
GIORGI SAGANELIDZE



2016-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში

FROM 2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARMENIA

დაიბადა: 29 სექტემბერი, 1972 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1991-1996 – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღმოსავლეთმცოდნე;

1993-1996 – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამართალმცოდნე.

სამუშაო გამოცდილება:

1996 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკისა და ოკეანეთის დეპარტამენტის, შემდგომ კი (1997 წლიდან) დსთ-ს დეპარტამენტის სტაჟიორი;

1998 – დსთ-ს დეპარტამენტის ატაშე;

1999 – დსთ-ს დეპარტამენტის მეორე მდივანი;

2000 – დსთ-ს დამოუკიდებელი სამმართველოს მრჩეველი;

2003 – დსთ-ს დამოუკიდებელი სამმართველოს უფროსი;

2005 – საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი სომხეთის რესპუბლიკაში;

2009 – საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი უზბეკეთის რესპუბლიკაში;

2011 – სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი;

2013 – საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი სომხეთის რესპუბლიკაში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ხათუნა სალუქვაძე

KHATUNA SALUKVADZE

2013-2019 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიეტუვის რესპუბლიკაში

2013-2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF LITHUANIA

ხათუნა სალუქვაძემ კარიერული დიპლომატიის ყველა საფეხური გაიარა – მრჩევლიდან საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოზიციამდე.

ლიეტუვის რესპუბლიკაში ელჩად დანიშვნამდე, იგი იყო საგანგებო დავალებათა ელჩი, პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი, ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი, პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი და მრჩეველი ევროპულ საქმეთა დეპარტამენტში.

ხათუნა სალუქვაძე ასევე მუშაობდა პრემიერ-მინისტრის უფროს მრჩევლად საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში საქმიანობის დაწყებისთანავე, ხათუნა სალუქვაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის, კონცეფციის და მისიის ფორმულირებაში. მისი ავტორობით, საქართველოს ისტორიაში პირველად შემუშავდა საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და დიპლომატიური სამსახურის მისია, რაც დღემდე საფუძვლად უდევს საზღვარგარეთ საქართველოს მისიების საქმიანობას.

ხათუნა სალუქვაძემ დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი (საჯარო მართვის მაგისტრის ხარისხი), ლონდონის ეკონომიკის და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა LSE (საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი), და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი.

დიპლომატიურ კარიერასთან ერთად, ხათუნა სალუქვაძე ეწევა საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხათუნა სალუქვაძის ინიციატივით განხორციელებული ისტორიული გადაწყვეტილება – ლიეტუვურ ენაში, გამორჩეულად მეგობრული ურთიერთობების და მტკიცე ურთიერთთანამშრომლობის დასტურად, განხორციელებულიყო საკანონმდებლო ცვლილება და საქართველოს ოფიციალური დასახელება „გრუზია“ (Gruzija) შეიცვლილიყო სახელწოდებით „საქართველო“ (Sakartvelo). რის შემდეგაც, საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა მიიღო საპასუხო გადაწყვეტილება ქართულ ენაში ავთენტური სახელწოდება „ლიეტუვა“-ს დამტკიცების თაობაზე.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, ესპანურ და ლიეტუვურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

სალომე სამადაშვილი
SALOME SAMADASHVILI

2005-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში, ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

2005-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF BELGIUM – ACCREDITED TO THE GRAND DUCHY OF LUXEMBURG, HEAD OF THE GEORGIAN MISSION TO THE EUROPEAN UNION

დაიბადა: 2 აპრილი, 1976 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1993-1995 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი (აშშ-ში სწავლის გაგრძელების მიზეზით დატოვა უნივერსიტეტი); **1995-1997** – ალეგენის კოლეჯი, პენსილვანია, აშშ, ბაკალავრი, წარჩინებით, პოლიტიკური მეცნიერებები და ფილოსოფია; **1998-1999** – ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი, საკონსტიტუციო სამართლის მაგისტრი, წარჩინებით; **1999-2001** – ამერიკული უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, საზოგადოებრივ საქმეთა სკოლა, სახელმწიფო მართვის მაგისტრი.

სამუშაო გამოცდილება:

1997-1998 – მონტერეის განიარაღების ცენტრის მკვლევარი, ვაშინგტონი;

1999-2000 – კარანა კორპორაცია, ვაშინგტონი, სპეციალისტი;

2000-2001 – საერთაშორისო განათლების და ხელოვნების ცენტრი, ვაშინგტონი, სპეციალისტი;

2001-2003 – ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, საქართველო, ყირგიზეთი, საპარლამენტო პროგრამის ოფიცერი;

2004-2005 – საქართველოს პარლამენტის წევრი;

2005-2013 – ევროკავშირში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, ბრიუსელი;

2013-2014 – ვილფრედ მარტენსის ევროპული კვლევების ცენტრი, ბრიუსელი, საპატიო მკვლევარი;

2014-2015 – ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, ლიბიის მმართველობის პროგრამის დირექტორი, მალტა-ტრიპოლი;

2016-2020 – საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობების კომიტეტის და ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილე.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდო: ბრწყინვალების ორდენი, მიენიჭა 2011 წლის 23 ნოემბერს.

გელა სეხნიაშვილი
GELA SEKHNIASHVILI

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არგენტინის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ურუგვაის აღმოსავლურ რესპუბლიკაში, ჩილეს რესპუბლიკაში, პარაგვაის რესპუბლიკაში, ბოლივიის მრავალეროვნულ სახელმწიფოსა და ეკვადორის რესპუბლიკაში

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARGENTINA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF CHILE, THE REPUBLIC OF PARAGUAY, THE ORIENTAL REPUBLIC OF URUGUAY, THE REPUBLIC OF ECUADOR AND PLURINATIONAL STATE OF BOLIVIA

დაიბადა: 6 იანვარი, 1978 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995-2000 – სწავლობდა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე;

2000-2003 – სწავლობდა პარიზის პოლიტიკურ სწავლებათა ინსტიტუტში, პარიზის ლათინური ამერიკის სწავლებათა ინსტიტუტში და უნივერსიტეტი პარიზი 12.

სამუშაო გამოცდილება:

2003-2004 – მუშაობდა ფრანგულ ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში „კვლევისა და ტექნიკური გაცვლის ჯგუფი“, ბრაზილიის პროგრამებზე;

2004-დან – მუშაობდა ჰუმანიტარულ ორგანიზაცია „მსოფლიოს ექიმების“ (Médecins du Monde), პროგრამების გენერალურ კოორდინატორად შემდეგ ქვეყნებში: 2004-2006 – ბრაზილია; 2006-2008 – გვატემალა; 2008-2011 – სირია;

2011-2012 – მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ;

2017-დან – მუშაობს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში, ჟენევაში, ამერიკის მიმართულებით დიპლომატიურ მრჩევლად, პოლიტიკისა და ჰუმანიტარული დიპლომატიის დეპარტამენტში.

ფლობს: ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესანის დიპლომატიური რანგი.

აპოლონ სილაგაძე
APOLON SILAGADZE
1942 - 2017

1998-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში – აკრედიტებული სირიის არაბთა რესპუბლიკაში, ლიბანის რესპუბლიკასა და იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში

1998-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ARABIC REPUBLIC OF EGYPT – ACCREDITED TO THE ARABIC REPUBLIC OF SYRIA, THE REPUBLIC OF LEBANON AND THE HASHEMITE KINGDOM OF JORDAN

დაიბადა: 29 მაისი, 1942 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1959-1964 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სემიტოლოგია. აღმოსავლეთმცოდნე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

სამუშაო გამოცდილება:

1983-1998 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრის გამგე;

1981-1985 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი;

1986-1988 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი;

1988-1991 – გაზეთ „სახალხო განათლება“, მთავარი რედაქტორი;

1992-1998 – გაზეთი „სვაბოდნაია გრუზია“, მთავარი რედაქტორი;

1990-დან – საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი;

2004-დან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრის გამგე, ეროვნული სტრატეგიის ცენტრის ხელმძღვანელი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ღირსების ორდენი.

ეკატერინე სირაძე დელონე

EKATERINE SIRADZE-DELAUNAY

2013-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკასა და მონაკოს სამთავროში, მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში

2013-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FRENCH REPUBLIC – ACCREDITED TO THE PRINCIPALITY OF MONACO AND PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO UNESCO

დაიბადა: 8 თებერვალი, 1975 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1993-1998 – სწავლობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ ტექნიკური ინსტიტუტის სამართლის ფაკულტეტზე. დამთავრების შემდეგ მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი – იურისტის სპეციალობა; **2003-2004** – სორბონაპანთეონ, პარი ერთის უნივერსიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის, კონფლიქტების პრევენციის, ჰუმანიტარული ინტერვენციისა და მდგრადი განვითარების ფაკულტეტი. დამთავრების შემდეგ მიენიჭა მაგისტრის წოდება კონფლიქტების მართვის კუთხით.

სამუშაო გამოცდილება:

2010-2013 – აქტიურად ეწეოდა საერთაშორისო საკონსულტანტო საქმიანობას მსოფლიოს მასშტაბით (აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, პოსტ საბჭოთა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანა) ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის როგორებიცაა: საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, ეუთო, ვენეციის კომისია, ევროპის საბჭო და ა.შ.

2011-დან – ლექტორი არჩევნებისა და ადვოკაციის თემებზე ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი;

2007-2011 – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება –აღმასრულებელი დირექტორი;

2004-2007 – სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო საზოგადოება – პროექტისა და შემდგომ პროგრამების ხელმძღვანელი;

2004 – გაეროს ბავშვთა ფონდი – სტაჟიორი;

2000 – ორგანიზაცია „ხალხი ნაღმების წინაარმდეგ“ – მრჩეველი.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს, საბაზისო დონეზე პორტუგალიურ ენას.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

სტატიები, პუბლიკაციები: 2015 – „რადიო თავისუფლება“ სტატია ბატაკლანის ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით; **2012** – „ნეტგაზეთი“ სტატია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 41 ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით; **2011** – ჟურნალი „ლიბერალი“ სტატია საარჩევნო კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით; **2010** – ჟურნალი „ლიბერალი“ სტატია არჩევნების შემდგომ მონიტორინგის შესახებ; **2009** – ეუთოსა და ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული და “Petite”-ის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნი საქართველოს 2008 წლის არჩევნებთან დაკავშირებით. სტატია „ამომრჩეველთა სიების შესახებ“.

ვასილ სიხარულიძე
VASIL SIKHARULIDZE

2005-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკის შეერთებულ შტატებში

2005-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED STATES OF AMERICA, CANADA AND UNITED MEXICAN STATES

დაიბადა: 30 მაისი, 1968 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1985-1993 – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) კვალიფიკაცია- ექიმი პედიატრი. ინტერნატურა – ფსიქიატრიის ინსტიტუტი- კვალიფიკაციით ექიმი ფსიქიატრი; **1997-2001** – გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსები ჯ. მარშალის სახელობის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრში (გერმანია), ნატოს კოლეჯში (რომი), შვედეთის თავდაცვის კოლეჯში, სამხედრო-საზღვაო სამართლის სკოლაში (აშშ), ჟენევის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრში (შვეიცარია); **2010-2011** – ჰარვარდის უნივერსიტეტი. საჯარო ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

1993-1995 – ფსიქიატრიის ინსტიტუტი. ექიმი ფსიქიატრი; **1995-1996** – საქართველოს ატლანტიკური საბჭო, აღმ. დირექტორი; **1996-2000** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი. წამყვანი სპეციალისტი; **2000-2002** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტი. ნატოს სამმართველოს უფროსი; **2002-2004** – საქართველოს დიპლომატიური მისია ნატოში. მისიის ხელმძღვანელის მოადგილე; **2004 04-06** – ეროვნული უშიშროების საბჭო. საბჭოს მდივნის მოადგილე; **2004-2005** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის მოადგილე; **12/2008-08/2009** – საქართველოს თავდაცვის მინისტრი; **09/2009 -2010 მაისი** – პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში; **2011-2017** – მოწვეული ლექტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, მოწვეული ლექტორი; **10/2011-დან** – საქართველოს ატლანტიკური საბჭო, თავმჯდომარე; **2011-დან** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; **2017/01/06** – ფულბრაიტის პროგრამის მკვლევარი. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი (აშშ); **2018-დან** – თბილისის ღია უნივერსიტეტი, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამა.

ფლობს: ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენი.

კარლო (კახა) სიხარულიძე

KARLO (KAHA) SIKHARULIDZE

2006-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში

2006-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE CZECH REPUBLIC

2009-2011 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

2009-2011 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE PEOPLE`S REPUBLIC OF CHINA

2013-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში – აკრედიტებული სან-მარინოსა და მალტის რესპუბლიკებსა და ქ. რომში განლაგებულ გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებში (FAO, IFAD, WEP)

2013-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ITALY – ACCREDITED TO THE REPUBLICS OF SAN MARINO AND MALTA AND UN INTERNATIONAL ORGANIZATIONS (FAO, IFAD, WFP) IN ROME (PERMANENT REPRESENTATION OF GEORGIA, ROME)

დაიბადა: 25 აპრილი, 1963 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: **1979-1984** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მიიღო ჟურნალისტის კვალიფიკაცია. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, იტალიის დიპლომატთა ასოციაციის საპატიო წევრი.

სამუშაო გამოცდილება: **1984-1985** – თბილისის საავიაციო ქარხნის გაზეთის კორესპონდენტი; **1985-1987** – გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტი; **1987-1988** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერისტეტის ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი; **1988-1990** – გაზეთ „რესპუბლიკის“ განყოფილების გამგე; **1990-1991** – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის პირველი მოადგილე; **1991-1992** – გაზეთ „განათლების“ რედაქტორი; **1992-1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი, პირველი მდივანი; **1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნატოს სამმართველო, უფროსის მოადგილე; **1994-1996** – თურქეთში საქართელოს საელჩო, კონსული, ქ. ანკარა; **1996-1999** – საბერძნეთში საქართველოს საელჩოს, პოლიტიკური მრჩეველი, ქ. ათენი; **1999-2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეუთოს სამმართველო, უფროსი; **2000-2001** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურის დეპარტამენტი, დირექტორი; **2001-2002** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ინფორმაციის დეპარტამენტი. დირექტორი. სამინიტროს ოფიციალური წარმომადგენელი (სფოუქსმენი); **2002-2003** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **2004 07-11** – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე; **2004-2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **2008-2009** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპულ საქმეთა დეპარტამენტი, დირექტორი; **2011-2013** – სატელევიზიო კომპანია „9-ე არხის“ საერთაშორისო საინფორმაციო სამსახურის დირექტორი; **2018-2019** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **2019-დან** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი.

წიგნები: ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა. თბილისი. 1990.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

დავით სოლომონია
DAVID SOLOMONIA

2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – აკრედიტებული პერუს რესპუბლიკაში, სურინამის რესპუბლიკაში, კოლუმბიის რესპუბლიკაში, გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკასა და ტრინიდადი და ტობაგოს რესპუბლიკაში

FROM 2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERATIVE REPUBLIC OF BRAZIL – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF PERU, REPUBLIC OF SURINAME, REPUBLIC OF COLOMBIA, CO-OPERATIVE REPUBLIC OF GUYANA AND REPUBLIC OF TRINIDAD AND TOBAGO

დაიბადა: 23 ნოემბერი, 1973 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-1995 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი. სამთო საქმესა და გეოლოგიაში ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტი;

1998 – კლინგენდაელის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, ქ. ჰააგა, ჰოლანდია.

სამუშაო გამოცდილება:

1995-1996 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი, მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების ატაშე; **1996-1997** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი, მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების მეორე მდივანი; **1997-1998** – გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ქ. რომი, პირველი მდივანი; **1998-1999** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი, ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველო, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების უფროსი; **1999-2003** – საქართველოს საელჩო საბერძნეთის რესპუბლიკაში, ქ. ათენი პირველი მდივანი; **2003** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2003-2005** – მინისტრის სამდივნო დეპარტამენტის დირექტორი; **2006** – ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი; **2006-2010** – ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქარველოს საელჩო, ევროკავშირთან საქართველოს წარმომადგენლობა, ქ. ბრიუსელი, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; **2010** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საკონსულო დეპარტამენტი, ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსი; **2010-2013** – ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქარველოს საელჩო, ევროკავშირთან საქართველოს წარმომადგენლობა, ქ. ბრიუსელი, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; **2014-2017** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ღირსების ორდენი.

კონსტანტინე სურგულაძე

KONSTANTINE SURGULADZE

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში

2014-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF THE NETHERLANDS

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში – აკრედიტებული სან-მარინოსა და მალტის რესპუბლიკებსა და ქ. რომში განლაგებულ გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებში (FAO, IFAD, WEP)

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ITALY – ACCREDITED TO THE REPUBLICS OF SAN MARINO AND MALTA AND THE UN INTERNATIONAL ORGANIZATIONS (FAO, IFAD, WFP) IN ROME (PERMANENT REPRESENTATION OF GEORGIA, ROME)

დაიბადა: 14 ივლისი, 1971 წელს, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-1991 – კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი – საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; **1991 -1995** – საქართველო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; **1996** – დიდი ბრიტანეთი, ბირმინგემის უნივერსიტეტი – საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებები; **1997** – ნიდერლანდები, ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემია.

სამუშაო გამოცდილება:

1997-1998 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი; **1998-2001** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საკონსულო დეპარტამენტი – მესამე მდივანი; **2001-2005** – საქართველოს საელჩო დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში – კონსული; **2005-2006** – საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია, თანამშრომლობა გაეროს პროგრამის ფარგლებში; **2006-2007** – შვერონ – ტექსაკოს წარმომადგენლობა საქართველოში – გენერალური დირექტორი; **2007-2008** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი; **2009** – პოლიტიკური პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი – რეგიონალური განყოფილების უფროსი; **2010-2011** – პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ – ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; **2012** – პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ – ემიგრაციისა და დიასპორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **2012-2014** – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და იტალიურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გრიგოლ ტაბატაძე
GREGORY TABATADZE

2009-2010 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში

2009-2010 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARMENIA

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში – აკრედიტებული ერაყსა და ლიბანის რესპუბლიკაში

2014-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HASHEMITE KINGDOM OF JORDAN – ACCREDITED TO IRAQ AND THE REPUBLIC OF LEBANON

დაიბადა: 25 ივნისი, 1963 წელი, ქ. სიღნაღი, საქართველო.

განათლება:

1986 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი; **1985** – სწავლობდა კაიროს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც გაირა არაბული ენის კურსი და წინასადიპლომო პრაქტიკა; **1993** – სწავლობდა აარონ ოფრის სახელობის დიპლომატიურ სკოლაში (ისრაელი); **1994** – კაიროს დიპლომატიურ აკადემიაში; **1995** – დაამთავრა ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპული უსაფრთხოების ცენტრის, სტრატეგიული კვლევებისა და თავდაცვითი ეკონომიკის კოლეჯი.

სამუშაო გამოცდილება:

საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა დროს ეკავა შემდეგი თანამდებობები:

პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს, აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე; პოლიტიკური დეპარტამენტის ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სამმართველოს უფროსი; პოლიტიკური დეპარტმენტის დირექტორის მოადგილე ახლო აღმოსავლეთის აზიის, აფრიკის და სამხრეთ აღმოსავლე აზიის ქვეყნების ხაზით; აზიის, აფრიკის ავსტრალიისა და წყნარი ოკეანეთის ქვეყნების დირექტორის მოადგილე; დირექტორი. ევროპის დეპარტამენტის დირექტორი; ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის დეპარტამენტის დირექტორი.

მუშაობდა საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოებში:

1996-1999 – ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი;

2011-2014 – ამავე საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და უკრაინულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

მიხეილ უკლება
MIKHEIL UKLEBA

2005-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

2005-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE PEOPLE`S REPUBLIC OF CHINA

2008-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის რესპუბლიკაში

2008–2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BULGARIA

2013-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში

2013-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO UKRAINE

2014-2017 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი სუამ-ში

2014-2017 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO GUAM

დაიბადა: 15 აპრილი, 1953 წელი, ქ. ბათუმი, საქართველო.

განათლება:

1971-1977 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი; **1982-1985** – საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის აკადემია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: 2018-დან – საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარი; **2012-2013** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი; **2004-2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2001-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი; **1998-2001** – საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი; **1992-1998** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **1991-1992** – საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი; **1990-1991** – საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს პირველი მდივანი; **1985-1989** – საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის უფროსი ეკონომისტი, ერაყი, ბაღდადი.

სხვა გამოცდილება: 1994-1998 – ევროკავშირთან თანამშრომლობის კომისიის ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი, პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მოსამზადებელი ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი; **1995-2000** – საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების კომისიის თავმჯდომარე; **1992-1997** – რუსეთის ფედერაციასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და ჰუმანიტარულ სფეროებში ორმხრივი მოლაპარაკებების საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე; **2004-2005** – საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში სრულფასოვანი ჩართვის ეროვნული კომისიის თავმჯდომარე.

ფლობს: რუსულ, ინგლისურ და არაბულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: 2008 – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენი; **2012** – ბულგარეთის რესპუბლიკის უმაღლესი, პირველი კლასის „სტარა პლანინა“ ორდენი.

მაია ფანჯიკიძე
MAIA PANJIKIDZE

2004-2007 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

2004-2007 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY

2007-2010 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში

2007-2010 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF THE NETHERLANDS

კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

დაიბადა: 16 ოქტომბერი, 1960 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1977-1979 – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი; **1979-1983** – იენის (გდრ) ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი; **1983-1986 –** შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი (ასპირანტურა).

პედაგოგიური გამოცდილება:

1983-1994 – თბილისის მე-6 საავტორო სკოლის გერმანული მიმართულების ხელმძღვანელი; **1988-1994** – თსუ დოცენტი; **2010-2012** – გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი; **1992-1994** გერმანული ენის მასწავლებელთა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარე; **2015-2016 –** რომში ნატო-ს კოლეჯის მიწვეული ლექტორი; **2018** – ბრემენის უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი.

დიპლომატიური გამოცდილება:

1994-2004 – გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი, მრჩეველი, დესპანი; **2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2012-2014** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

მთარგმნელობითი საქმიანობა:

მაქს ფრიშის, თომას ბერნჰარდის, პეტერ ჰანდკეს, რობერტ მენასეს, ბერნჰარდ შლინკის, გერჰარდ ბაუმის, ეგონ ბარის, ჰენრი კისინჯერის და სხვათა ნაწარმოებების ქართული თარგმანების ავტორი.

ფლობს: გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ავსტრიის რესპუბლიკის ღირსების უმაღლესი ოქროს ორდენი ვარსკვლავით, 2019.

კონსტანტინე ქავთარაძე

KONSTANTIN KAVTARADZE

2006-2011 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში

2006-2011 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF POLAND

2011-2015 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში

2011-2015 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SWEDEN AND REPUBLIC OF FINLAND

2017-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კანადაში

FROM 2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO CANADA

2017-დან – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში

FROM 2017 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE INTERNATIONAL CIVIL AVIATION ORGANIZATION

დაიბადა: 19 მაისი, 1966 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: **1990** – თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტი; **1994** – ვენის დიპლომატიური აკადემია.

სამუშაო გამოცდილება: **1983-1985** – საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, რეჟისორის ასისტენტი; **1990** – დიპლომატიური სამსახური, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **1990-1991** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მთავარი საწარმოო-კომერციული სამმართველო; **1991-1992** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურულ-ჰუმანიტარულ ურთიერთობათა სამმართველო; **1992-1993** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის, პარტნიორულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის ჰუმანიტარულ ურთიერთობათა განყოფილების უფროსი; **1993-1994** – ვენის დიპლომატიური აკადემიის სპეციალური კურსი; **1994-1995** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის, პარტნიორულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის ჰუმანიტარულ ურთიერთობათა განყოფილების უფროსი; **1995-2000** – ქ. ათენში საქართველოს გენერალური საკონსულო, ვიცე-კონსული; **2000-2001** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ეუთო-ს სამმართველოს უფროსი; **2001** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2001-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი; **2004-2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2005** – ნატო-სთან პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი; **2011** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი; **2016-2017** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ, ბერძნულ, პოლონურ, რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: საქართველოს „ღირსების ორდენი“.

გრიგოლ ქათამაძე
GRIGOL KATAMADZE

2000-2007 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში (2001-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აკრედიტებული მოლდოვის რესპუბლიკაში და რუმინეთში)

2000-2007 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO UKRAINE (2001-2004 ACCREDITED TO THE REPUBLIC OF MOLDOVA AND ROMANIA)

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO UKRAINE

დაიბადა: 12 აგვისტო, 1961 წელი, ქ. ქუთაისი, საქართველო.

განათლება: 1985 – დაამთავრა კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: 1985-1987 – სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის სასწავლო განყოფილების ინჟინერი, ზოგადი იურიდიული დისციპლინების კათედრის სასწავლო კაბინეტის უფროსი; **1987-1988** – მსახურობდა სსრკ-ს შეიარაღებულ ძალებში; **1988-1993** – სასწავლო კაბინეტის უფროსი, უფროსი პედაგოგი, ასოცირებული პროფესორი, კათედრის უფროსის მოადგილე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ზოგადი იურიდიული დისციპლინების კათედრის უფროსი; **1993-1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **1994-1998** – საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი უკრაინაში; **1998-2000** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე; **2007-2008** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2008-2009** – სს „საქართველოს ბანკის“ საერთაშორისო განვითარების დირექტორი; **2013-2014** – კომპანია BETEK-ის მრჩეველი; **2014-2015** – TNK GLOBAL GROUP-ის პრეზიდენტი; **29/05/2015-დან** – სრულიად უკრაინის გადამხდელთა ასოციაციის პრეზიდენტი; **1/04/2020-დან** – შპს PETRO OIL AND CHEMICALS – დირექტორი (შეთავსებით); **1/08/2020-დან** – შპს “UKRAINIAN ENERGY SOLUTIONS 2018”-ის გენერალური დირექტორი.

სოციალური აქტივობები:

ბოჰდან სტუპკას ფონდის სამეურვეო საბჭოს წევრი; უკრაინის საგარეო პოლიტიკის ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი; უკრაინის ბიზნეს საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის კოლეგიის წევრი; ევროპის გადამხდელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (უკრაინა, 1991).

ფლობს: ინგლისურ, უკრაინულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: III ხარისხის დამსახურების ორდენი (უკრაინა, 2006); II ხარისხის დამსახურების ორდენი (უკრაინა, 2007); იაროსლავ ბრძენის V ხარისხის ორდენი (უკრაინა, 2007); ღირსების ორდენი (საქართველო, 2009); საპრეზიდენტო ღირსების ორდენი (საქართველო, 2013).

სოფიო ქაცარავა
SOPHIE KATSARAVA

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND

დაიბადა: 8 დეკემბერი, 1976 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1999 – დაამთავრა ილია ჭაჭავაძის სახელობის დასავლური ენებისა და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი.

სოფიო ქაცარავა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობას შეუდგა 2020 წლის აპრილის თვიდან. ელჩად დანიშვნამდე, ქალბატონი სოფიო იკავებდა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს. მანამდე რამდენიმე წელი საქართველოში, ბრიტანეთის საელჩოში კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერის პოზიციაზე მუშაობდა, რის შემდეგაც დაიკავა პოლიტიკური მდივნის თანამდებობა. სოფიო ქაცარავას მინიჭებული აქვს მისი აღმატებულება, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ელისაბედ II-ის ჯილდო MBE (ბრიტანეთის იმპერიის საპატიო წევრი) საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საქმეში გაწეული წვლილისათვის.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

გიორგი ქერდიყოშვილი

GEORGE KERDIKOSHVILI

2008-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიეტუვის რესპუბლიკაში

2008-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF LITHUANIA

დაიბადა: 1 იანვარი, 1968 წელი, ქ. გორი, საქართველო.

განათლება: 1995-1998 – საქართველოს დიპლომატიური აკადემია, თბილისი, საქართველო; დიპლომი – დიპლომატია, საერთაშორისო ურთიერთობები; **1986-1993** – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო; დიპლომი – აგრონომ-ინჟინერი.

სამუშაო გამოცდილება:

2013-დან – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია, პრეზიდენტის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2007-2008 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს კუნსული ლიეტუვის რესპუბლიკაში;

2004-2007 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს კონსული ლიეტუვის, ლატვიის და ესტონეთის რესპუბლიკებში;

2003-2004 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ლიეტუვის, ლატვიის და ესტონეთის რესპუბლიკებში;

1999-2003 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, პროტოკოლის დეპარტამენტი, დირექტორის მოადგილე; საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო;

1996-1999 – დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე;

1997-1999 – საქართველოს ახალგაზრდული პროგრამებისა და ახალგაზრდობის სოციალური დაცვის ეროვნული ფონდი, თბილისი, გენერალური დირექტორი;

პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი შიდა ქართლში, გორი, საქართველო;

01.1995-11.1995 – დეპარტამენტის უფროსი ბიზნესის განვითარების საკითხებში;

1993-1994 – საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ცხინვალის რეგიონალური ოფისი, გორი, საქართველო, აპარატის უფროსი.

ფლობს: ინგლისურ, ლიეტუვურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანაგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ლიეტუვის რეპუბლიკის რიცარის ორდენი, ლიეტუვის ბიზნეს ასოციაციის სახელწიფო ორდენი, საქართველოს ღირსების ორდენი.

ბათუ ქუთელია

BATU KUTELIA

2008-2011 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკის შეერთებულ შტატებში

2008-2011 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED STATES OF AMERICA, CANADA AND THE UNITED MEXICAN STATES

დაიბადა: 16 იანვარი, 1974 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-2000 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტი, თბილისი; **1995-1996** – საჯარო მმართველობის ქართულ-ამერიკული ინსტიტუტი, თბილისი; **1999** – უსაფრთხოების კვლევის ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპული ცენტრი, გერმანია; **2000** – საზღვაო ძალების სამართლის სკოლა, ნიუპორტი, აშშ.; **2000-2001** – ნატო-ს თავდაცვის კოლეჯის მკვლევარი; **2003** – ნატო-ს თავდაცვის კოლეჯი, რომი; **2005** – დაზვერვის დირექტორების კურსი, დიდი ბრიტანეთი; **2007** – ჰარვარდის უნივერსიტეტი, კენედის სკოლა, შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამა, აშშ; **2016** – სტენფორდის უნივერსიტეტი, დემოკრატიის, განვითრების და კანონის უზენაესობის ცენტრი, ლიდერობის განვითარების აკადემიის კურსი.

სამუშაო გამოცდილება:

03.1997-08.1997 – პირველი მდივანი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **08.1997-10.1998** – სამხედრო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **10.1998-01.2000** – სამხედრო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი, სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **01.2000-09.2003** – სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; **09.2003-05.2004** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში; **05.2004-06.2004** – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი; **06.2004-10.2004** – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი; **10.2004-12.2004** – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე; **01.2005-09.2006** – საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი; **09.2006-12.2006** – საქართველოს საგრეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **12.2006-11.2007** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე; **11.2007-12.2008** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; **01.2011-11.2013** – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე; **2013-2014** – მაკკეინის ინსტიტუტი საერთაშორისო ლიდერობისათვის, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, აშშ; **2013-დან** – საქართველოს ატლანტიკური საბჭო, ვიცე პრეზიდენტი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი, საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების გაფორმებისთვის.

ლევან ღვაჩლიანი
LEVAN GVACHLIANI

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიეტუვის რესპუბლიკაში

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF LITHUANIA

დაიბადა: 1 ივნისი, 1978 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1995-2000 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით; მიიღო იურისტის კვალიფიკაცია.

სამუშაო გამოცდილება:

2005-2006 – დიდუბე-ჩუღურეთის პირველი განყოფილების გამომძიებელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

2006-2007 – კადრების სამმართველოს პროფესიული მომზადების ცენტრის პირველი ქვეგანყოფილების უფროსი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;

2007-2009 – გენერალური ინსპექციის უფროსი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2009 – მინისტრის მრჩეველი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2009-2014 – დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2015 – კონტროლის სამსახურის უფროსი, ქ. თბილისის მერია;

2015-2019 – კონსული, საქართველოს საელჩო ლიეტუვის რესპუბლიკაში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

შოთა ღვინერია
SHOTA GVINERIA

2010-2014 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში

2010-2014 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF THE NETHERLANDS

დაიბადა: 1 სექტემბერი, 1980 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

2014-2015 – აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის უსაფრთხოების სტრატეგიულ სწავლებათა მაგისტრი;

2004-2005 – მადრიდის დიპლომატიური აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი;

2000-2001 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საჯარო მოხელის მაგისტრი;

1996-2000 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საჯარო მოხელის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

სამუშაო გამოცდილება:

2019-დან – ბალტიის თავდაცვის კოლეჯი, ლექტორი;

2017-დან – ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, უფროსი მკვლევარი;

2017-2018 – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, მდივნის მოადგილე;

2016-2017 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებთა ელჩი;

2015-2016 – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში;

2014 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი;

2009-2010 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი;

2008-2009 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატო-ს სამმართველოს უფროსი;

2006-2008 – საქართველოს მისია ნატო-ში, მრჩეველი;

2001-2006 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო პოლიტიკური დეპარტამენტი; სხვადასხვა თანამდებობები.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ლანა ღოღობერიძე
LANA GOGOBERIDZE

1999-2005 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში
1999-2005 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE COUNCIL OF EUROPE

2006-2009 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში
2006-2009 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO UNESCO

დაიბადა: 13 ოქტომბერი, 1928 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი – სარეჟისორო ფაკულტეტი; არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი – დისერტაცია: „უიტმენის ლექსის სოციალური ბუნება“, 1955.

სამუშაო გამოცდილება:

1993-1999 – ორი მოწვევის, საქართველოს პარლამენტის წევრი.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

ევროპის საბჭოში საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელი.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებაში.

1989 – არჩეულ იქნა ქალ კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტად, შტაბბინა – ლონდონი.

საქართველოში კინოფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხელმძღვანელობდა სარეჟისორო ფაკულტეტის ორ სახელოსნოს. მის სტუდენტთა შორის იყვნენ გოდერძი ჩოხელი, ზაზა ურუშაძე.

გამოცემული აქვს არა ერთი თარგმანი – ო. უიტმენი, რ. თაგორი, ასევე უცხოური პოეზია ქართულად, რომელშიც შედის ფრანგული, ინგლისური და რუსული ნაწარმოებები.

„ფილმების ერთობლიობასა და ფრანგი პოეტების თარგმნის გამო“ ქალბატონი ლანა დაჯილდოვებულია არაერთი საერთაშორისო პრიზით, მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

არის არაერთი სრულმეტრაჟიანი ფილმის რეჟისორი.

არის ევროპის კულტურის ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, შტაბბინა – ვენეცია.

ხელოვან ქალთა საერთაშორისო ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი.

საქართველოს კინო აკადემიის ბორდის წევრი.

2016 – შტუტგარტში ჩატარდა მისი ფილმების ჩვენება, სადაც აფიშაზე „ლეგენდარული ლანა ღოღობერიძე“ უწოდეს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: მიღებული აქვს საფრანგეთის ღირსების ორდენი.

გიორგი ყარალაშვილი

GIORGI KARALASHVILI

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში

2014-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO TURKMENISTAN – ACCREDITED TO THE ISLAMIC REPUBLIC OF AFGHANISTAN

დაიბადა: 30 ივნისი, 1959 წელი, ქ. რუსთავი, საქართველო.

განათლება:

1981 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკის ფაკულტეტი;

1996 – ვენის დიპლომატიური აკადემია;

2009 – ჯორჯ მარშალის ცენტრი – უსაფრთხოების კვლევების ევროპული ცენტრი, სამთვიანი კურსები.

სამუშაო გამოცდილება:

1982-1991 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

1991-1998 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო: პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების განყოფილების უფროსის მოადგილე, მე-2 ევროპული დეპარტამენტის მეორე მდივანი, პირველი მდივანი, დსთ-ს დეპარტამენტის ორმხრივ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსის მოადგილე, უფროსი;

1998-2002 – აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი;

2002-2004 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-2 ევროპული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, რუსეთის დეპარტამენტის დირექტორი;

2004-2007 – რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი;

2007-2014 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გლობალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის რუსეთის სამმართველოს უფროსი, რუსეთის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი;

2018-დან – საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

არჩილ ყარაულაშვილი

ARCHIL KARAULASHVILI

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესტონეთის რესპუბლიკაში

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ESTONIA

დაიბადა: 8 ივნისი, 1973 წელი, ქ. თელავი, საქართველო.

განათლება:

1995 – დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1995-1996 – საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტი, უფროსი სპეციალისტი;

1996-1997 – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, ბიზნესის დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი;

1997-2000 – საქართველოს საინვესტიციო სააგენტო, კონსულტანტი;

1997-2000 – უცხოური ინვესტიციების, კრედიტებისა და უწყებათაშორისი პროექტების დეპარტამენტი საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

2000-2004 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, უცხოური ინვესტიციების დეპარტამენტის დირექტორი;

2004 – ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, აპარატის უფროსი;

2004-2015 – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი.

2015-2017 – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მინისტრის პირველი მოადგილე;

2018-2019 – ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: საქართველოს „ღირსების ორდენი“.

მაია ყიფშიძე

MAIA KIPSHIDZE

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიის სამეფოში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF NORWAY

დაიბადა: 9 აპრილი, 1960 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1977-1982 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, სპეციალობით ინგლისური ენა და ლიტერატურა; მიიღო ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგის კვალიფიკაცია.

1994-1995 – ბრიტანეთის მთავრობის სტიპენდიანტი – ვორვიკის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული პროგრამების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე ბრიტანეთმცოდნეობაში; მიიღო მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

1982-1989 – ქ. თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებლის ინგლისური ენის პედაგოგი;

1989-2006 – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ.უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ინგლისური ენის პედაგოგი;

1996-2006 – საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი;

2000-2004 – საელჩოს საკონტაქტო ფუნქციის შესრულებისას საქართველო-ნატო ურთიერთობების ხელმძღვანელი;

2006-2011 – საქართველოში ბრიტანეთის საბჭოში (British Council) დირექტორის მოადგილე საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური პროგრამების/პროექტების სფეროში;

2012 – ბრიტანეთის საელჩოში კულტურის ატაშე;

2012-2017 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლადდაარსებული ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

ირაკლი ყურაშვილი

IRAKLI KURASHVILI

2012-2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროში (ქ. ბერნი)

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SWISS CONFEDERATION – ACCREDITED TO THE PRINCIPALITY OF LIECHTENSTAIN (BERN)

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არგენტინის რესპუბლიკაში – აპრედიტებული ურუგვაის აღმოსავლეთის რესპუბლიკაში, პარაგვაის რესპუბლიკაში, ჩილეს რესპუბლიკაში, ეკვადორის რესპუბლიკასა და ბოლივიის მრავალეროვან სახელმწიფოში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARGENTINA – ACCREDITED TO THE ORIENTAL REPUBLIC OF URUGUAY, THE REPUBLIC OF PARAGUAY, THE REPUBLIC OF CHILE, THE REPUBLIC OF ECUADOR AND PLURINATIONAL STATE OF BOLIVIA

დაიბადა: 16 იანვარი, 1972 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1994 – წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სრული კურსი და 1995-1996 წლებში გაიარა მადრიდის (ესპანეთი) დიპლომატიური აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობათა კურსი.

სამუშაო გამოცდილება:

2009-2012 – ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, ესპანეთში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული 2009 წლის აგვისტოდან 2010 წლის იანვრამდე, 2012 წლის მარტიდან 2012 წლის ივლისამდე (ქ. მადრიდი); **2009** – საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი; **2006, იანვარი-სექტემბერი** – საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ესპანეთის სამეფოში; **2006-2007** – კონსული იმავე საელჩოში; **2004-2005** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ორმხრივ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი; **2001-2004** – ბენილუქსის ქვეყნებში საქართველო საელჩოს მრჩეველი, კონსული (ქ. ბრიუსელი); **1997-2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის, ევროპისა და ამერიკის დეპარტამენტის პირველი მდივანი; **1995-1997** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის მესამე მდივანი.

ფლობს: ესპანურ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს – სრულყოფილად, იტალიურ, ნიდერლანდურ და კატალონიურ ენებს – საშუალო დონეზე.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

თეიმურაზ შარაშენიძე

TEIMURAZ SHARASHENIDZE

2004-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის რესპუბლიკაში

2004-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BULGARIA

2011-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

2011-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში

FROM 2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO UKRAINE

დაიბადა: 2 იანვარი, 1952 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1975 – დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი; **1984** – დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

სამუშაო გამოცდილება:

1987-1991 – საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრო, სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი;

1991-1992 – საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, სოციალური საკითხების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, სახელმწიფო მრჩეველი;

1992-1996 – საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, სოციალური საკითხების დეპარტამენტის დირექტორი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

1996-1998 – საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელი, საქართველოს საელჩო თურქეთის რესპუბლიკაში;

1998-2004 – საქართველოს გენერალური კონსული ქ. სტამბოლში;

2001-2004 – საქართველოს გენერალური კონსული ბულგარეთის რესპუბლიკაში და სტამბოლში;

2008-2009 – საგანგებო დავალებათა ელჩი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

2009-2011 – საქართველოს გენერალური კონსული ქ. სტამბოლში;

2018-2019 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, თურქულ და ბულგარულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გიორგი შარვაშიძე
GEORGE SHARVASHIDZE

2018-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში

2018-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF THE NETHERLANDS

დაიბადა: 7 ნოემბერი, 1980 წელი, ქ. ქუთაისი, საქართველო.

განათლება:

2002 – წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბაკალავრიატი;

2002-2004 – სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების განხრით;

2009 – სწავლა განაგრძო საფრანგეთსა (ICN Business School, ქ. ნანსი) და მოგვიანებით იტალიაში (Universita Cattolica del Sacro Cuore. ქ. მილანი) და 2010 წელს მიენიჭა საერთაშორისო მენეჯმენტის მაგისტრის ორმაგი ხარისხი;

2011 – დაამთავრა აღმოსავლეთ ჩინეთის (ქ. შანხაი) მეცნიერების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის (ECUST) მაგისტრატურა და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

2002 – მუშაობდა იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში საგარეო ურთიერთობათა ცენტრის კოორდინატორად;

2004-2005 – საზოგადოებრივი გაერთიანება „დემოკრატიის ცენტრში“ საგარეო ურთიერთობათა მენეჯერი;

2005-2006 – მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოში უფროს ინსპექტორად;

2006-2016 – მუშაობდა სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილში“ სხვადასხვა თანამდებობაზე;

2016-2017 – სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ოპერაციული დირექტორი;

2017-2018 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

თენგიზ შარმანაშვილი

TENGIZ SHARMANASHVILI

2011-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში

2011-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF ARMENIA

დაიბადა: 12 აგვისტო, 1964 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1986 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი; **1996** – დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

2016-დან – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი; **2017** – საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრი (მაისი, ნოემბერი); **2016** – სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი; **2015.08-2016.03** – სომხეთის რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის მდივანი; **2009-2010** – სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი; **2006-2009** – გაეროს განვითარების პროგრამა – დეცენტრალიზაციის ხელშეწყობის პროექტის ანალიტიკოსი; **2005-2006** – ცენტრალური საარჩევნო კომისია, სპეციალისტი; **2004-2005** – ქ. თბილისის საოლქო სასამართლო, მოსამართლე; **2000-2004** – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი; **1999-2000** – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსი; **1995-1999** – საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; **1993-1995** – ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; **1994-1995** – ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების (სოჭი, ოთხმხრივი, გაეროსა და რუსეთის მონაწილეობით) ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე, ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი; **1993** – საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიასთან (კონფლიქტის პერიოდში, ოფისი სოხუმში); **1992-1993** – საქართველოს მთავრობის კანცელარია, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნული უმცირესობის განყოფილების გამგე; **1986-1992** – ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

სპეციალური წოდება: იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის უმაღლესი სპეციალური წოდება.

ზურაბ შურღაია

ZURAB SHURGAIA

2004-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში

2004-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF KAZAKHSTAN – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF KYRGYZSTAN

დაიბადა: 29 აგვისტო, 1950 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1968-1973 – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი; **1976-1980** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზია-აფრიკის ინსტიტუტის არაბული ქვეყნების ეკონომიკის ფაკულტეტი; **1978-1980** – იორდანია, ამანის უნივერსიტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1973-1976 – საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტ „სოიუზდორპროექტის“ უფროსი ინჟინერი; **1980-1981** – იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში საბჭოთა კავშირის საელჩოს ეკონომიკური აპარატის მრჩეველი; **1981-1984** – სირიის არაბთა რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის საელჩოს ეკონომიკური აპარატის მრჩეველი; **1984-1985** – თბილისის გაერთიანება „ეკრანის“ მშენებარე ობიექტების დირექციის დირექტორის მოადგილე; **1986-1989** – საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მე-3 სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე; **1990-1997** – სახელმწიფო კონცერნ „ვარძიის“ ვიცე-პრეზიდენტი ლიბიასა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში საინვესტიციო პროექტების განხორციელების საკითხებში; **1997-1998** – კომპანია „ექსიმეტალის“ გენერალური დირექტორი; **1998-1999** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზია-აფრიკისა და წყნარი ოკეანიის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის განყოფილების უფროსი; **1999-2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ევრაზიული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემების სამმართველოს უფროსი; **2000-2004** – საქართველოს „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ვიცე-პრეზიდენტი; **2009-2010** – ყაზახური აქტივის „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე-ბათუმის საზღვაო პორტის დირექტორი; **2010-2012** – ყაზახეთის საპატიო კონსული დასავლეთ საქართველოსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში; **2011-2012** – კომპანია „რომპეტროლ საქართველოს“ გენერალური დირექტორის მრჩეველი; **2012-2018** – ბათუმის საზღვაო პორტისა და ნავთობტემინალის ყაზახური აქტივების მმართველი.

ფლობს: არაბულ,ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.



გელა ჩარკვიანი
GELA CHARKVIANI

2006-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირლანდიაში

2006-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND. AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO IRELAND

2009-2011 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში

2009-2011 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE INTERNATIONAL MARITIME ORGANIZATION

დაიბადა: 1 მარტი, 1939 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1957-1960 – სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე (არქიტექტურის განყოფილება); **1963** – დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი; **1970** – იყო მიჩიგანის უნივერსიტეტის სტაჟიორი.

სამუშაო გამოცდილება:

1976-1994 – საქართველოს ტელევიზიაში უძღვებოდა გადაცემას „გლობუსი“;

1984-1992 – საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი;

1992-2003 – საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მთავარი მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში, თანაშემწე; სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი;

2005-2006 – საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პრესსპიკერი;

2009-2011 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში;

2017-2020 – გაეროს კეთილი ნების ელჩი მდგრადი განვითარების საკითხებში;

25 წლის განმავლობაში გელა ჩარკვიანი ასწავლიდა ინგლისურ ენას, შემდეგ კი სოციოლოგიას ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მინიჭებული აქვს საქართველოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

იგი არის 10-მდე წიგნის ავტორი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი (1999).

ჯილდოები: ღირსების ორდენი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

მალხაზ ჩაჩავა
MALKHAZ CHACHAVA

1998-2000 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინასა და მოლდოვაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი სუამში

1998-2000 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO UKRAINE AND THE REPUBLIC OF MOLDOVA, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO GUAM

დაიბადა: 12 ნოემბერი, 1953 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1975 – დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინრო ტექნოლოგიის ფაკულტეტი;

ოდესის ლომონოსოვის სახელობის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასპირანტურა.

სამუშაო გამოცდილება:

იუნესკოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

1975-1978 – კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი;

1979-1993 – კომკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე; შემდეგ თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი, პრემიერი – ვიცე-მერი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

2001-2002 – საქ. ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის გენერალური დირექტორი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

იოსებ ჩახვაშვილი
IOSEB CHAKHVASHVILI

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქმენეთში – აკრედიტებული ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO TURKMENISTAN – ACCREDITED TO THE ISLAMIC REPUBLIC OF AFGHANISTAN

2014-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში – აკრედიტებული პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკაში

FROM 2014 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ISLAMIC REPUBLIC OF IRAN – ACCREDITED TO THE ISLAMIC REPUBLIC OF PAKISTAN

დაიბადა: 26 თებერვალი, 1951 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1967-1972 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტი; **1975-1979** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის ფაკულტეტის ასპირანტი.

სამუშაო გამოცდილება:

1973-1976 – საბჭოთა სპეციალისტების წარმომადგენელი ისპაჰანის (ფოლადშაჰრი, ირანი) მეტალურგიულ ქარხანაში;

1979-1986 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ქვეყნების სტუდენტთა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

1998-1999 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

1999-2000 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი;

2000-2004 – საქართველოს პრეზიდენტის კანცელარია, საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამსახურის უფროსი;

2004-2008 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალური გეოგრაფიის განყოფილების ასისტენტ-პროფესორი;

2008-2009 – რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პოლიტიკური ანალიზის სამსახურის უფროსი.

ფლობს: სპარსულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ვალერი ჩეჩელაშვილი
VALERI CHECHELASHVILI

1994-1998 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში
1994-1998 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO UKRAINE

2004-2005 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში
2004-2005 –AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE RUSSIAN FEDERATION

დაიბადა: 17 მარტი, 1961 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1978-1983 – ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი; მიიღო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრის კვალიფიკაცია; **1983-1987** – ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის ასპირანტურა; დაიცვა დისერტაცია თემაზე „სსრკ-ს საგარეო ეკონომიკურ კავშირებში საქართველოს მონაწილეობის პრობლემები“; **03/1987** – მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

04/1987-10/1987 – საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების მთავარი სპეციალისტი; **1987-1989** – გაერთიანება „საქკურორტის“ საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსის მოადგილე; **1989-1994** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი; **1998-2000** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **2000-2004** – შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი; **03/2005-06/2005** – საქართველოს ფინანსთა მინისტრი; **2005-2007** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **2007-2015** – დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (GUAM) გენერალური მდივანი; **2016-დან** – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; **2018-დან** – ELN (European Leadership Network)-ის წევრი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და უკრაინულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: მეორე ხარისხის ორდენი დამსახურებისთვის (უკრაინა); პირველი ხარისხის ორდენი დამსახურებისთვის (უკრაინა); საგარეო საქმეთა სამინისტროს ღირსების მედალი (უკრაინა); შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალი დამსახურებისთვის (უკრაინა); მეცნიერებათა აკადემიის ღირსების მედალი (უკრაინა); საზღვრის დაცვის სამსახურის საპატიო ნიშანი (უკრაინა).

ალექსანდრე ჩიკვაიძე

ALEKSANDRE CHIKVAIDZE

1932-2012

1995-2002 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში
1995-2002 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HELLENIC REPUBLIC

2003-2005 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში და წმიდა საყდართან (ვატიკანი)
2003-2005 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SWISS CONFEDERATION AND TO THE HOLY SEE (VATICAN)

2003-2005 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან
2003-2005 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UN OFFICE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN GENEVA

დაიბადა: 19 იანვარი, 1932 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: **1955** – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი; **1964** – თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი – ინგლისური ენა; **1968** – ბომბეი, „ალიანს ფრანსეზი“ – ფრანგული ენა; **1966** – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვის სახელმწიფო სოციალურ მეცნიერებათა აკადემია; **1976** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **1979** – სსრკ-ს დიპლომატიური აკადემიის უმაღლესი საერთაშორისო კურსი.

სამუშაო გამოცდილება: **1955-1967** – მუშაობა სხვადასხვა კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებში; **1967-1969** – ბომბეიში სსრკ-ს გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული; **1969-1972** – დიდ ბრიტანეთში სსრკ-ს საელჩოს პირველი მდივანი, მრჩეველი; **1973-1977** – თბილისის ორჯონიკიძის კომპარტიის რაიკომის პირველი მდივანი; **1977-1978** – საქართველოს გამომცემლობის და პოლიგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; **1979-1983** – სსრკ-ს გენერალური კონსული სან-ფრანცისკოში, აშშ; **1983-1985** – სსრკ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კენიაში; **1985-1988** – სკკპ-ს ცკ-ს დიპლომატიური კადრების განყოფილების გამგის მოადგილე; **1988-1991** – სსრკ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდებში; ხოლო, **1992** წლის იანვარ-თებერვალში აგრძელებდა მუშაობას რუსეთის ფედერაციის ელჩად ნიდერლანდებში.

03/1992-1995 – ალექსანდრე ჩიკვაიძე სათავეში ედგა საგარეო საქმეთა სამინისტროს და ხელმძღვანელობდა ქვეყნისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების და ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების უმნიშვნელოვანეს პროცესებს. ა. ჩიკვაიძე ცხოვრების უდიდეს ბედნიერებად თვლიდა, რომ მას წილად ხვდა საქართველოს გაწევრიანება გაეროში **1992** წლის 31 ივლისს და იმავე წელს, გაწევრიანება ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში (NACC), იუნესკოსა და ეუთოში. **1994** წელს ა. ჩიკვაიძემ ხელი მოაწერა ქვეყნის გაწევრიანებაზე ნატოს პროგრამაში პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP). ა. ჩიკვაიძის ძალისხმევის შედეგად, გაეროს უშიშროების საბჭომ თავის დღის წესრიგში დაამკვიდრა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების საკითხი, ეუთომ კი – ტერმინი „ეთნიკური წმენდა“. ა. ჩიკვაიძის თაოსნობით სამინისტროში ჩამოყალიბდა ნიჭიერი ახალდაზრდა დიპლომატთა გუნდი, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის პროფესიონალურ საგარეო სამსახურს. **1996** წელს, ა. ჩიკვაიძემ გახსნა და ჩამოაყალიბა საქართველოს პირვლი საელჩო საბერძნეთში.

ჭადრაკის დიდი მოყვარული და პროფესიონალურ დონეზე მოთამაშე, ა. ჩიკვაიძე **1973-1978** და **1992-1995** – იყო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, ხოლო **1986-1988** – სსრკ-ს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი.

ფლობდა: ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ჰოლანდიურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გოჩა ჩოგოვაძე
GOCHA CHOGOVADZE

1994-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ესპანეთის სამეფოში, საქართველოს მუდმივი წარმოამდგენელი იუნესკოში

1994-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FRENCH REPUBLIC – ACCREDITED TO THE KINGDOM OF SPAIN, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO UNESCO

დაიბადა: 11 იანვარი, 1941 წელი, ქ. ქუთაისი, საქართველო.

განათლება:

1958-1963 – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

1968-1969 – სამეცნიერო სტაჟირება დარმშტატის უმაღლეს ტექნიკურ სკოლაში (გერმანია);

1975 – პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება:

1968-1980 – მართვის ავტომატიზებული სისტემების დეპარტამენტის ხელმძღვანელი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და სსრკ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დირექტორი;

1980-1986 – იუნესკოს განყოფილების „ინფორმატიკა განათლებაში“ ხელმძღვანელი;

1986-1988 – საქართველოს უმაღლესი საბჭოს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს უმაღლესი საბჭოს წევრი;

1989-1994 – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი;

1993-დან – აკადემიკოსი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;

1999-2003 – იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

2001-2003 – იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი;

2004-დან – იუნესკოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს.

ჯილდოები: საფრანგეთის ორდენი „აკადემიური პალმის კომანდორი“, საქართველოს ღირსების ორდენი, სსრკ საპატიო ნიშნის ორდენი, დაჯილდოებულია აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების და ასოციაციების მედლებით.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ირაკლი ჩუბინიშვილი
IRAKLI CHUBINISHVILI

2005-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში
2005-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE RUSSIAN FEDERATION

დაიბადა: 12 იანვარი, 1970 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1992 – ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1993-1999 – საქმიანობდა კერძო ბიზნესში;

1999-2004 – მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პარტიული სიით, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი;

2004-2005 – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

გიორგი ჩხეიძე
GEORGE CHKHEIDZE

2010-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელარუსის რესპუბლიკაში
2010-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF BELARUS

დაიბადა: 13 დეკემბერი, 1963 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1982-1986 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1986-1994 – საქართველოს ბეჭდვითი მედიის კორესპონდენტის, რედაქტორის მოადგილე (შემდგომში რედაქტორის თანამდებობა);

07/10/1994-01/11/1995 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის მეორე მდივანი, პირველი მდივანი;

01/11/1995-01/06/1999 – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) დეპარტამანეტის ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს მეორე მდივანი, ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსის მოადგილე, ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

01/06/1999-12/11/1999 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რუსეთის დეპარტამენტის დირექტორი;

12/11/1999-15/01/2004 – საქართველოს საელჩო რუსეთის ფედერაციაში – მრჩეველი, უფროსი მრჩეველი;

15/01/2004-05/04/2005 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რუსეთის დეპარტამენტის დირექტორი;

05/04/2005-01/01/2007 – საქართველოს საელჩო უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;

01/01/2007-01/03/2009 – საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში;

01/03/2009-01/01/2010 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი;

01/09/2012-01/01/2016 – რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ხელმძღვანელი;

20/09/2016-30/08/2019 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

01/09/2019-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ყაზახეთის რესპუბლიკაში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

პეტრე ჩხეიძე

PETER CHKHEIDZE

1993-1994 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში

1993-1994 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED STATES OF AMERICA AND PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UNITED NATIONS

1994-2002 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში

1994-2002 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UNITED NATIONS

2002-2004 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქმენეთში და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში

2002-2004 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF TURKMENISTAN – ACCREDITED TO THE ISLAMIC REPUBLIC OF AFGHANISTAN

დაიბადა: 22 ოქტომბერი, 1941 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1963 – დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი – კვალიფიკაცია იურისტი; **1969-1972** – სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი – ასპირანტურა; **1975** – იმავე ინსტიტუტში დაიცვა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი; **1975-1978** – საკავშირო საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიის აკადემია, კვალიფიკაცია – დიპლომატი.

სამუშაო გამოცდილება: 1963-1968 – ქ. თბილისის პროკურატურის სტაჟიორი, გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი; **1968-1971** – საქართველოს რესპუბლიკის პროკურორთან არსებული განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი; **1971-1975** – საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო საფინანსო ორგანოების ინსტრუქტორი, განყოფილების უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი; **1973-1978** – ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი; **1975-1978** – სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის მსმენელი; **1978** – საკავშირო საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილება, პირველი მდივანი; **1978-1984** – პირველი მდივანი, მრჩეველი, რეფერენტურის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; **1984-1986** – საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე; **1984-1991** – საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან მეგობრობის და მშვიდობის კომიტეტების წევრი, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიისა და საქართველოს იურიდიული აკადემიის წევრი; **1985-1990** – საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი; **1986-1988** – თბილისის კპ საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი; **1988-1989** – საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე; **1989-1991** – საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის თავმჯდომარე; **1991-1992** – საქართველოს მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი და მუდმივი წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან; **1992-1993** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი რუსეთის ფედერაციაში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ლევან ცინცაძე
LEVAN TSINTSADZE

2013-2019 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში და მარშალის კუნძულების რესპუბლიკაში

2013-2019 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO JAPAN – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF MARSHALL ISLANDS

დაიბადა: 20 ივლისი, 1969 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1986-1989 – სწავლობდა მოსკოვის ფიზიკისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტში; **1990** – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პლაზმის ფიზიკის სპეციალობით; **1989-1994** – მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად და მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო **1994-2013** – წლებში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად; **1991** – მოწვეული ფიზიკოსი JET Joint Undertaking, ქ. აბინგდონში, დიდი ბრიტანეთი; **1992** – აქვს მინიჭებული ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო **2004 წელს** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი; **1993-1994** – მუშაობდა პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტში ქ. იულიჰში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; **1994-1995** – ანტვერპენის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, ანტვერპენი, ბელგიის სამეფო; **1995-2012** – მოწვეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მეცნიერ თანამშრომელი ჰიროშიმას, ოსაკას, კიოტოს და ცუკუბას უნივერსიტეტებში და ატომური ენერგიის კვლევის ინსტიტუტში, იაპონია.

სამუშაო გამოცდილება:

2004-2005 – მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის თავმჯდომარედ;

06/2005-12/2005 – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი;

2004-2005 – საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა კომიტეტის თავმჯდომარე იუნესკოში; ნატოს სამეცნიერო კომიტეტის ასოცირებული წევრი; საქართველოს წარმომადგენელი საერთაშორისო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის მმართველთა საბჭოში და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის მმართველთა საბჭოში; ამერიკის სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდის წარმომადგენელი საქართველოს მთავრობაში;

6/06/2013-5/12/2013 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი.

არის 97 სამეცნიერო შრომის ავტორი და ამერიკის სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდის ჯილდოს მფლობელი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. (2014)

შალვა ცისკარაშვილი
SHALVA TSISKARASHVILI

2012-2018 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ჟენევაში გაერო-ს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2012-2018 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UN OFFICE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN GENEVA

დაიბადა: 13 ნოემბერი, 1973 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-1996 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით; მიიღო იურისტის კვალიფიკაცია;

2000-2001 – გაიარა საერთაშორისო სამართლის კურსი მილანის უნივერსიტეტში.

სამუშაო გამოცდილება:

1997 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტის სტაჟიორი;

1998-1999 – სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტის მეორე მდივანი (დროებით);

1999-2000 – სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტის მესამე მდივანი;

2000-2004 – სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტის მეორე მდივანი;

2004-2006 – გაერო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პირველი მდივანი;

2006-2009 – გაერო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი;

2009 – სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2009-2012 – გაერო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე;

2017 – გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი;

2018 – საგანგებო დავალებათა ელჩი;

2018-დან – სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

მამუკა ციხელაშვილი
MAMUKA TSIKHELASHVILI

2012 -2017 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიის სამეფოში

2012-2017 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF NORWAY

დაიბადა: 27 მაისი, 1971 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1988-1993 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტი; მიიღო ეკონომისტის კვალიფიკაცია;

1996 – დიპლომატიური სწავლების ცენტრი, ირანის ისლამური რესპუბლიკა, სასწავლო კურსი;

1998 – პეკინის დიპლომატიური აკადემია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სასწავლო კურსი.

სამუშაო გამოცდილება:

1997-1998 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ატაშე;

1999-2000 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ეკონომიკური ანალიზისა და ინფორმაციის სამმართველოს პირველი მდივანი;

2000-2003 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის რეგიონალური თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი;

2003-2007 – სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული;

2007-2009 – საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურეთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2009-2012 – საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურეთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი;

2018-დან – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლ. მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ღირსების ორდენი.

ქეთევან ციხელაშვილი

KETEVAN TSIKHELASHVILI

2020-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში

FROM 2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AUSTRIA, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE OSCE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN VIENNA

დაიბადა: 21 აგვისტო, 1978 წელი, ქ. ქუთაისი, საქართველო.

განათლება:

1999 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; **2000** – ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში (უნგრეთი) მოიპოვა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების მაგისტრის ხარისხი; **2006-დან** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

სამუშაო გამოცდილება:

1996-1998 – გაეროს ახალგაზრდული ორგანიზაციის საქართველოს განყოფილების (UNOY) პროექტების ასისტენტი; **1998** – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორის თანაშემწე; **1998-1999** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრი, მთავარი სპეციალისტი; **2001** – მიწვეული მკვლევარი უმცირესობების საკითხთა ევროპულ ცენტრში (ECMI), ფლენსბურგი, გერმანია; **2001-2002** – ჰამბურგის უნივერსიტეტის (გერმანია) ეუთოს კვლევის ცენტრის (CORE), მიწვეული მკვლევარი; **2002** – ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკისა და თავდაცვის სამმართველოს მკვლევარი-თანაშემწე, ბრიუსელი, ბელგია; **2002-2011** – ფრიდრიხ ნოემანის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში; **2002-2004** – კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN), პროგრამის მენეჯერი და უფროსი ანალიტიკოსი; **2004-2006** – კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; **2007-2009** – ევროპის სტაბილურობის ინიციატივის (ESI) ანალიტიკოსი საქართველოში; **2011-2012** – ლიბერალური აკადემია, თბილისი-ევროპული ინიციატივა, დირექტორი; **2012** – აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე; **2012-დან** – საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში; **08/2016-დან** – მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში; **2017-2020** – სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს, გერმანულ ენას – საშუალო დონეზე.

არჩილ ძულიაშვილი
ARCHIL DZULIASHVILI

2011-2016 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში. ამავდროულად არარეზიდენტი ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში, ტუნისის რესპუბლიკასა და ლიბიის სახელმწიფოში, აფრიკის კავშირში (2012-2013) და არაბული ქვეყნების ლიგაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი

2011-2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ARAB REPUBLIC OF EGYPT, CONCURRENTLY ACCREDITED TO THE SYRIAN ARAB REPUBLIC, THE REPUBLIC OF TUNISIA AND THE STATE OF LIBYA, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE AFRICAN UNION AND THE LEAGUE OF ARAB STATES

2016-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში. ამავდროულად არარეზიდენტი ელჩი ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკაში, ნეპალის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შრი ლანკის დემოკრატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში, ტაილანდის სამეფოსა და მალდივის რესპუბლიკაში, გაერო-ს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკურ და სოციალურ კომისიაში (UNESCAP) საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი

FROM 2016 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF INDIA, CONCURRENTLY ACCREDITED TO THE PEOPLE'S REPUBLIC OF BANGLADESH, FEDERAL DEMOCRATIC REPUBLIC OF NEPAL, DEMOCRATIC SOCIALIST REPUBLIC OF SRI LANKA, KINGDOM OF THAILAND AND THE REPUBLIC OF MALDIVES, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UNITED NATIONS ECONOMIC AND SOCIAL COMMISSION FOR ASIA AND THE PACIFIC (UNESCAP)

დაიბადა: 28 აგვისტო, 1970 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: **1989-1995** – სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე; **1992-1994** – სწავლობდა სირიის ქალაქ დამასკოს არაბული ენის ინსტიტუტში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის პერიოდში მონაწილეობა აქვს მიღებული ეგვიპტის, ავსტრიის, იაპონიის, სამხრეთ კორეისა და ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიების მიერ ორგანიზებულ პროფესიული სწავლების პროგრამებში.

სამუშაო გამოცდილება: **1995-დან** – დაიწყო მუშაობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და წყნარი ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სამმართველოს ატაშეს თანამდებობაზე; **1998-1999** – ამავე დეპარტამენტის პირველი მდივანი; **1999-2000** – ამავე დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და შემდგომში სამმართველოს უფროსი; **2000-2003** – ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; **2003-2006** – ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული; **2006** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, შემდგომში გლობალური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი; **2006** – საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ქუვეითის სახელმწიფოში; **2007-2010** – ამავე საელჩოს უფროსი მრჩეველი; **2016** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი; **2020-დან** – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკურ და სოციალურ კომისიაში.

ფლობს: ინგლისურ, არაბულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გიორგი ჭანტურია
GIORGI CHANTURIA
1957 - 2018

1994-1996 – საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

1994-1996 – FIRST AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

დაიბადა: 24 მარტი, 1957 წელი, საქართველო.

განათლება:

1982 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1989-მდე – მუშაობდა სახელისუფლებო სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში;

1992-1993 – ასრულებდა საგანგებო დიპლომატიურ მისიას აზერბაიჯანში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვეიცარიასა და ისრაელში;

1993 – იყო საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში;

1996-დან – საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (სნსკ) პრეზიდენტი.

ჯილდოები: 1999 – ღირსების ორდენი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ლადო ჭანტურია
LADO CHANTURIA

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

2014- 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY

დაიბადა: 14 აპრილი, 1963 წელი, წალენჯიხის რაიონი, ქალაქი ჯვარი, საქართველო.

განათლება: **1980-1985** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლისმცოდნეობის სპეციალობით; მიიღო იურისტის კვალიფიკაცია; **1986-1989** – დაამთავრა ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია კანონმდებლობისა და შედარებითი სამართლისმცოდნეობის მოსკოვის ინსტიტუტში; **1991-1993** – იყო გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიანტი გეტინგენის უნივერსიტეტში (გერმანია) და მოამზადა სადოქტორო დისერტაცია; **1994** – დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებით-სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე“; **1996** – იყო მაქს-პლანკის საზოგადოების სამეცნიერო სტიპენდიანტი მაქს-პლანკის სახელობის კერძო სამართლის ინსტიტუტში ჰამბურგში; **2004-2006** – იყო ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის სამეცნიერო სტიპენდიანტი მაქს-პლანკის სახელობის კერძო სამართლის ინსტიტუტში ჰამბურგში და ბრემენის უნივერსიტეტში (გერმანია); **2013** – კილის უნივერსიტეტის (გერმანია) საპატიო დოქტორი.

სამუშაო გამოცდილება: **1985-1995** – იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი და დოცენტი; **1995-დან** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **1993-1996** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი; **1997-2004** – საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი; **1998-1999** – საქართველოს იუსტიციის მინისტრი; **1999-2004** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; **2001-2018** – თ. წერეთლის სახელობის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; **2006-2009** – პროექტის დირექტორი ბრემენის უნივერსიტეტში (გერმანია) „კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა სამოქალაქო და ბიზნეს სამართალი“; **2009-2011** – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) უფროსი მრჩეველი ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში სამართლის რეფორმის რეგიონულ პროექტში; **2011-2014** – კილის ქრისტიან-ალბრეხტის სახელობის უნივერსიტეტის გასტპროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინსტიტუტი (გერმანია); **2018-დან** – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე, სტრასბურგი.

სამეცნიერო პუბლიკაციები: არის ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ბულგარულ, აზერბაიჯანულ და თურქმენულ ენებზე.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: **1996** – ჯორჯ შულცის პრემია ახალგაზრდა მეცნიერთათვის; **2004** – ამერიკის იურისტთა ასოციაციის პრიზი და 2003 წლის რეფორმატორის წოდება; **2006** – გერმანიის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო „Das Grosse Bundesverdienstkreuz der Bundesrepublik Deutschland“; **2009** – ყაზახეთის ჟურნალ „იურისტის“ პრიზი „საუკეთესო ავტორს“.

ზურაბ ჭიაბერაშვილი
ZURAB CHIABERASHVILI

2005-2010 – საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში
2005-2010 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE COUNCIL OF EUROPE

2011-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ჟენევაში გაერო-ს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში

2011-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SWISS CONFEDERATION – ACCREDITED TO THE PRINCIPALITY OF LIECHSTENSTEIN, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE UN OFFICE AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN GENEVA

დაიბადა: 6 ივნისი, 1972 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1989-1994 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტი; მიიღო ფილოსოფოსის კვალიფიკაცია; **1994-1997** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა; მიიღო ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი (1999); **2007-2009** – Kellogg School of Management, Northwestern University (Evanston, USA) და WHU – Otto Beisheim School of Management (Vallendar, Germany) ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა; მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება:

1993-1997 – გაზეთ „რეზონანსის“ რეპორტიორი, ახალი ამბების რედაქტორი, საერთაშორისო ამბების რედაქტორი; **1997-2001** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი; **1998-2002** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი; **1999-2002** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; **2002-2003** – აღმასრულებელი დირექტორი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება; **2003-2004** – თავმჯდომარე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია; **2004-2005** – ქალაქ თბილისის მერი; **2012 წელს** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი; **2012-2013** – კახეთის გუბერნატორი; **2016-2020** – საქართველოს პარლამენტის წევრი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი.

ვლადიმერ ჭიპაშვილი
VLADIMER CHIPASHVILI

2007-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში

2007-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE CZECH REPUBLIC

დაიბადა: 29 სექტემბერი, 1964 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1987 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება:

1987-1988 – ქ. თბილისის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, ექიმი-ინტერნი;

1988 – რაისაავადმყოფოს ქირურგი, ხარაგაული;

1988-1990 – რაისაავადმყოფოს ქირურგი, ხაშური;

1990-1993 – ქირურგიის სამეცნიერო საკავშირო ცენტრი, ასისტენტი, ქ. მოსკოვი;

1993-1999 – ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, ქ. თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფო;

2004-2007 – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

არის 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი.

დისერტაციის თემა – „ცოცხალი დონორიდან ღვიძლის წილის ორთოტოპიული ტრანსპლანტაციის ანატომიური დასაბუთება“, დაიცვა 1992 წელს.

1999-2004 – საქართველოს მე-5 და მე-6 მოწვევის პარლამენტი, წევრი.

2004 – საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“, წევრი.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ზვიად (სანდრო) ჭუმბურიძე

ZVIAD (SANDRO) CHUMBURIDZE

2003-2007 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში

2003-2007 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE HELLENIC REPUBLIC

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ხორვატიის რესპუბლიკასა და მონტენეგროში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF HUNGARY – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF CROATIA AND MONTENEGRO

დაიბადა: 21 მაისი, 1963 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტი, ფილოლოგი; ნიდერლანდები – „კლინგენდაილ“-ის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება:

1986-1990 – რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“ განყოფილების გამგე;

1990-1992 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – UNESCO-ს საერთაშორისო კომისია, რეფერენტი;

1993-1997 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – კულტურის, პარტნიორულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობებათა დეპარტამენტი – სხვადასხვა დიპლომატიური თანამდებობები;

1997-2000 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – კულტურის, პარტნიორულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი;

2000-2002 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – საპარლამენტო მდივანი;

2007 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგანგებო დავალებათა ელჩი;

2007-2008 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გლობალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი;

2013-დან – ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს გენერალური მდივანი;

2019-დან – ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი.

2010 – ქ. ბუდაპეშტში ზვიად ჭუმბურიძის თაოსნობით გაიხსნა შოთა რუსთაველის სახელობის მოედანი და დაიდგა შოთა რუსთაველის ძეგლი.

გამოცენული წიგნები: 2017 – „ათონი – პატრიარქის გაზაფხული“;
2021 – „დამოუკიდებელი საქართველოს ელჩები 1991-2021“.

ფლობს: ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: უნგრეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო – ღირსების ორდენი „კომანდორის ჯვარი“.

ელგუჯა ხოკრიშვილი
ELGUJA KHOKRISHVILI

2017-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

2017-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY

დაიბადა: 24 მაისი, 1973 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

2005-2008 – პოტსდამის უნივერსიტეტის დოქტორანტურა საჯარო ფინანსების და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით; კვალიფიკაცია: ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი (Dr. rer. pol.); **2002-2005** – პოტსდამის უნივერსიტეტის ბიზნესის და ეკონომიკის მაგისტრატურა; კვალიფიკაცია: ბიზნესის და ეკონომიკის მაგისტრი; **1998-2002** – პოტსდამის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადიპლომო პროგრამა; კვალიფიკაცია: შუალედური დიპლომი.

სამუშაო გამოცდილება:

02/2020-დან – მდგრადი განვითარების და მმართველობის ინსტიტუტის ასოცირებული ექსპერტი; **2015-2017** – გერმანის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი ეკონომიკური მრჩეველი; **2014-2015** – საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი; **2014** – საქართველოს ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების მინისტრი; **2012-2014** – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი; **2010-2012** – კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელი და გამგეობის თავჯდომარის მოადგილე; **2009-2012** – მუშაობდა დაქირავებულ ექსპერტად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ რეგიონალური პროექტების ფარგლებში საჯარო ფინანსების, დეცენტრალიზაციის და რეგიონული ეკონომიკური განვითარების მიმართულებით; **2011** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფისკალური დეცენტრალიზაციის და რეგიონული ეკონომიკური განვითარების სამაგისტრო პროგრამის ასოცირებული პროფესორი; **2010-2011** – პოტსდამის უნივერსიტეტის საჯარო ფინანსების კათედრაზე მდგრადი საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის პროექტის ექსპერტი; **2009** – ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის მკვლევარი; **2005-2008** – პოტსდამის უნივერსიტეტის საჯარო ფინანსების კათედრის მკვლევარი.

გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და კვლევა საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის, ფისკალური დეცენტრალიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების და რეგიონული ეკონომიკური განვითარების შესახებ ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ფლობს: გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

ზურაბ ხონელიძე
ZURAB KHONELIDZE

1996-2009 – საქართველოს მუდმივი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი დსთ-ში
1996-2009 – PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO THE CIS

დაიბადა: 1 დეკემბერი, 1963 წელი, ქ. ფოთი, საქართველო.

განათლება:

დაამთავრა ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ასპირანტურა, ამავე უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია.

სამუშაო გამოცდილება:

სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროში, საქართველოს უზენაეს საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოში – დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საქართველოს პროფკავშირების პირველ არჩეულ თავმჯდომარედ. დსთ-ს აღმასრულებელ კომიტეტში – პოლიტიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორად, დსთ-ში საქართველოს მუდმივ და სრულუფლებიან წარმომადგენლად. არის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო დარგობრივი სამეცნიერო აკადემიების საპატიო წევრი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნი ავტორი.

ფლობს: რუსულ და ინგლისურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

დავით ჯალაღანია
DAVID JALAGANIA

2018-2020 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროში

2018-2020 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE SWISS CONFEDERATION AND THE PRINCIPALITY OF LIECHTENSTEIN

დაიბადა: 1 დეკემბერი, 1963 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1986 – წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) სამშენებლო ფაკულტეტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით და სწავლა განაგრძო სტუ-ის ასპირანტურაში;

1991 – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი;

1993 – დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და საქმიანი ურთიერთობების ფაკულტეტი და მიენიჭა მენეჯერის კვალიფიკაცია.

სამუშაო გამოცდილება:

1986-1993 – სტუ-ს ავტომატიზებული გეგმარების კათედრა, ინჟინერი; დოცენტი;

1994-1995 – საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი, სამმართველოს უფროსი;

1996-2000 – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო, სამმართველოს უფროსი (1996-1998); მინისტრის მოადგილე (1998-2000);

2000-2006 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, დეპარტამენტის დირექტორი (2000-2002); გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო, უფროსი მრჩეველი (2002-2004); საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი (2004-2006);

2006-2008 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, დეპარტამენტის დირექტორი;

2008-2009 – საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე;

2009-2017 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მინისტრის მოადგილე;

2020-დან – ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა, უფროსი მრჩეველი.

ფლობს: გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: საქართველოს ღირსების ორდენი.

თეიმურაზ ჯანჯალია
TEIMURAZ JANJALIA

2013-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში

2013-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF LATVIA

დაიბადა: 23 მაისი, 1974 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1991-1995 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; **1995-1997** – ერლანგერ-ნიურნბერგის უნივერსიტეტი, მარკეტინგის განხრით; **1999-2013** – გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსი საქართველოში და საზღვარგარეთ – ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, მარკეტინგის, საერთაშორისო ვაჭრობის, ევროკავშირში გაწევრიანების მიმართულებებით.

სამუშაო გამოცდილება:

1998-1999 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის სტაჟიორი;

2000-2002 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ატაშე;

2002-2004 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის პირველი მდივანი;

2004-2007 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის, რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი;

2007-2008 – საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ლატვიის რესპუბლიკაში;

2008-2011 – ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი;

2011-2012 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2012-2013 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი;

2018-დან – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ლატვიის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო – სამი ვარსკვლავის ორდენი.

გიორგი ჯანჯღავა
GEORGE JANJGAVA

2006-2009 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში – აკრედიტებული სირიის არაბთა რესპუბლიკაში

2006-2009 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ARAB REPUBLIC OF EGYPT – ACCREDITED TO THE SYRIAN ARAB REPUBLIC

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში – აკრედიტებული პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკაში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ISLAMIC REPUBLIC OF IRAN – ACCREDITED TO THE ISLAMIC REPUBLIC OF PAKISTAN

2014-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საუდის არაბეთის სამეფოში – აკრედიტებული ბაჰრეინის სამეფოში, ომანის სასულთნოში და იემენის რესპუბლიკაში

2014-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SAUDI ARABIA – ACCREDITED TO THE KINGDOM OF BAHRAIN, SULTANATE OF OMAN, REPUBLIC OF YEMEN

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში – აკრედიტებული ალბანეთის რესპუბლიკაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, სუდანის რესპუბლიკასა და მავრიტანიის ისლამურ რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE REPUBLIC OF TURKEY – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF ALBANIA, BOSNIA AND HERZEGOVINA, THE REPUBLIC OF SUDAN AND THE ISLAMIC REPUBLIC OF MAURITANIA

დაიბადა: 24 ივლისი, 1965 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება: 1988 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია გეოლოგიის ფაკულტეტი, ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით; **1986-1987** – სწავლობდა კაიროს უნივერსიტეტში; **1990** – სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ლონდონის უნივერსიტეტში.

სამუშაო გამოცდილება:

1989-1992 – იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი; **1992-1993** – საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა დარგში; **1993-1994** – საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის დიპლომატიური პროტოკოლის სამსახურის უფროსი; **1994-2004** – საქართველოს გენერალური კონსული თურქეთში, (ქ. ტრაპიზონი); **2004-2005** – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მეცნიერ-თანამშრომელი, ექსპერტი; **2013-2014** – წლები საქმეთა დროებითი რწმუნებული ირლანდიაში; **2018** – ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (OIC) საქართველოს წარმომადგენელი.

2 წიგნის და 30-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორი.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, თურქულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: წმ. მარკოზ მახარებლის ორდენის კავალერი.

ვახტანგ ჯაოშვილი

VAKHTANG JAOSHVILI

2008-2012 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში

2008-2012 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF ISRAEL

2012-2018 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში – აკრედიტებული ჯიბუტის რესპუბლიკაში, სეიშელის რესპუბლიკაში, სომალის ფედერაციულ რესპუბლიკასა და კენიის რესპუბლიკაში

2012-2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERAL DEMOCRATIC REPUBLIC OF ETHIOPIA – ACCREDITED TO THE REPUBLIC OF DJIBOUTI, THE REPUBLIC OF SEYCHELLES, THE FEDERAL REPUBLIC OF SOMALIA AND THE REPUBLIC OF KENYA

2018-დან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საუდის არაბეთის სამეფოში – აკრედიტებული ბაჰრეინის სამეფოში, ომანის სასულთნოსა და იემენის რესპუბლიკაში

FROM 2018 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE KINGDOM OF SAUDI ARABIA – ACCREDITED TO THE KINGDOM OF BAHRAIN, THE SULTANATE OF OMAN AND THE REPUBLIC OF YEMEN

დაიბადა: 23 აგვისტო, 1973 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1990-1995 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით, დიპლომი წარჩინებით;

1991-1994 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის მეორადი ფაკულტეტი;

1995-1996 – საფრანგეთი, პარიზის დიდროს უნივერსიტეტი, გეოგრაფია და ისტორია.

სამუშაო გამოცდილება:

1997-1999 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრი, მრჩეველი;

1999-2004 – ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოში ეკავა ატაშეს, მესამე, მეორე და პირველი მდივნის თანამდებობები, შემდგომში – საკონსულო სამსახურის უფროსი;

2004-2008 – საფრანგეთში საქართველოს საელჩო – ეკავა უფროსი მრჩევლისა და საკონსულო სამსახურის უფროსის თანამდებობები;

2012 – აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2018 – ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი.

ფლობს: ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებს, ებრაულს – სამუშაო დონეზე.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გოჩა ჯაფარიძე
GOCHA JAPARIDZE
1942-2020

2007-2008 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქუვეითში – აკრედიტებული საუდის არაბეთის სამეფოში, ბაჰრეინის სამეფოში, კატარის სახელმწიფოში, ომანის სასულთნოსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში

2007-2008 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE STATE OF KUWAIT – ACCREDITED TO THE KINGDOM OF SAUDI ARABIA, KINGDOM OF BAHREIN, THE STATE OF QATAR, THE SULTANATE OF OMAN AND THE UNITED ARAB EMIRATES

2009-2010 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკებში

2009-2010 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE ARAB REPUBLIC OF EGYPT – ACCREDITED TO THE ARAB REPUBLIC OF SYRIA

დაიბადა: 10 ივლისი, 1942 წელი, ქ თბილისი, საქართველო.

განათლება:

1964 – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი; ისტორიკოსი – აღმოსავლეთმცოდნე.

სამუშაო გამოცდილება:

1968-დან – იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი; **1979-1983** – დამასკოში (სირიის არაბთა რესპუბლიკა) სსრკ კულტურის ცენტრის დირექტორი; **1991-1998** – თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის პრორექტორი; **1994** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **1995-1998** – **2004-2007** – იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მახლობელი აღმოსავლეთის ახალი და უახლესი და შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებების გამგე; **1998-2004** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში; **2005-2007** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტების დეკანი, სრული პროფესორი; **2007-დან** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი.

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი: მონოგრაფიები და სტატიები აკადემიურ გამოცემებში – ქართულ, არაბულ და სხვა უცხო ენებზე.

ფლობდა: ინგლისურ, რუსულ და არაბულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

თედო ჯაფარიძე
TEDO JAPARIDZE

1994-2002 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკის შეერთებულ შტატებში

1994-2002 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE UNITED STATES OF AMERICA, CANADA AND THE UNITED MEXICAN STATES

დაიბადა: 18 სექტემბერი, 1946 წელი, ქ. თბილისი. საქართველო.

განათლება:

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენის სპეციალობით 1971 წელს. ფილოლოგი;

1977-1989 – საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

სამუშაო გამოცდილება:

1989-1990 – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; **1990-1991** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსი; **1991** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს უფროსი; **1991-1992** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **1992-1992** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **1992-1994** – სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწე; **2003-2003** – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, პრეზიდენტის თანაშემწე უშიშროების საკითხებში; **2003-2004** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი; **2006-2008** – შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) გენერალური მდივანი; **2012-2016** – საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე; **2016-2018** – საქართველოს პრემიერ-მინისტრის საგარეო ურთიერთობების საკითხებში მრჩეველი; **2019** – ანაკლიის განვითარების კონსორციუმის ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო საკითხებში.

ფლობს: ინგლისურ, რუსულ, ესპანურ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები: ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი.

ნათია ჯაფარიძე
NATIA JAPARIDZE

2004-2007 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში

2004-2007 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FRENCH REPUBLIC, PERMANENT REPRESENTATIVE OF GEORGIA TO UNESCO

დაიბადა: 12 მარტი, 1967 წელი, ქ. თბილისი, საქართველო.

განათლება:

1985-1991 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით; მიენიჭა ფილოლოგის კვალიფიკაცია;

1992-1993 – ლიონის ლუმიერის უნივერსიტეტი, მიენიჭა ფრანგული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის უმაღლესი განათლების დიპლომი;

2000 – გავლილი აქვს სტაჟირება იუნესკოს განათლების დაგეგმარების საერთაშორისო ინსტიტუტში და საფრანგეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

სამუშაო გამოცდილება:

1993-2004 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

1993-1994 – სახელმწიფო მეთაურის აპარატის მრჩეველი ევროპის საკითხებში;

1994-1995 – ფრანგული ჰუმანიტარული დახმარების ასოციაციის Première Urgence კოორდინატორი;

1995-1998 – საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელის, ელჩის პირადი თანაშემწე;

1999-2000 – საქართველოს განათლების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის უმაღლესი განათლების რეფორმის კონსულტანტი;

2000-2004 – საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ოფისის დირექტორი;

2010-2015 – საფრანგეთის ბრეტანის რეგიონის ტურიზმის განვითარების ოფისის მრჩეველი;

2016-დან – საფრანგეთის კუნძულ გრუას ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ხელმძღვანელი.

ფლობს: ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი

GABRIELA VON HABSBURG

2009-2013 – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

2009-2013 – AMBASSADOR EXTRAORDINARY AND PLENIPOTENTIARY OF GEORGIA TO THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY

დაიბადა: 14 ოქტომბერი, 1956 წელი, ლუქსემბურგი.

განათლება:

1976 – სკოლის დამთავრების შემდეგ ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ფილოსოფიას მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში;

1978-1982 – სწავლობდა ხელოვნებას მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში რობერტ იაკობსენთან და ედუარდო პაოლოცისთან.

სამუშაო გამოცდილება:

2001-დან – ქ. თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი; **2001-2005** – ასწავლიდა ქ. ნოიბურგის (მდ. დუნაიზე) საზაფხულო აკადემიაში; **2004-დან** – შეიერნის პროფესიულ უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწეობს; **2005-დან** – ბად რაიჰენჰალის აკადემიაში ასწავლის ხელოვნებას; **2010-დან** – გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი საქართველოს წარმოადგენს ავსტრიის საგარეო სამსახურის საერთაშორისო საბჭოზე; **2013-დან** – საქართველოს სტრატეგიული სწავლების ინსტიტუტის (GISS) უფროსი თანამშრომელია; **2014-დან** – თბილისის თავისუფალი უნივერსტეტის პროფესორი.

დიპლომატის ფუნქციებთან ერთად, მან მიზნად დაისახა საქართველოს საერთაშორისო პროფილისა და პოპულარიზაციის ზრდა მსოფლიო სახელოვნებო რუკაზე. საქართველოში განთავსებულია გაბრიელა ფონ ჰაბსბურგის სამი სკულპტურა: ორი მათგანი თბილისში, ერთი კი ქალაქ ფოთში. გაბრიელა ფონ ჰაბსბურგმა შექმნა ტრანსატლანტიკური ურთიერთობებისთვის ჰენრი კისინჯერის პრემიის დიზაინი სხვადასხვა გამოჩენილი პირებისთვის. გარდა ამისა, გაბრიელა ფონ ჰაბსბურგს 1994 წლიდან დღემდე შექმნილი აქვს მთელი რიგი კინო და ტელეფილმებისთვის პრიზების დიზაინი.

გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი ყოველწლიურად აწყობს გამოფენებს ევროპაში, აზიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ჯილდოები:

1991 – სუდენის გერმანელების ასოციაციის არქიტექტურისა და ხელოვნების წლიური ჯილდო;

1995 – მასარიკის ხელოვნების აკადემიის პრემია, პრაღა, ჩეხეთი;

2000 – ევროპული ხელოვნების კავშირის პრიზი.

საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ქრონოლოგია

(ქვეყნები, სადაც ფუნქციონირებს საქართველოს საელჩოები)

ავსტრალია

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ავსტრალიას შორის დამყარდა 1992 წლის 16 ივლისს

- გიორგი დოლიძე – 2017-დან
- ვლადიმერ კონსტანტინიდი – 2012-2017 (რეზიდენციით ქ. კანბერა)

ავსტრიის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 25 მარტს.

1993 წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო ავსტრიის რესპუბლიკაში.

- ქეთევან ციხელაშვილი – 2020-დან
- დავით დონდუა – 2018-2020
- კონსტანტინე ზალდასტანიშვილი – 2013-2017
- პაატა გაფრინდაშვილი – 2009-2013
- ვიქტორ დოლიძე – 2005-2009
- კონსტანტინე ჟღენტი – 2004-2005
- გიორგი არსენიშვილი – 2001-2004
- ლევან მიქელაძე – 1996-2001
- ნოდარ გიორგაძე – 1993-1996 – საქმეთა დროებითი რწმუნებული

აზერბაიჯანის რესპუბლიკა

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 18 ნოემბერს

- ზურაბ პატარაძე – 2018-დან
- თეიმურაზ შარაშენიძე – 2011-2018
- ნიკოლოზ გოგიტიძე (საქმეთა დროებითი რწმუნებული) – 2009-2011
- ნიკოლოზ ნათბილაძე – 2007-2009
- ზურაბ გუმბერიძე – 1997-2007
- გიორგი ჭანტურია – 1994-1997

ამერიკის შეერთებული შტატები

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარდა 1992 წლის 23 აპრილს

- დავით ბაქრაძე – 2017-დან
- არჩილ გეგეშიძე – 04/2013-2017
- თემურ იაკობაშვილი – 01/2011-02/2013
- ბათუ ქუთელია – 01/2009-12/ 2010
- ვასილ სიხარულიძე – 02/2006-12/2008
- ლევან მიქელაძე – 06/ 2002-01/2006
- თედო ჯაფარიძე – 06/ 1994-02/2002
- პეტრე ჩხეიძე – 08/1993-06/1994

არაბთა გაერთიანებული საემიროები

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს შორის დამყარდა 1992 წლის 20 ოქტომბერს

2020 წელს გაიხსნა საელჩო აბუ დაბიში

- პაატა კალანდაძე – 2020-დან
- როლანდ ბერიძე – 20/06/2014 (რეზიდენციით ქ. ელ-ქუვეითში)
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე – 16/04/2009-31/10/2012 (რეზიდენციით ქ. ელ-ქუვეითში)
- გოჩა ჯაფარიძე – 12/02/2007-15/04/2009
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე - 06/09/2004-01/01/2007 (რეზიდენციით ქ. ამანში)

არგენტინის რესპუბლიკა

საქართველოსა და არგენტინის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 8 ივნისს.

- ირაკლი ყურაშვილი – 12/03/2018-დან
- გელა სეხნიაშვილი – 27/09/2012 – 01/08/2017
- ალექსანდრე ლაცაბიძე – 2012 წლის 10 აპრილიდან – სექტემბრამდე

ბელარუსის რესპუბლიკა

საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1994 წლის 6 იანვარს.

- ვალერი კვარაცხელია – 2017-დან
- დავით კოტარია – 2012-2017
- გიორგი ჩხეიძე – 2010-2012
- დავით ზალკალიანი – 2008-2009

ბელგიის სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის დამყარდა 1992 წლის 5 ივნისს.

ბელგიის სამეფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა 1993 წელს.

- ნატალი საბანაძე – 2013-დან
- სალომე სამადაშვილი – 2005-2013
- კონსტანტინე ზალდასტანიშვილი – 2000-2005
- ზურაბ აბაშიძე – 1994-2000

ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა

საქართველოსა და ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1993 წლის 28 აპრილს.

- დავით სოლომონია – 2017-დან
- ოთარ ბერძენიშვილი – 08/2011-01/10/2016

ბულგარეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 5 ივნისს.

- თამარ ლილუაშვილი – 2018-დან
- ზურაბ ბერიძე – 2014-2018
- ლევან მეტრეველი – 2012-2013
- მიხეილ უკლება – 2008-2012
- თეიმურაზ შარაშენიძე – 2004-2008

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 13 აპრილს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1992 წელს აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და საელჩო გახსნა თბილისში.

1993 წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

- ლევან იზორია – 2020-დან
- ელგუჯა ხოკრიშვილი – 2018-2020
- ლადო ჭანტურია – 2014-2017
- გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი – 2009-2013
- ლევან დუჩიძე – 2007-2009
- მაია ფანჯიკიძე – 2004-2007
- კონსტანტინე გაბაშვილი – 1993-2004

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის დამყარდა 1992 წლის 27 აპრილს.

- სოფიო ქაცარავა – 2020-დან
- თამარ ბერუჩაშვილი – 2016-2020
- რევაზ გაჩეჩილაძე – 2014-2016
- გიორგი ბადრიძე – 2009-2013
- გელა ჩარკვიანი – 2006-2009
- ამირან კავაძე – 2004-2006
- თეიმურაზ მამაცაშვილი – 1995-2004

დანიის სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და დანიის სამეფოს შორის დამყარდა 1992 წლის 1 ივლისს.

დანიის სამეფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა 2006 წელს.

- გიგი გიგიაძე – 2016-2021
- ნიკოლოზ რთველიაშვილი – 2011-2016
- დავით კერესელიძე – 2006-2011

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 11 მაისს.

- ალექსანდრე ნალბანდოვი – 2016-დან
- არჩილ ძულიაშვილი – 01/01/2011-2016
- გოჩა ჯაფარიძე – 16/04/2009-01/01/2010
- გიორგი ჯანჯღავა – 01/02/2006 – 16/04/2009
- აპოლონ სილაგაძე – 28/12/1997-15/07/2004

ეთიოპიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდა 1993 წლის 29 ივნისს.

საქართველოს საელჩო ადის-აბებაში გაიხსნა 2012 წლის აგვისტოში.

- ზურაბ დვალიშვილი – 2018-დან
- ვახტანგ ჯაოშვილი – 2012-2018

ესპანეთის სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები ესპანეთის სამეფოსა და საქართველოს შორის დამყარდა 1992 წლის 9 ივლისს.

2004 წელს ესპანეთის სამეფოში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- ილია გიორგაძე – 2018-დან
- ზურაბ პოლოლიკაშვილი – 2012-2017
- ნიკოლოზ ნათბილაძე – 2009-2012
- ზურაბ პოლოლიკაშვილი – 2006-2009
- ლაშა ოთხმეზური – 2004-2005

ესტონეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 17 ივნისს დამყარდა.

2007 წელს ესტონეთის რესპუბლიკაში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- არჩილ ყარაულაშვილი – 2019-დან
- თეა ახვლედიანი – 2014-2019
- რუსლან აბაშიძე – 2009-2013
- ზურაბ მარშანია – 2007-2009 (საქმეთა დროებითი რწმუნებული)

თურქეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 21 მაისს.

- გიორგი ჯანჯღავა – 2018-დან
- ირაკლი კოპლატაძე – 15/06/2013-2018
- ზურაბ პატარაძე – 15/10/2012-01/03/2013
- ტარიელ ლებანიძე – 01/01/2009-0109/2012
- გრიგოლ მგალობლიშვილი – 15/10/2004-02/11/2008
- ტარიელ ლებანიძე – 30/09/1998-15/10/2004
- ნოდარ კომახიძე – 1994-1997

თურქმენეთი

საქართველოსა და თურქმენეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 16 ივლისს.

- მამუკა მურჯიკნელი – 2018-დან
- გიორგი ყარალაშვილი – 16/06/2014-2018
- იოსებ ჩახვაშვილი – 01/04/2009-23/04/2013
- ალექსი პეტრიაშვილი – 15/10/2004-01/02/2009
- პეტრე ჩხეიძე – 11/06/2002-20/07/2004

იაპონია

საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 3 აგვისტოს.

- თეიმურაზ ლეჟავა – 2018-დან (საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი)
- ლევან ცინცაძე – 2014-2018
- რევაზ ბეშიძე – 2009-2013
- ივანე მაჭავარიანი – 2008-2009
- დავით ნოზაძე ((საქმეთა დროებითი რწმუნებული) – 2006-2008

ინდოეთის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 28 სექტემბერს.

- არჩილ ძულიაშვილი – 2016-დან
- ლევან ნიჭარაძე – 04/2014-01/2015
- ზურაბ კაჭკაჭიშვილი – 03/2010-02/2014

ინდონეზიის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1993 წლის 25 იანვარს.

საქართველოს საელჩო ინდონეზიის რესპუბლიკაში გაიხსნა 2012 წლის დეკემბერში.

- ირაკლი ასაშვილი – 2019-დან
- ზურაბ ალექსიძე – 2013-2019

იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოს შორის დამყარდა 1994 წლის 6 აპრილს.

- ზაზა კანდელაკი – 25/10/2018-დან
- გრიგოლ ტაბატაძე – 2014-2018
- ზურაბ ერისთავი – 2009-2013
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე – 2004-2009

ირანის ისლამური რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 15 მაისს.

- იოსებ ჩახვაშვილი – 02/2014-დან
- გიორგი ჯანჯღავა – 16/04/2009-19/072013
- ლევან ასათიანი – 06/09/2004-01/03/2009
- ჯემშიდ გიუნაშვილი – 01/08/1994-16/01/2004

ირლანდია

საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებულები ირლანდიაში:

- გიორგი ზურაბაშვილი – 2014-დან
  (2019-დან საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი)
- გიორგი ჯანჯღავა – 2013-2014
- ირაკლი კოპლატაძე – 2010-2013

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები ირლანდიაში (რეზიდენციით ლონდონი):

- გიორგი ბადრიძე – 2009-2013
- გელა ჩარკვიანი – 2006-2009
- ამირან კავაძე – 2004-2006
- თეიმურაზ მამაცაშვილი – 1995-2004

ისრაელის სახელმწიფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის დამყარდა 1992 წლის 1 ივნისს.

- ლაშა ჟვანია – 2019-დან
- პაატა კალანდაძე – 2014-2019
- არჩილ კეკელია – 2012-2013
- ვახტანგ ჯაოშვილი – 2008-2012
- ლაშა ჟვანია – 2005-2008
- რევაზ გაჩეჩილაძე – 1998-2004

იტალიის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და იტალიას შორის დამყარდა 1992 წლის 11 მაისს.

1994 წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში.

- კონსტანტინე სურგულაძე – 2018-დან
- კარლო სიხარულიძე – 2013-2018
- კონსტანტინე გაბაშვილი – 2008-2012
- ზაალ გოგსაძე – 2004-2008
- რუსუდან ლორთქიფანიძე – 1998-2004
- ბეგლარ თავართქილაძე – 1994-1998

კანადა

დიპლომატიური ურთიერთობები კანადასთან დამყარდა 1992 წლის 23 ივლისს; 2011 წლის მაისში ქ. ოტავაში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- კონსტანტინე ქავთარაძე – 2017-დან
- ალექსანდრე ლაცაბიძე – 2012-2016
- ლევან მეტრეველი – 2011-2012
- ბათუ ქუთელია – 2009-2011 (რეზიდენციით ქ. ვაშინგტონი, აშშ)
- ვასილ სიხარულიძე – 2006-2009 (რეზიდენციით ქ. ვაშინგტონი, აშშ)
- ლევან მიქელაძე – 2002-2006 (რეზიდენციით ქ. ვაშინგტონი, აშშ)
- თედო ჯაფარიძე – 1994-2002 (რეზიდენციით ქ. ვაშინგტონი, აშშ)

კატარის სახელმწიფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და კატარს შორის დამყარდა 1993 წლის 16 მარტს.

- ნიკოლოზ რევაზიშვილი – 2018-დან
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე – 11/2012-2018
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე – 2009 – 31/10/2012 (რეზიდენციით ქუვეითი)
- გოჩა ჯაფარიძე – 2007-2009 (რეზიდენციით ქუვეითი)

კვიპროსის რესპუბლიკა

საქართველოსა და კვიპროსის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 9 ივლისს.

2008 წლიდან კვიპროსის რესპუბლიკაში დაფუძნდა საქართველოს საელჩო.

- თემურ კეკელიძე – 2020-დან
- რევაზ ლომინაძე – 2014 – 2016 (საქმეთა დროებითი რწმუნებული)
- ზურაბ ბექაია – 2013 – 2014 (საქმეთა დროებითი რწმუნებული)
- გაიოზ ჯაფარიძე – 2012-2013 (საქმეთა დროებითი რწმუნებული)
- ვლადიმერ კონსტანტინიდი – 2009-2012
- პეტრე კანკავა – 2008-2009 (საქმეთა დროებითი რწმუნებული)
- ლაშა ჟვანია – 2005-2008 (რეზიდენციით ნიქოზია)

კორეის რესპუბლიკა

საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 14 დეკემბერს.

- ოთარ ბერძენიშვილი – 2017-დან
- ნიკოლოზ აფხაზავა – 2012-2017 (რეზიდენციით ქ. სეული)
- რევაზ ბეშიძე – 2010-2011 (რეზიდენციით ქ. ტოკიო)

კუბის რესპუბლიკა

საქართველოსა და კუბის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 18 აპრილს.

- გია ნიკოლაიშვილი – 10/2015-2019 (რეზიდენციით ქ. ჰავანა)
- მალხაზ მიქელაძე – 09/2011-04/2015 (რეზიდენციით ქ. მეხიკო).

ლატვიის რესპუბლიკა

საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1993 წლის 11 მარტს.

2007 წელს ლატვიის რესპუბლიკაში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- თეა მაისურაძე – 2018-დან
- თეიმურაზ ჯანჯალია – 2013-2018
- კონსტანტინე კორკელია – 2007-2013
- დავით აფციაური – 2004-2007 (რეზიდენციით ქ. ვილნიუსი)

ლიეტუვის რესპუბლიკა

საქართველოსა და ლიეტუვის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1994 წლის 16 სექტემბერს.

2004 წელს ლიეტუვის რესპუბლიკაში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- ლევან ღვაჩლიანი – 04/2019-დან
- ხათუნა სალუქვაძე – 2013-2019
- გიორგი ქერდიყოშვილი – 2008-2012
- დავით აფციაური – 2004-2008

მალაიზიის ფედერაცია

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და მალაიზიის ფედერაციას შორის დამყარდა 1993 წლის 7 მაისს.

საქართველოს საელჩო მალაიზიაში გაიხსნა 2013 წლის დეკემბერში.

- ნიკოლოზ აფხაზავა – 2017-დან

მექსიკის შეერთებული შტატები

საქართველოსა და მექსიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 8 ივნისს.

- ზურაბ ერისთავი – 2015-დან
- მალხაზ მიქელაძე – 2011-2015 (რეზიდენციით ქ. მეხიკო)
- ბათუ ქუთელია – 2009-2010 (რეზიდენციით ქ. ვაშინგტონი)
- ვასილ სიხარულიძე – 2006-2009 (რეზიდენციით ქ. ვაშინგტონი)
- ლევან მიქელაძე – 2002-2006 (რეზიდენციით ქ. ვაშინგტონი)
- თედო ჯაფარიძე – 1994-2002 (რეზიდენციით ქ. ვაშინგტონი)

მოლდოვას რესპუბლიკა

საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 25 ივნისს.

- მერაბ ანთაძე – 01/03/2014-2020
- ავთანდილ მიქაცაძე – 01/06/2012-15/05/2014
  (საქმეთა დროებითი რწმუნებული)
- ილია გიორგაძე – 01/02/2012-10/05/2012 (რეზიდენციით ქ. ბუქარესტი)
- ლევან მეტრეველი – 2008-2011 (რეზიდენციით ქ. ბუქარესტი)
- ზურაბ ბერიძე – 2004-2008 (რეზიდენციით ქ. ბუქარესტი)
- გრიგოლ ქათამაძე – 2000-2004 (რეზიდენციით ქ. კიევი)
- მალხაზ ჩაჩავა – 1998-2000 (რეზიდენციით ქ. კიევი)
- ვალერი ჩეჩელაშვილი – 1996-1998 (რეზიდენციით ქ. კიევი)

ნიდერლანდების სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის დამყარდა 1992 წლის 22 აპრილს.

- გიორგი შარვაშიძე – 2018-2020
- კონსტანტინე სურგულაძე – 2014-2018
- შოთა ღვინერია – 2010-2014
- მაია ფანჯიკიძე – 2007-2010

ნორვეგიის სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ნორვეგიას შორის დამყარდა 1992 წლის 5 ივნისს.

ნორვეგიის სამეფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა 2012 წელს.

- მაია ყიფშიძე – 2017-დან
- მამუკა ციხელაშვილი – 2012-2017
- ნიკოლოზ რთველიაშვილი – 2011-2012 (რეზიდენციით ქ. კოპენჰაგენი)
- დავით კერესელიძე – 2006-2011 (რეზიდენციით ქ. კოპენჰაგენი)

პოლონეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და პოლონეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა 1992 წლის 28 აპრილს.

2004 წელს პოლონეთში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- ილია დარჩიაშვილი – 2017-დან
- ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – 2011-2017
- კონსტანტინე ქავთარაძე – 2006-2011
- ზაზა კანდელაკი – 2004-2005

პორტუგალიის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და პორტუგალიის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 23 მაისს.

2010 წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო პორტუგალიის რესპუბლიკაში.

- გიორგი მირცხულავა – 2020-დან
- რევაზ ბეშიძე – 2016-2020
- გიორგი გორგილაძე – 2011-2016
- გაიოზ ჯაფარიძე – 2010-2011 (საქმეთა დროებითი რწმუნებული)
- მამუკა კუდავა – 2007-2010 (რეზიდენციით ქ. პარიზი)

რუმინეთი

საქართველოსა და რუმინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 25 ივნისს.

2004 წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო რუმინეთში

- ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – 2017-დან
- ილია გიორგაძე – 2012-2017
- ლევან მეტრეველი – 2008-2011
- ზურაბ ბერიძე – 2004-2008
- გრიგოლ ქათამაძე – 2000-2004 (რეზიდენციით ქ. კიევი)

რუსეთის ფედერაცია

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დამყარდა 1992 წლის 1 ივლისს.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის გამო და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს განუყოფელი ნაწილების ე.წ. აღიარების შემდეგ, საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან (02.09.2008 წ.).

- ეროსი კიწმარიშვილი – (2008 წლის თებერვალი - 2008 წლის სექტემბერი)
- ირაკლი ჩუბინიშვილი – (2005 წლის ივლისი - 2008 წლის თებერვალი)
- ვალერი ჩეჩელაშვილი – (2004 წლის აგვისტო - 2005 წლის თებერვალი)
- კონსტანტინე კემულარია – (2004 წლის თებერვალი - 2004 წლის ივლისი)
- ზურაბ აბაშიძე – (2000 წლის ივლისი - 2004 წლის თებერვალი)
- მალხაზ კაკაბაძე – (1998 წლის სექტემბერი - 2000 წლის მაისი)
- ვაჟა ლორთქიფანიძე – (1995 წელი - 1998 წლის აგვისტო)
- ვალერიან ადვაძე – (1993 წლის აპრილი - 1995 წლის იანვარი).

საბერძნეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 20 აპრილს.

- დავით დონდუა – 2020-დან
- იოსებ ნანობაშვილი – 2015-2019
- დავით ბაქრაძე – 2012-2014
- ირაკლი თავართქილაძე – 2007-2012
- ზვიად ჭუმბურიძე – 2003-2007
- ალექსანდრე ჩიკვაიძე – 1995-2003

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1993 წლის 23 აპრილს

საქართველოს საელჩო პრეტორიაში გაიხსნა 2011 წლის აგვისტოში

- ბექა დვალი – 02/10/2012-დან

საუდის არაბეთის სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის დამყარდა 1994 წლის 27 მაისს.

- ვახტანგ ჯაოშვილი – 2018-დან
- გიორგი ჯანჯღავა – 02/09/2014 (რეზიდენციით ქ. რიადი)
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე – 16/04/2009-31/10/2012 (რეზიდენციით ელ-ქუვეითში)
- გოჩა ჯაფარიძე – 01/01/2007-2009 (რეზიდენციით ელ-ქუვეითში)
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე – 06/09/200401/01/2007 (რეზიდენციით ქ. ამანში)

საფრანგეთის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 21 აგვისტოს.

1993 წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო საფრანგეთის რესპუბლიკაში.

- თეა კატუკია – 2018-დან
- ეკატერინე სირაძე-დელონე – 2013-2018
- მამუკა კუდავა – 2007-2012
- ნათია ჯაფარიძე – 2004-2007
- ლანა ღოღობერიძე – 2004-2004
- გოჩა ჩოგოვაძე – 1993-1994

სლოვაკეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და სლოვაკეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1993 წლის 1 იანვარს.

2006 წელს სლოვაკეთის რესპუბლიკაში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- რევაზ ბეშიძე – 2020-დან
- რევაზ გაჩეჩილაძე – 2016-2020
- ალექსანდრე ნალბანდოვი – 2011-2016
- ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – 2006-2011
- ზაურ გამსახურდია – 2004-2005
- გიორგი არსენიშვილი – 2001-2004. (რეზიდენციით ვენა)

სლოვენიის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და სლოვენიის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1993 წლის 18 იანვარს.

2011 წლიდან სლოვენიის რესპუბლიკაში დაფუძნდა საქართველოს საელჩო.

- ირაკლი კოპლატაძე – 2018-დან
- ზურაბ ბექაია – 2014-2018
- ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – 2006-2011 (რეზიდენციით ბრატისლავა)
- ზაურ გამსახურდია – 2004-2005
- გიორგი არსენიშვილი – 2001-2004 (რეზიდენციით ვენა)

სომხეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 17 ივლისს.

- გიორგი საგანელიძე – 15.08.2016-დან
- მალხაზ მალაშხია – 03.03.2016-14.08.2016 (საქმეთა დროებითი რწმუნებული)
- თენგიზ შარმანაშვილი – 01/01/2011-02/03/2016
- გრიგორ ტაბატაძე – 2009-2010
- რევაზ გაჩეჩილაძე – 2005-2009
- ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – 1998-2004
- გრიგოლ ბარამიძე – 1995-1998

უზბეკეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1994 წლის 19 აგვისტოს.

- ზურაბ აბდუშელიშვილი – 2019-დან
- კონსტანტინე ჟღენტი – 2014-2018
- გიორგი კუბლაშვილი – 2009-2013
- დავით ზალკალიანი – 2004-2007
- გივი აბდუშელიშვილი – 1997-2004

უკრაინა

საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 22 ივლისს.

- თეიმურაზ შარაშენიძე – 2019-დან
- გელა დუმბაძე – 2017-2019
- მიხეილ უკლება – 04.2013-2017
- გრიგოლ ქათამაძე – 2008-2013
- მერაბ ანთაძე – 2007-2008
- გრიგოლ ქათამაძე – 2000-2007
- მალხაზ ჩაჩავა – 1998-2000
- ვალერი ჩეჩელაშვილი – 1994-1998

უნგრეთი

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და უნგრეთს შორის დამყარდა 1992 წლის 14 მაისს.
2009 წელს უნგრეთში გაიხსნა საქართველოს საელჩო

- ზაალ გოგსაძე – 2018-დან
- ზაზა კანდელაკი – 2013-2018
- ზვიად ჭუმბურიძე – 2009-2013

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები უნგრეთში რეზიდენციით ავსტრიაში:

- ვიქტორ დოლიძე 2005 – 2007;
- კონსტანტინე ჟღენტი 2004 – 2005;
- გიორგი არსენიშვილი 2001 – 2004.

ქუვეითის სახელმწიფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ქუვეითს შორის დამყარდა 1992 წლის 3 სექტემბერს.

- კონსტანტინე ჟღენტი – 2018-დან
- როლანდ ბერიძე – 20/06/2014-2018 (რეზიდენციით ქ. ქუვეითი)
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე – 16/04/2009-31/10/2012
- გოჩა ჯაფარიძე – 01/01/2007-2009
- ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე – 06/09/2004-01/01/2007

ყაზახეთის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 24 ივლისს.

- ზურაბ აბაშიძე – 2017-დან
- ზურაბ პატარაძე – 10/05/2013-2016
- დავით მუმლაძე – 2012
- პაატა კალანდაძე – 01/1009-01/04/12
- ზურაბ შურღაია – 15/10/2004-0102/2009
- ნუგზარ დუჩიძე – 01/07/2003-20/07/2004
- თეიმურაზ გოგოლაძე – 07/08/1993-16/06/2003

შვედეთის სამეფო

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და შვედეთის სამეფოს შორის დამყარდა 1992 წლის 19 სექტემბერს.

შვედეთის სამეფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა 2006 წელს.

- მალხაზ კაკაბაძე – 2016-2021
- კონსტანტინე ქავთარაძე – 2011-2015
- ამირან კავაძე – 2006-2011

შვეიცარიის კონფედერაცია

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დამყარდა 1992 წლის 10 ივნისს.

- რევაზ ლომინაძე – 2020-დან
- დავით ჯალაღანია – 2018-2020
- ირაკლი ყურაშვილი – 2012-2017
- ზურაბ ჭიაბერაშვილი – 2011-2012
- გიორგი გორგილაძე – 2008-2011
- ლევან მიქელაძე – 2006-2007
- ალექსანდრე ჩიკვაიძე – 2003-2005
- ამირან კავაძე – 1997-2003

წმიდა საყდარი (ვატიკანი)

საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 23 მაისს.

2004 წელს წმიდა საყდართან გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი – 2019-დან
- თამარ გრძელიძე – 2014-2018
- ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი – 2004-2014
- ამირან კავაძე – 2001-2003 (რეზიდენციით ჟენევა)

ჩეხეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1993 წლის 1 იანვარს.

2006 წელს ჩეხეთის რესპუბლიკაში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

- მარიამ რაქვიაშვილი – 2018-დან
- ზაალ გოგსაძე – 2013-2018
- ნინო ნაკაშიძე – 2008-2013
- ვლადიმერ ჭიპაშვილი – 2007-2008
- კარლო სიხარულიძე – 2006-2007
- გიორგი არსენიშვილი – 2001-2004 (რეზიდენციით ვენა).

ჩინეთის რესპუბლიკა

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 9 ივნისს.

- არჩილ კალანდია – 2018-დან
- დავით აფციაური – 2014-2018
- მამუკა გამყრელიძე – 2011-02/2013
- კარლო (კახა) სიხარულიძე – 2009-2011
- ზაზა ბეგაშვილი – 03/2008-12/2008
- მიხეილ უკლება – 2005-2008

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

- კახა იმნაძე – 2013-დან
- ალექსანდრე ლომაია – 2009-2013
- ირაკლი ალასანია – 2006-2008
- რევაზ ადამია – 2002-2006
- პეტრე ჩხეიძე – 1993-2002

ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

- ირაკლი გივიაშვილი – 2017-დან
- კონსტანტინე კორკელია – 2013-2017
- მამუკა ჟღენტი – 2010-2013
- ზურაბ ჭიაბერაშვილი – 2005-2010
- ლანა ღოღობერიძე – 1999-2005

საქართველოს მისია ნატოსთან

- ვიქტორ დოლიძე – 2020-დან
- ალექსანდრე მაისურაძე – 2015-2020
- ლევან დოლიძე – 2013-2015
- გეგა მგალობლიშვილი – 2009-2013
- რევაზ ბეშიძე – 2006-2009
- დავით დონდუა – 2001-2006

ევთოსა და ქ. ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

- ქეთევან ციხელაშვილი – 15/06/2020-დან
- დავით დონდუა – 01/11/2018-01/03/2020
- კონსტანტინე ზალდასტანიშვილი – 2013-2017
- პაატა გაფრინდაშვილი – 2009-2013
- ვიქტორ დოლიძე – 2005-2009
- გიორგი (გიგა) ბურდული – 2002-2005
- ლევან მიქელაძე – 1996-2001
- ნოდარ გიორგაძე – 06/04/1993-10/10/1996

ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

- ალექსანდრე მაისურაძე – 2020-დან
- ვიქტორ დოლიძე – 2018-2020
- შალვა ცისკარაშვილი – 2012-2017
- ზურაბ ჭიაბერაშვილი – 2011-2012
- გიორგი გორგილაძე – 2008-2011
- ლევან მიქელაძე – 2006-2007
- ალექსანდრე ჩიკვაიძე – 2003-2005
- ამირან კავაძე – 1997-2003

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი თარიღები

1. საქართველო „ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის“ (ეუთო) მონაწილე ქვეყანა გახდა – 1992 წლის 24 მარტი;

2. საქართველო გახდა „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს“ წევრი (NACC) – 1992 წლის 5 ივნისი;

3. საქართველო გაწევრიანდა „გაეროში“ – 1992 წლის 31 ივლისი;

4. საქართველო შეუერთდა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას (PfP) – 1994 წლის 23 მარტი;

5. შეთანხმება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“: ხელმოწერა – 1996 წლის 22 აპრილი, ძალაში შესვლა – 1999 წლის 1 ივლისი;

6. 1996 წლის მაისში ქ. ვენაში, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების განხილვის კონფერენციაზე, რუსეთთან დაწყებული მოლაპარაკებების შედეგად, 1999 წლის 17 ნოემბერს ეუთო-ს სამიტზე ხელი მოეწერა „სტამბულის შეთანხმებას“, რის შედეგადაც დაიწყო საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი;

7. საქართველო გაწევრიანდა „ევროპის საბჭოში“ – 1999 წლის 27 აპრილი;

8. საქართველო გაწევრიანდა „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში“ – 2000 წლის 14 ივნისი;

9. ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა – 2008 წლის 3 აპრილი;

10. „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, DCFTA: ხელმოწერა – 2014 წლის 27 ივნისი, შეთანხმების პირობითად ძალაში შესვლა – 2014 წლის 1 სექტემბერი, სრულად მოქმედებს 2016 წლის 1 ივლისიდან;

11. ნატოს უელსის სამიტის ფარგლებში საქართველომ მიიღო „ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებების პაკეტი“ და გაწევრიანდა „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორების ჯგუფში“ სხვა ოთხ პარტნიორ ქვეყანასთან ერთად (შვედეთი, ფინეთი, ავსტრალია, იორდანია). ასევე, საქართველო ჩაერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდის ინიციატივაში – 2014 წლის 4-5 სექტემბერი;

12. ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია – 2017 წლის 28 მარტი.

IMPORTANT DATES OF GEORGIAN FOREIGN POLICY

1. Georgia became Participating State of the Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE) – 24 March 1992;

2. Georgia became a member of the North Atlantic Cooperation Council (NACC) – 5 June,1992;

3. Georgia joined the United Nations (UN) – 31 July 1992;

4. Georgia joined the Partnership for Peace (PFP) programme – 23 March, 1994;

5. The EU-Georgia Partnership and Cooperation Agreement, signature 22 April, 1996, entry into force 1 July, 1999;

6. As a result of negotiations started with Russia in May 1996 at the Vienna Conference on the Treaty on Conventional Armed Forces in Europe, on November 17, 1999 at the OSCE summit the “Istanbul Agreement” was signed, which entailed starting the process of the withdrawal of the Russian military bases from Georgia;

7. Georgia became member of the Council of Europe (CoE) – 27 April, 1999;

8. Georgia became member of the World Trade Organization (WTO) – 14 June, 2000;

9. Allies made a decision that Georgia will become a member of NATO at the Bucharest Summit – 3 April, 2008;

10. The EU-Georgia Association Agreement/DCFTA, signature – 27 June, 2014; provisional application – 1 September, 2014; fully entry into force - 1 July, 2016;

11. Within the framework of the NATO Summit held in Wales, allies have endorsed a Substantial NATO-Georgia Package and together with Sweden, Finland, Australia and Jordan was invited to the “Enhanced Opportunity Partner’s Group”. Furthermore, Defense and Related Security Capacity Building Initiative has also been extended to Georgia – 4-5 September, 2014;

12. Visa liberalization with the European Union – 28 March, 2017.

სარჩევი / CONTENT

5 დამოუკიდებლობის ოცდაათი წელი

11 THREE DECADES OF INDEPENDENCE

16 დამოუკიდებელი საქართველოს
საგარეო საქმეთა მინისტრები 1991-2021

MINISTERS OF FOREIGN AFFAIRS OF
INDEPENDENT GEORGIA 1991-2021

21 დამოუკიდებელი საქართველოს ელჩები

199 საქართველოს დიპლომატიური
ურთიერთობების ქრონოლოგია

220 საქართველოს საგარეო პოლიტიკის
მნიშვნელოვანი თარიღები

221 IMPORTANT DATES OF
GEORGIAN FOREIGN POLICY

წიგნში გამოყენებული ბიოგრაფიული მასალები
და ინფორმაცია მიღებულია დიპლომატთა პირადი
არქივებიდან. გარკვეული ინფორმაციების დასაზუსტებლად
გამოყენებულია საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის მონაცემები.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ასლი მოგვაწოდა
საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ.

რედაქტორი: გიორგი კაჭარავა

EDITOR: GIORGI KACHARAVA

რედაქტორი: მედეა ლაშხია

EDITOR: MEDEA LASHKHIA

დაკაბადონება: ნიკოლოზ ბაგრატიონი

LAYOUT AND DESIGN: NIKOLOZ BAGRATIONI

თარგმანი: ზაზა სიამაშვილი

TRANSLATED BY: ZAZA SIAMASHVILI

გამომცემელი: იოსებ ფეიქრიშვილი

PUBLISHER: IOSEB PEIKRISHVILI

ISBN: 978-9941-8-2753-2

© წიგნში განთავსებული მასალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ავტორის თანხმობით

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით გამოცემის მხარდამჭერებს

ზაზა ვარშანიძეს, „პოლიმერი 1“-ს, „სარაჯიშვილის“, „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“, „ჯინო ჰოლდინგს“, „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდს“, „აიდიეს ბორჯომს“, „თიბისი ბანკს“, ნიკოლოზ ნათბილაძეს, „ბიდიო საქართველოს“, „დენტონს საქართველოს“.

SPECIAL THANKS TO THIS EDITION’S SUPPORTERS:

Zaza Varshanidze, Polimeri 1, Sarajishvili, Socar Energy Georgia, GINO Holding, David Bezhuashvili Education Foundation, IDS Borjomi, TBC Bank, Nikoloz Natbiladze, BDO Georgia, Dentons Georgia.

IDS BORJOMI GEORGIA · SARAJISHVILI SINCE 1884 · Polimeri1 GEORGIAN PLASTIC PIPES · SOCAR · GINO HOLDING · VIRTUS ET SCIENTIA · თიბისი ბანკი TBC BANK · BDO · 大成 DENTONS

თბილისი 2021